კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

ბაქარ ცერცვაძე

თურქეთის რეგიონული პოლიტიკა და უსაფრთხოების პრობლემები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი, მაია კაპანაძე

თბილისი - 2021

ანოტაცია

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თურქული გავლენები სათავეს ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიიდან იღებს მათი დომინანტური როლი საუკუნეებს ითვლის,ბუნებრივია პირველობის ჟინი უმალ არ ჩნდება, ამ ყველაფერს დიდი დრო სჭირდება, თურქეთს კი თავისი ისტორია ნამდვილად აძლევს ამაზე ფიქრის საშუალებას, მათ მიერ ნაწარმოებმა დამპყრობლურმა ომებმა სამყაროს საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენეს,თუმცა აუცილებლად აღსანიშნია მათი განსაკუთრებული საგარეო პოლიტიკური კურსი.ისინი საუკუნების განმავლობაში ცდილობდნენ ებატონათ არათუ რეგიონზე არამდე მთელ სამყაროზე.

როდესაც ვსაუბრობთ ოსმალეთზე აუცილებლად უნდა ვახსენოთ პიროვნება რომლის სახელსაც უკავშირდება ამ საუკუნოვანი იმპერიის დაარსება, ოსმან I იყო ადამიანი რომელმაც შეძლო და თავის გარშემო გააერთიანა თურქული ნაცია, შემდგომში კი მოახერხა შეექმნა იმპერია რომლის სახელიც სამყაროს აღსასრულამდე იარსებებს.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი თურქეთისათვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა ეს იყო დრო, როდესაც ერთის დანაკარგი მეორესათვის მონაპოვარს ნიშნავდა. მათ სჭირდებოდათ ადამიანი გამორჩეული საგარეო პოლიტიკური ხედვით, სწორედ ასეთი აღმოჩნდა მუსტაფა ქემალ ათათურქი, რომელმაც ოსმალეთი ახალ რელსებზე გადაიყვანა და შექმნა თურქეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. თუკი ოსმალეთზე საუბრისას ვიხსენებთ ოსმან I-ს თურქეთზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ათათურქი.

Anotation

Turkish Regional Policy And Security Issues

Turkish influences in the Middle East region still derive from the Ottoman Empire as their dominant role dates back centuries. Naturally, the genius of the championship does not appear immediately, all this takes a long time, and Turkey's history really allows us to think about it, The wars of conquest they waged have caused considerable damage to the world. However, their special foreign policy course must be mentioned. They have been trying for centuries to dominate not only the region but the whole world.

When we talk about the Ottomans we must mention the person whose name is associated with the founding of this centuries-old empire, Osman I was the man who managed to unite the Turkish nation around him, and later managed to create an empire whose name will last until the end of the world.

The post-World War I period turned out to be quite difficult for Turkey. It was a time when the loss of one meant a gain for the other. They needed a man with a distinct foreign policy vision, as Mustafa Kemal Ataturk turned out to be. Which put the Ottomans on new rails and created the Independent Republic of Turkey. If we are talking about Ottomans we think about Osman I, and if we talking about Turkey we are definitely think on Ataturk.

Bakar Tsertsvadze

სარჩევი

ანოტაცია.....2

შესავალი.....5

თავი I. რეგიონში ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკური კურსი.....9

1.1 სახელმწიფოს შექმნის მოკლე ისტორია..... 9

1.2 ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიონისტური პოლიტიკა რეგიონში..... 11

1.3 იმპერიის რღვევის პროცესში არაბების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის..... 25

თავი II. თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური პრიორიტეტები ახლო აღმოსავლეთში..... 28

2.1 ქემალისტური თურქეთის რეგიონული პოლიტიკა..... 31

2.2 თურქეთის აქტივობა რეგიონულ სამხედრო-პოლიტიკურ და რელიგიურ ორგანიზაციებში..... 37

2.3 ნატოს წევრი თურქეთის აქტიური პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში (კვიპროსის საკითხი)..... 43

თავი III. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური კრიზისები და თურქეთის წინაშე არსებული გამოწვევები…….…… 47

3.1 თურქეთის ჩართულობა რეგიონულ პოლიტიკურ კრიზისებში..... 47

3.2 ქურთული პრობლემის გააქტიურება და გამოწვევები თურქეთის წინაშე…….56

3.3 დასავლეთის და ნატოს დამოკიდებულება თურქეთის რეგიონულ პოლიტიკისადმი…….. 63

დასკვნა.....78

ბიბლიოგრაფია.....80

შესავალი

თემის აქტუალობა - თურქეთი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა. აქედან გამომდინარე მისი რეგიონული პოლიტიკაც საკმაოდ ამბიციურია. თურქეთი ცდილობს რეგიონში ჰეგემონი ქვეყნის ფუნქცია შეასრულოს,. ამას ხელს უწყობს ამ ქვეყნის ამბიციური პოლიტიკა ოსმალეთის იმპერიიდან მოყოლებული. ამასთანავე თურქეთი ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოა ახლო აღმოსავლეთში. ის არის ერთადერთი ნატოს წევრი ქვეყანა ამ რეგიონიდან და შესაბამისად ჰყავს საკმაოდ ძლიერი ჯარი, კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული, თურქეთი ამავე დროს უკვე კარგა ხანია ევროკავშირის ასოცირებული წევრიც არის. მისი ამბიციური რეგიონული პოლიტიკიდან გამომდინარე, მას სერიოზული გამოწვევებთან გამკლავებაც უხდება ახლო აღმოსავლეთში. ის აქტიურადაა ჩართული რეგიონში არსებულ კომფლიქტებში, არამარტო როგორც რეგიონალური ძლიერი ქვეყანა, არამედ როგორც ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრი სახელმწიფო. თურქეთის გარშემო ბევრი სერიოზული გამოწვევა არსებობს, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვნად აისახება რეგიონის უსაფრთხოებაზეც. შესაბამისად, თურქეთს ხშირად უწევს თავის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ეფექტურად და დროულად გაუმკლავდეს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, აქედან გამომდინარე თემა აქტუალურია.

თემის მიზნები და ამოცანები - ჩემი კვლევის მიზანია თურქეთის რეგიონალური პოლიტიკის კვლევა, იმ გამოწვევების წინა პლანზე წამოწევა რომელსაც თურქეთი ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდება რეგიონში.

ჩემი კვლევის ამოცანას წარმოადგენს დანახვა იმ ნეგატიური და პოზიტიური მხარეების რომელიც თურქულ დიპლომატიურ პოლიტიკას ახასიათებს, ასევე იმისა თუ როგორ ტრანსფორმირდა თურქული რეგიონალური პოლიტიკა ოსმალეთის იმპერიიდან

თემის მიზნები და ამოცანები

- თემის მიზანს წარმოადგენს თურქული რეგიონული პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა,რა არის მათი მოტივაცია და მიზანი.
- ასევე გავიხსენოთ ოსმალეთის იმპერიის რეგიონული პოლიტიკური კურსი და მისი მიმართება თანამედროვე თურქულ პოლიტიკასთან, თუ რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის.

ხოლო რაც შეეხება ამოცანებს :

- თემის ამოცანას წარმოადგენს სხვადასხვა ნაშრომებიდან გამომდინარე ძველი და ახალი თურქული რეგიონული პოლიტიკის განსაზღვრა.

საკვლევი კითხვები

1. რა როლს ასრულებს თურქეთი ახლო აღმოსავლეთში არსებულ პოლიტიკურ კრიზისებში?

   2.რით განსხვავდება თურქეთის პოლიტიკა სხვა რეგიონალური აქტორების პოლიტიკისაგან?

   3.რამდენად ეფექტურად ახერხებს თურქეთი მის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას?

ჰიპოთეზა

რეგიონის ერთ-ერთი ჰეგემონი ქვეყანის თურქეთის წინაშე არსებული გამოწვევები, რაც ახლო აღმოსავლეთში კრიზისებთანაა დაკავშირებული, თურქეთს საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს უქმნის, თურქებს უხდებათ ამ დიდ გამოწვევებთაქნ გამკლავება, რათა რეგიონში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყნბის პოზიცია შეინარჩუნოს.

თემის საგანი: თემის საგანს წარმოადგენს-თუ რას ისახავს მიზნად თურქეთის

რეგიონალური პოლიტიკა.

თემის ობიექტი: თურქეთის რეგიონული უსაფრთხოება მის წინაშე არსებული მიზნები და გამოწვევები.

თემის კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები :

- ისტორიულ-აღწერილობითი
- კონტენტ ანალიზი
- ინტერდისციპლინარული მეთოდი .

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

- ძალთა ბალანსის“ თეორია, გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

- სოციალური. კონსტრუქტივიზმი

- თანამშრომლობითი რეალიზმი

თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა - ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგან შეძლებისდაგვარად შევქმენი აკადემიური ხარისხის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს. ვიმედოვნებ რომ ჩემი ნაშრომი გამოსადეგი იქნება მათთვის ვინც დაინტერესებულია თურქეთის როგორც რეგიონული ისე რეგიონს გარეთა საგარეო პოლიტიკით, ვფიქრობ ის ასევე გამოყენებულ იქნება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

დღემდე.

სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი არის ძალიან სპეციფიკური,ამ თემაზე ძალიან ბევრი და განსხვავებული ავტორების ნამუშევრებია. თურქეთის საგარეო და რეგიონულ პოლიტიკაზე საკმაოდ ფართოდ საუბრობს მიხეილ სვანიძე, ასევე გიორკი სანიკიძის წიგნში განხილულია თურქეთის ადრინდელი და დღევანდელი პოლიტიკური კურსი. ასევე იმ სახელმძღვანელოთა სიაშია , ემზარ მაკარაძის თურქეთის ისტორია,რომელმაც საკმაოდ დიდი ცოდნა მომცა თურქეთის შესახებ იმაზე თუ რა პოლიტიკას ატარებენ ისინი. წერის პროცესში საკმაოდ დიდი დახმარება გამიწია თურქი მკვლევარისა და პოლიტოლოგის, სონერ ჩაღაპტაის, წიგნი, რომელიც თანამედროვე თურქეთში მიმდინარე პროცესებს განიხილავს.არათურქი წარმოშობის ავტორი, რომელიც თურქეთის პოლიტიკაზე ხშირად წერს, განსხვავებით თურქი სონერისაგან მოვლენებს, ვფიქრობ, მეტად ობიექტურად აღწერს. იგი განსჯის ერდოღანის ყოველ ნაბიჯს,წიგნში საუბარია არა მხოლოდ თურქეთის „გაფუჭებულ“ ურთიერთობებზე არაბულ ქვეყნებთან, არამედ საშინაო პოლიტიკაზეც, ქურთებთან დაპირისპირებასა და სხვა ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებზე.

თავი I. რეგიონში ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკური კურსი

სახელმწიფოს შექმნის მოკლე ისტორია

მონღოლთა ურდოს შემოტევებმა სელჩუკთა სახელმწიფოს მომავალი ბუნდოვანი გახადა, საბოლოო ჯამში კი იგი განადგურებამდე მიიყვანა. თურქული ტომები აზიის რეგიონში მიმოიფანტნენ ,რაც თავისთავად გულისხმობდა იმას , რომ შესაძლებელი იყო რეგიონში წარმოქმნილიყო ახალი უფრო ძლიერი თურქული სახელმწიფო , შემდგომი პერიოდი მიმართული იყო სწორედ ამისკენ და მცირე აზიაში შეიქმნა კიდევაც ახალი სახელმწიფო , რომელიც მსოფლიო ისტორიაში შესულია , როგორც ერთ-ერთი უდიდესი მზარდი და ტრადიციებზე მდგარი იმპერია, რომელმაც გაუძლო საუკუნეებს გამოიცვალა ბევრი ქარიზმატული მმართველი და ისტორიაში თავიანთი სახელი თავიანთი საქმეებითვე უკვდავყვეს.მას შემდეგ რაც სელჩუკთა სასულთნო ბეილიქებად დაიშალა იყო რამდენიმე ძლიერი სამთავრო თუმცა ყველაზე გამორჩეული და სამომავლოდ სახელმწიფოს მთავარი ხერხემალი იყო ოსმანის ბეილიქი, მის სიძლიერეს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა , ნომერ პირველი იყო გეოგრაფიული მდებარეობა და მონღოლთა მმართველობისაგან დამოუკიდებლობა.

შუა აზიიდან დასავლეთისაკენ მიმავალი ჩინგის ხანის ურდოებში,იბრძოდნენ ასევე ოღუზ-თურქმანებიც,მათი წინამძღოლი სულეიმან XIII მის ურდოსთან ერთად მცირე აზიაში გზად მდინარე ევრფატზე გადასვლის დროს დაიხრჩო, რამაც გამოიწვია მისი ერთ-ერთი ვაჟის ერთოღულის მიერ მამის პოსტის დაკავება. ერთოღული ეკუთნოდა ოღუზთა შტოს, ქაის ტომს, მან თავისი ტომის ხალხით განაგრძო წინსვლა და საბოლოო ჯამში მიადგა სელჩუკთა სულთნის ტერიტორიებს,

სადაც თავის ხალხთან ერთად დასახლდა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთოღულმა სულთანს დახმარების ხელიც გაუწოდა, ამის სანაცვლოდ კი სულთანმა ალა ედ-დინ ქეიყობად I -მა გადასცა მიწები, ბიზანტიის საზღვართან ახლოს. ერთოღულმა კარგი გეოგრაფიული მდებარეობა მის სასიკეთოდ გამოიყენა, რაც გამოიხატა იმაში , რომ ის ხშირად ესხმოდა თავს ბიზანტიის მიწებს , რასაც მისთვის სასურველი შედეგი მოჰქონდა. ერთოღულის საქმეს ასევე აგრძელებდნენ მისი შთამომავლები. რატქმაუნდა ბიზანტიელებისაგანაც იყო უკუდარტყმები,თუმც ამავდროულად უნდა აღინიშნოს ისიც , რომ ბიზანტიელებმა მოადუნეს ყურადღება მცირე აზიის რეგიონების დასაცავად, მიხეილ VIII პალეოლოგმა გაუუქმა შეღავათები გლეხებს, რომელებიც იცავდნენ საზღვრებს , ის ამას არ დასჯერდა და სასაზღვრო მიწებს ურიგებდა თურქულ ტომებს , რაც რათათქმაუნდა ერთოღულის წისქვილზე ასხავდა წყალს.[1]

ისტორიულ წყაროებში ერთოღულის ცხოვრებაზე ბევრი ფაქტები არ მოიპოვება , ასევე წყაროებზე დაყრდნობით ვიცით , რომ იგი გარდაიცვალა 1281 წელს , ხოლო მეორე ვერსიით 1288 წელს, არსებობს ფაქტები თუ როგორ დაინიშნა სელჩუკთა სულთნის მიერ ოსმანი უჯბეგად, ერთი ვერსიით ეს მოხდა 1284 წელს , ხოლო მეორე ვერსიით 1289 წელს. თურქული წყაროეები ოსმანის საქმიანობას დადებითად აფასებენ და მას მუჰამედსაც კი უკავშირებდნენ.

ამ პერიოდის ბიზანტია მეტად დასუსტებული იყო და რათქმაუნდა , რომ ოსმანის ნომერ პირველ სამიზნეს სწორედ ისინი წარმოადგენდნენ. ოსმალებმა შეძლეს და დაიკავეს ბიზანტიის ტერიტორიაში შემავალი ქალაქები. უნდა აღინიშნოს , რომ როდესაც მათ აიღეს ყარაჯაჰისარი, მოსახლეობამ თავს გაქცევით უშველა . ქალაქში არსებული ქრისტიანული ეკლესია მეჩეთად გადაკეთდა,სადაც მოხდა ხუტბის წაკითხვა პირველად, ოსმანის სახელის მოხსენიებით. უნდა აღინიშნოს , რომ ბიზანტიის მიწების აღებისას ოსმალები განსაკუთრებული სისასტიკით

[1] სვანიძე მ. - თურქეთის ისტორია, 2007 , გვ. 30-40

გამოირჩეოდნენ , ისინი წვავდნენ ქალაქსა და სოფლებს, მოსახლეობას კი მონებად ჰყიდდნენ .

1299 წელს ოსმანმა დაახწია თავი სელჩუკებს,რამაც გამოიწვია სელჩუკთა სულთნის ალა ედ-დინ ქეიყობად III-ის გაქცევა,დედაქალაქში დაწყებული აჯანყების გამო და სელჩუკთა სასულთნო წინამძღოლის გარეშე დარჩა ,ისტორიული წყაროების თანახმად 1299 წელი ითვლება ოსმალთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის თარიღად. ამის შემდგომ 1301 წელს ოსმანის მიერ დაპყრობილი იქნა იენიშეჰირი სადაც გადაიტანა თავისი რეზიდენცია , ოსმანის პირველ დიდ სამხედრო ტრიუმფად მიიჩნევა 1302 წელს ბიზანტიის გამგებლის დამარცხება,თუმცა გამარჯვებას მალევე მოჰყვა მარცხი 1305 წელს, ლევკესთან ბრძოლაში, პარალელურად ბიზანტიის იმპერიის შიდა არეულობები ხელს უწყობდა ოსმალეთის იმპერიის გაძლიერებას, ამ პერიოდში არ კარგავდნენ დროს და იღებდნენ ციხე-სიმაგრეებს ,მათ აიღეს ბურსი ხანგრძლივი ალყის შემდგომ,რომელიც 11 წელს გაგრძელდა, 1315 წლიდან 1326 წლამდე.დამოუკიდებლობა. ოსმან I-ის მეთაურობით მოხერხდა საბოლოო ჯამში ოსმალეთის სასულთნოს შექმნა, სახელი სასულთნო კი ეწოდებოდა 1453 წლამდე, ამის შემდგომ კი მეჰმედ II-ის მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ მოიტანა სახელი იმპერია და იწოდებოდა ოსმალეთის იმპერიად.

1.2 ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიონისტური პოლიტიკა რეგიონში

ოსმანის სიკვდილის შემდეგ ტახტს იკავებს მისი ვაჟი ორხანი,რომელმაც დედაქალაქი ბურსაში გადაიტანა ქალაქში , რომელიც იმ დროს ითვლებოდა სავაჭრო და სატრანსპორტო ცენტრად. ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბების დასკვნით ფაზაში შესვლად შეგვიძლია აღვიქვათ 1327 წელს თურქული ვერცხლისგან მოჭრილი ფული ახჩა, ამის შემდგომ უკვე იწყება ოსმალების დამპყრობლური ომები რეგიონსა და მის გარეთ ბუნებრივია სახელმწიფო რომელსაც რეგიონში არ აქვს

სახარბიელო მდგომარეობა ვერ გახდება დიდი მოთამაშე საერთაშორისო დონეზე, ოსმალების საგარეო პოლიტიკაც იწყება პირველ რიგში რეგიონულ დონეზე გაძლიერებით, რაც გამოიხატა 1330 წელს იზნიქის დაპრყობით, შემდგომ ამას მოჰყვა თავდასხმა ბიზანტიის იმპერიაზე 1338 წელს, აღნიშვნის ღირსია ისიც რომ ოსმალები აწარმოებდნენ პერიოდულ ფარულ და არა აშკარა ომებს თურქულ ბეილიქებთან, ცდილობდნენ განევითარებინათ თავიანთი შესაძლებლობები როგორც სამხედრო ასევე დიპლომატიური მიმართულებითაც.[2]

ოსმალების პოლიტიკა რომელსაც ისინი ატარებდნენ ,,ურწმუნოთა" წინააღმდეგ ბრძოლაში შეუმჩნეველი არ დარჩენილა სხვა თურქული მოსახლეობისთვის რომელთაც ნებაყოფლობით სურდათ შეერთებოდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს, ამ ყველაფრის შემოქმედი გახლდათ ოსმალეთის მეფე ორხანი რომელმაც მოახერხა და პატარა დანაკარგებით დაიპყრო სარუხანის ბეილიქი და გერმიანის ბეილიქის ორი ქალაქი, ანკარა და ესკიშეჰირი, ორხანმა ასევე შეძლო რომ ესარგებლა კარასის ბეილიქის შიდა არეულობით და ისიც შემოუერთა სამფლობელოს, რაც თავისთავად ნიშნავდა რომ ოსმალები გავიდოდნენ დარდანელის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილზე და შექმნიდნენ პლაცდარმს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გასალაშქრებლად.

ოსმალეთის იმპერიის ზრდასა და განვითარებას ხელი შეუწყო XIV-XV საუკუნეებში ბალკანეთის სახელმწიფოებში არეულობებმა. საკმაოდ ხშირად იყო შემთხვევები , როდესაც ქვეყნის ორი დაპირისპირებული მხარე ოსმალებს მიმართავდა დასახმარბლად,რაც ნონსენსია გამომდინარე იქიდან, რომ ოსმალები მათი მრავალი საუკუნის მტრები იყვნენ. აღსანიშნავია ისიც რომ ოსმალებს ხშირად დახმარებისათვის მიმართავდნენ ბიზანტიელები, ერთ-ერთ დიდ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ იმპერატორის ტახტისთვის მებრძოლნი (კანტაკუზენები და პალეოლოგები) ბალკანეთის სახელმწიფოებში. ოსმალების წარმატებულ იმპერიალისტურ პოლიტიკას განაპირობებდა ბალკანურ ქვეყნებში არსებული შიდა

[2] . სვანიძე მ. - თურქეთის ისტორია, თბილისი 2007 გვ. 40-60

არეულობა სადაც წინა რიგებში მდგომი კლასები ცდილობდნენ მასების ჩაგვრას.ისინი ვერ ახერხებდნენ ხალხი გაერთიანებინათ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

მას შემდეგ რაც ოსმალებმა მოახერხეს ეგტეოსის ზღვაზე გასვლა დაიწყეს დამპყრობლური ომები ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. ოსმალები ხშირად ესხმოდნენ თავს ბულგარეთსა და სერბიას, რომლებიც იყვნენ მათი პირდაპირი მოწინააღმდეგები. ამ დროს ოსმალეთს კავშირი აქვს ბიზანტიის იმპერატორთან , როდესაც 1341 წელს დაიწყო შიდა არეულობა ბიზანტიაში ტახტისთვის მებრძოლ ორ მხარეს შორის ზემო ხსენებულ იოანე V პალეოლოგსა და იოანე VI კანტაკუზენს შორის მათ დახმარების გზა იპოვეს ოსმალეთში , რაც გამოიხატა იმაში რომ პალეოლოგმა კონტაქტი დაამყარა აიდინისა და მანისის ბეილიქების ჯარებთან, კანტაკუზენმა კი თავის მხრივ ოსმალეთის შახს ორხანს მიმართა, ასევე კანტაკუზენმა თავისი შვილი მიათხოვა ორხანს,საბოლოო ჯამში კი გამარჯვება დარჩა იოანე VI კანტაკუზენს , რომლის წარმატება ცხადია ორხანის დამსახურება იყო. ნიშნად ამისა ბიზაანტიის იმპერატორმა ოსმალებს 1352 წელს მისცეს ციხე-სიმაგრე ჩიმპე გალიპოლიის ნახევარკუძულზე.

შეგვიძლია ვთქვათ რომ აქედან იწყება ოსმალთა იმპერიის გავლენის გაზრდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სადაც მათი თავდასხმები უკვე რეგულარულ სახეს იძენს ოსმალები ცდილობდნენ დაპყრობილი მიწების საფუძვლიანად ათვისებასა და გაფართოებას. ამის შემდგომ გრძელდება ისევ არეულობა ბიზანტიაში , რამაც გამოიწვია იოანე კანტაკუზენის ტახტიდან ჩამოგდება, რითაც ორხანმა ფასადური დიპლომატიური ურთიერთობების ავლით შეიქმნა მოტივი რომ განეხორციელებინა იმპერიალისტური მიზნები ევროპის მაშტაბით დასტურად ამისა ორხანმა 1354 წელს აიღო ქალაქი გალიპოლი სადაც დაიწყო თურქული მოსახლეობის ჩასახლება, ასევე ოსმალებმა დაიპყრეს ისეთი დიდი ციხე-სიმაგრეები ,როგორიცაა: ჩორლუ და დიდი მოტუსონი. 1362 წელს კი აიღეს ადრიანოპოლი.

ოსმალებმა ამ ყველაფრით მოიპოვეს გასაღები , რომლითაც ისნი გავიდოდნენ

მეზობელი ბულგარეთის დაპყრობის გზაზე. ნათელი მაგალითი ამისა არის 1362 წელს ოსმალების მიერ პლოდვიდის ხელში ჩაგდება,რამაც ბულგარეთის მეფე იძულებური გახადა გამახდარიყო ოსმალეთის მოხარკე,მართალია ბულგარელი ხალხი ყველანაირად ცდილობდა დამპყრობლის უკუგდებას მაგრამ შიდა არეულობა ოსმალებს ძალიან დიდ სამსახურს უწევდა.

ოსმალთა იმპერიის გაფართოებამ საკმაოდ დიდი საშიშროების წინაშე დააყენა მაკედონია, სერბებმა აირეს ინიციატივა და გადაწყვიტეს ოსმალების წინააღმდეგ გალაშქრება რასაც მოჰყვა 1371 წელს ბრძოლა ადრიანოპოლისთან ახლოს , სადაც რათქმაუნდა ოსმალებმა გაიმარჯვეს,სერბიის წინამძღოლი ძმები კი ბრძოლის ველზე დაიღუპნენ ამ გამარჯვებამ ოსმალებს კარი გაუხსნა მაკედონიის , საბერძნეთისა და სერბიისაკენ, ამავდროულად სერბია გახდა ოსმალეთის სულთნის ვასალი,1371 წელს ოსმალები უკვე გადაერთნენ ბულგარეთის დაყოპა დაქუცმაცებაზე, რასაც მოჰყვა ბულგარების დიდი ქალაქების იანპოლის და კარნობატის დაკავება,ბულგსრეთმა თავი ასევე სულთნის ვასალად გამოაცხადა .

XIV საუკუნე ოსმალებისათვის საკმაოდ სახელწიფოებრივად დატვირთული აღმოჩნდა, 80-იან წლებში ისინი აქტიურად უტევდნენ ბულგარეთს , სერბიას , საბერძნეთს, მაკედონიას. ნიშნად ამისა 1381 წელს ოსმალებმა შეძლეს და აიღეს სოფია რითაც ავტომატურად გახსნენს კარი დასავლეთ ბულგარეთსა და სერბიაზე. 1386 წელს აიღეს ნიში და შეიჭრნენ ბულგარეთსა და სერბიაში . აქ უკვე ჩნდება წინაღობა ბოსნიელების სახით. 1386 წელს სერბიისა და ბოსნიის ლაშაქრებმა მოახსერბიისა და ბოსნიის ლაშაქრებმა მოახერხეს და დაამარცხეს ოსმალები,რამდენიმე წლის შემდეგ ბოსნიელებმა კვლავ შეძლეს ოსმალების დამარცხება , რამაც ბულგარეთის მეფეს უბიძგა უარი ეთქვა სულთნის ვასალობაზე.ამის საპასუხოდ მურად I ბულგარელების წინააღმდეგ გაგზავნა მრავამ ათასიანი ჯარი დაამარცხა ისინი და ბულგარეთის მეფეს კვლავ მოუწია ეღიარებინა სულთნის ვასალად.

ბულგარეთში მომხდარი ამბების შემდეგ მურად I გეზი უკვე სერბიისკენ აიღო,

რასაც მოჰყვა 1389 წელს ოსმალების შეჭრა სერბიაში , ამავე წლის 15 ივნის კოსოვოს ველზე მოხდა უდიდესი ბრძოლა ოსმალებს და სერბია-ბოსნიას გაერთიანებულ ჯარებს შორის. ბრძოლა საკმაოდ განსხვავებული სიტუაციებით იყო სავსე, დასაწყისში სერბ-ბოსნიელებმა შეძლეს და მოიპოვეს უპირატესობა, რაც გამოიხატა მათ მიერ მურად I -ს კარავში შეჭრით და მისი სასიკვდილოდ დაჭრით.იმისათვის რომ ოსმალთა რიგებში პანიკა არ დათესილიყო სარდლებმა გადაწყვიტეს ეს ინფორმაცია ჯარისათვის დაემალათ. ამის შემდგომ ბრძოლაში ერთვება მურადის შვილის მიერ დასახმარებლად გაგზავნილი ჯარი. აქვე აუცილებლად უნდა ავღნიშნოდ , რომ ოსმალებმა პირველად ამ ომში გამოიყენეს ზარბაზნები , რამაც თავის მხრივ არ დააყოვნა შედეგის მოტანა და აღნიშნული ბრძოლა ოსმალების გამარჯვებით დასრულდა. სერბია ოფიცილურად გახდა ოსმალების ვასალი.[3]

ამის შემდგომ ოსმალების დამპყრობლური ლაშქრები ალბანეთსაც მიადგნენ , თუმცა მათ მხოლოდ ადვილად დასაპყრობი ტერიტორიები შერჩად, ბაიაზიდ I 1393 წელს უკვე ალბანეთიდან ბულგარეთის დედაქალაქთან გადაინაცვლა ,ქალაქ ტირნოვოს ალყა სამი თვის განმავლობაში გაგრძელდა, რამაც ბულგარელებს დანებება აიძულა, ამის სემდგომ ოსმალებმა დაიკავეს ნიკოპოლი დაატყვევეს შიშმანი, დასაჯეს სიკვდილით და ტირნოვოს სამეფო განადგურებულად გამოცხადდა .1395-1396 წლებში მოახერხეს და გაანადგურეს ბულგარეთის ვიდინის სამეფო.

ჯერი დადგა უნგრეთზე ევროპა საკმაოდ დიდ საფრთხეში იყო, უნგრელებმა გადაწყვიტეს მოკავშირეების მონახვა გამომდინარე იქიდან, რომ ოსმალთა იმპერიისათვის წინააღმდეგობის გაწევა მაღ ძალებს აღემატებოდა, ევროპამ გაიაზრა თუ რამხელა გამოწვევის წინაშე იდგნენ ისინი, თვით რომის პაპმა მიმართა ევროპის სახელმწიფოებს, რომ შეექმნათ ჯვაროსნული კოალიცია ოსმალთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად. რათქმაუნდა შეშინებული ევროპელებისათვის ეს გზა საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, შეიქმნა კოალიცია სადაც შედიოდნენ :

[3] . სვანიძე მ. - თურქეთის ისტორია, თბილისი 2007 გვ. 70-90

უნგრელები,ფრანგები,გერმანელები, იტალიელები, ინგლისელები, ჩეხები.გაერთიანებული ძალები ჯამში 100.000 მებრძოლამდე ითვლიდა, უნდა ვახსენოთ რომ მათ უნგრეთის მეფე სიგიზმუნდ I ხელმძღვანელობდა. 1396 წელს მოხდა გარდამტეხი და ამავდროულად გადამწყვეტი ბრძოლა ჯვაროსნებსა და ოსმალებს შორის. მიუხედავად იმისა რომ ჯვაროსნების ლაშქარი ბევრად უფრო მეტ მეომარს ითვლიდა გამარჯვება მაინც ოსმალებს დარჩათ. აღსანიშნავია ბაიაზიდ I -ს სისასტიკე, ტყვედ ჩავარდნილებისადმი. ხალხის ხოცვა დღეების განმავლობაში გრძელდებოდა. ჯვაროსნებთან ტრიუმფის შემდეგ ოსმალებმა გადაწყვიტეს საბერძნეთის მიწასთან გასწორება, 1397 წელს ოსმალები ატიკასა და პელოპონესში შეიჭრნენ და მიწასთან გაასწორეს.

XV საუკუნის დასაწყისისათვის ოსმალეთის იმპერია შედგებოდა: მცირე აზიისა და ბალკანეთის ტერიტორიებისაგან.

ბაიაზიდმა შეტევა კონსტანტინეპოლზეც სცადა მაგრამ ქალაქის არახელსაყრელმა მდებარეობამ სულთანი სასურველ შედეგამდე ვერ მიიყვანა. ოსმალები დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ, როგორც ევროპაში ასევე აზიაში. 1385-1390 წლებში მათ დაიმორჩილეს ბეილიქები ანატოლიაში: მენთეშე, აიდინი, გერმიანი და სხვა. 1390-1392 წლებში მათ გაანადგურეს ყარამანის ბეილიქი. 1396 წელს დაიპყრეს სივასი, ამ დაპყრობების შედეგად ოსმალეთის ტერიტორიაში შედიოდნენ ძალიან ბევრი თურქები რაც მათ სამომავლო ძლიერებას კიდევ დიდ საფუძველს უყრიდა. XV საუკუნის დასაწყისში ოსმალები გეოგრაფიულად საკმაოდ გაფართოებულები იყვნენ, იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა ისეთი ტერიტორიები, როგორიც არის : მცირე აზია, ბალკანეთი და სხვა. კერკეტკაკალად რჩებოდა კონსტანტინოპოლი, რომელიც ოსმალების ალყაში 3 წლის განმავლობაში იმყოფებოდა მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მისი დაპყრობა. ბიზანტიის იმპერატორმა ოსმალების ალყიდან თავის დასახწევად დახმარება რომის პაპსა და ევროპის სხვა წამყავნ ქვეყნებს თხოვა., მიუხედავად ბევრი დაპირებისა მანუელ II -ს რეალური დახმარება არ მიუღია, რამაც რათქმაუნდა ოსმალების გააქტიურება გამოიწვია, ამას მოჰყვა ბაიაზიდის მიერ 1400

წელს კონსტანტინოპოლის გარე პერიმეტრის ბლოკირება და მზადება დიდი შეტევისთვის,თუმც ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც მათ სურდათ ამ დროს თემურ ლენგი აღმოსავლეთიდან გამოემართა ოსმალეთის იმპერიის გასანადგურებლად. ბაიაზიდი და თემურ ლენგი იმდროინდელი მსოფლიოს ორი უდიდესი დამპყრობლები იყვნენ, ისინი იყვნენ ადამიანები , რომლებიც იბრძოდნენ არამარტო რეგიონის ან კონტინენტის არამედ მსოფლიოს დასამორჩილებლად.[4] ევროპა ამ ყველაფერს დამკვირვებლური თვალით უმზერდა მათ აინტერესებდათ სასწორი რომლის მხარეს გადაიხრებოდა და როდესაც შეიტყვეს თემურ ლენგის განძრახვის შესახებ შვებით ამოისუნთქეს. მაშინ როდესაც თემურ ლენგი წინა რიგებში გამოვიდა სამყაროში ანარქია სუფევდა,მან ამ ყველაფრით რატქმაუნდა ისარგებლა და მიზნად დაისახა მონღოლთა იმპერიის თავიდან გაცოცხლება. მან ქარიშხალივით გადაუარა ირანს , ამიერკავკასიას,რუსეთს,აზიას,მის დამპყრობლურ ომებს მხოლოდ ეგვიპტე გადაურჩა, თემურ ლენგს ასევე სურდა ჩინეთი დაპყრობა თუმცა სურვილი სურვილადვე დარჩა, მან თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ბრძოლებში გაატარა. მოიხვეჭა სახელი როგორც უსასტიკესმა და სისხლის მსმელმა ტირანმა,ის ანადგურებდა, წვავდა, აწამებდა, ბავშვებს, ქალებს,მოხუცებს. დახოცილთა თავებით აგებდა პირამიდებ, რომ ხალხში საყოველთაო შიში დაეთესა. საქართველომ უდიდესი დარტყმა მიიღო თემურ ლენგის 8 ჯერ შემოსვლით .ერთადერთი დიდი წინაღობა რაც თემურ ლენგს აზიაში ბატონობისათვის უშლიდა ხელს იყო ოსმალეთი, რომელიც ამავდროულად არ უჩიოდა ძალების სიმწირეს. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო სავაჭრო გზების ჩაგდება, რომელიც ოსმალეთზე გადიოდა, მას კარგად ესმოდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელ სამყაროში ვაჭრობას, თუ როგორ აისახებოდა ეს როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ასევე სამხედრო ძლიერებაზე. 1395 წელს მან გაანადგურა ოქროს ულუსის ტერიტორია, მან მთლიანად დაანგრია ის ქალაქები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ საქარავნო ვაჭრობაში. ამ დროს თავის მხრივ ოსმალებიც არ უდებდნენ ტოლს თემურ

[4] . სვანიძე მ. - თურქეთის ისტორია, თბილისი 2007 გვ. 257-286

ლენგის დამპყრობლურ ამბიციებს. მონღოლებიცა და ოსმალებიც ემზადებოდნენ გადამწყვეტი ომისათვის. აქ აღსანიშნავია თემურ ლენგის დიპლომატიური გათვლები, ოსმალებთან ბრძოლის მზადების პროცესში მანდ დეტალურად იცოდა თუ რა ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეტში ბიზანტიელებსა და ოსმალებს. 1399 წლის ბრძოლების შემდეგ ინდოეთში თემურ ლენგი კარგად ხვდებოდა რომ ელოდა გარდაუვალი დაპირისპირება ბაიაზიდთნ,ამ დროს მონღოლებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური ამინდი აზიაში ნამდვილად არ სუფევდა, ბაღდადის ილხანთა გამგებელი უკვე მეორედ განუდგა თემურ ლენგს და დახმარება ოსმალებს სთხოვა დაიწყო მასობრივი გამოსვლები სისხლისმსმელი ტირანის წინააღმდეგ. ამ ყველაფრით რათქმაუნდა ისარგებლეს ოსმალებმა და ერზინჯანს დაესხნენ თავს , ამ დროს არეულობა სუფევდა საქართველოშიც , საპასუხოდ ამისა თემურ ლენგსაც სთხოვდნენ დახმარებას ბაიაზიდის დამარცხებული ბეილიქების ემირები . თემურ ლენგმა გადაწყვიტა ჯერ მთლიან დაქვემდებარებაში ჰყოლოდა საქართველო, იგი შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაში ქვემო ქართლის მხრიდან, სასტიკად ააოხრა, ამის შემდგომ ის ჩავიდა მესხეთში და მესხეთშივე დაბანაკდა, სადაც მან ორი თვე დაჰყო, რათა დაესვენებინა მებრძოლები და ცხენები. ამის შემდგომ მონღოლები სივასისკენ დაიძრნენ და ალყა შემოარტყეს, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა თემურმა მაინც შეძლო ქალაქის აღება, რის შემდეგაც დახოცა მოწინააღმდეგე ოსმალები, ხოლო 4000 სომეხი ცოცხლად დამარხა. ამის შემდგომ მონღოლები სირიისკენ გაეშურნენ , რომლებიც თავისმხრივ ეგვიპტის ბატონობას ვერ აღწევდნენ თავს, მათ დაიპყრეს ალეპო , დამასკო და სხვა დიდი ქალაქები.[5]

მაშინ როდესაც თემურ ლენგი ლაშქრობებს სირიაში მართავდა ბაიაზიდ I -მა სივასის აოხრების გამო შურის საძიებლად ერზინჯანს დაესხა თავს და აიღო კიდეც . ევროპა თემურ ლენგისადმი დადებითად იყო განწყობილი გამომდინარე იქიდან რომ ისინი ხედავდნენ მასში მხსნელს ოსმალებისაგან , ნიშნად ამისა თემურიც ხედავდა

[5] .სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ,- ახლო აღმოსავლეთის ისტორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011 გვ. 157

მოკავშირედ ბიზანტიასა და ტრაპზონს , მეტიც ბიზანტიელებმა დახმარებაც კი შესთავაზეს მას ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1402 წელს მონღოლების პოზიცია საკამოდ მყარი იყო მათ აღიდგინეს დაკარგული ძალაუფლება აზიში , დაიპყრეს უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ქალაქები და ამავდროულად ოსმალებს ჩამოართვეს სივასი. ამავე წელს თემურმა მოიწვია კრება, სადაც საბოლოოდ გადაწყდა დაეწყოთ ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ. 1402 წელსვე გაემართნენ მონღოლები ანატოლიისაკენ, რის შემდეგაც ფინალური ომი უნდა გაემართათ ოსმალების წინააღმდეგ.

ბაიაზიდი მომზადებული იყო შესაძლო სცენარითვის და მანაც დაძრა თვისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი, მონღოლებისაკენ . ოსმალეთის სულთანს ურჩევდნენ , რომ შეძლებისდაგვარად თავი აერიდებინა თემურ ლენგთან პირდაპირ დაპირისპირებაზე, რაც გულისხმობდა იმას, რომ ბრძოლა არ უნდა გამართულიყო გაშლილ ადგილას არამედ ხეობებსა და მთებში შეეტყუებინა იგი და პარტიზანული გზებით დაემარცხებინა მტერი, მაგრამ ბაიაზიდმა როგორც ნამდვილმა მხედართ მთავარმა ეს რჩევები უკუაგდო და გადაწყვიტა მტერს პირისპირ დადგომოდა. თემურ ლენგსა და ბაიაზიდს შორის გადამწყვეტი ბრძოლა 1402 წელს ანგორასთან , დღევნდელ ანკარასთან მოხდა. ისტორიული წყაროების თანახმად ოსმალების არმია 170000 მდე ითვლიდა,ხოლო თემურ ლენგის მას რამდენჯერმე აღემატებოდა. ბრძოლაში მონაწილეობდნენ ასევე ინდური სპილოები , რაც მტერში შიშის მარცვლებს თესავდა , თემურ ლენგმა სასტიკად დაამარცხა ოსმალები , ბაიაზიდი და მისი შვილი ტყვეთ ჩაიგდო . უნდა ითქვას რომ ოსმალების დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ღალატი. ანატოლიის ბეილიქების ემირები იყვნენ თემურ ლენგის ლაშქარში , თემური კი მათ ბეილიქების დაბრუნებას პირდებოდა , ბრძოლის დროს კი აღნიშნული ბეილიქების სამხედრო რაზმები ბეგების მხარეს გადავიდნენ.[6] მემატიანეების მიერ არის შემონახული ცნობები სადაც აღწერილია ორი დიდი

[6] სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ,- ახლო აღმოსავლეთის ისტორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011 გვ. 160

ტირანის შეხვედრა, ერთი გამარჯვებული, ხოლო მეორე დამარცხებული. თემურ ლენგმა ბაიაზიდს თანაგრძნობით მიმართა „ დიდმა ალაჰმა ნახევარი მსოფლიო მიბოძა მე კოჭლს და ნახევარიც შენ ცალთვალას, კურთხეულ იყოს მისი ნახელი „. არსებობს ფაქტები რომლის მი9ხედვითაც, როდესაც თემურს დატყვევებული ბაიაზიდი მიჰგვარეს უნებურად სიცილი წასკდა, რაზეც ხონთქარს გული მოსვლია და უთქვამს, დღე უღამოდ არავის უნახავს, რაზეც თემურმა უპასუხა ვფიცავ ღმერთს ,რომელს არ ყოფილა სიხარულის სიცილი, მე გამეცინა იმაზე, რომ მე კოჭლმა და თქვენ ელამმა 200000 კაცი უბრალოდ შევახოცეთ ერთმანეთს. ამის შემდეგ მონღოლებმმა ნიჯრით დაიპყრეს რამდენიმე ქალაქი საშინლად გაძარცვეს და ააოხრეს ისინი , თემურმა ამავდროულად გადაწყვიტა ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები დაემყარებინა, მან ევროპაში დაგზავნა წერილები, რომელშიც იგი დამეგობრებას სთავაზობდა მათ. აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც თემურ ლენგი აზიაში ლაშქრობებს მმართავდა თან დაატარებდა დატყვევებულ ბაიაზიდს. მანდ გაქცევა რამდენჯერმე სცადა თუმცა უშედეგოდ, 1403 წელს ბაიაზიდი ტყვეობაში გარდაიცვალა. მცირე აზიის დაპყრობის შემდეგ მონღოლები სამშობლოს დაუბრუნდნენ და დაიწყეს მზადება ჩინეთში ბრძოლისათვის, მაგრამ 1405 წელს თემური მოულოდნელად გარდაიცვალა.

მონღოლების ლაშქრობებმა საგრძნობლად დაასუსტა ოსმალები, მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ოსმალეთის დიდი ხნით გამოთიშვა კონტინენტიდდან, რასაც მიაღწიეს კიდეც, ხაზგასასმელია თემურლენგის დიპლომატიური ზრახვები, მან გადაწყვიტა ბაიაზიდის ოთხი ვაჟისათვის დაერიგებინა ოსმალეთის მიწები რითაც ხელს შეუწყობდა ძმებთა შორის ომებს, რამაც გაამართლა კიდეც, ბაიაზიდის ერთ-ერთი ვაჟი დაწინაურდა ბრძოლაში, მას ერგო წილად ევროპის სამფლობელოები, ადრიანოპოლისის ჩათვლით, რამაც მას მისცა საშუალება განეცხადებინა პრეტენზია სულთნობაზე, ამავდროულად მან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები ბიზანტიელებთან, სულეიმანი მანუელ II-ს შეჰპირდა რომ თუ ძმებთა შორის ბრძოლებში ის მის მხარეს დაიჭერდა დაუბრუნებდა მას თესალონიკეს, თრაკიას, და

მომავლისათვის აზიის სხვა ქალაქებს რომლებსაც იმხანად აკონტროლებდნენ ბაიაზიდის სხვა შვილები, ამავდროულად იგი დაუკავშირდა ვენეციასა და გენუას, რომლებთანაც დადო შემდეგი ხასიათის ხელშეკრულება რაც გულისხმობდა რომ თუ მოხდებოდა ომი ძმებთა შორის ისინი დაიცავდნენ ნეიტრალიტეტს და არ ჩაერეოდნენ ამ დაპირისპირებაში.[7]

უნდა ითქვას ისიც, რომ არც სხვა ძმები ისხდნენ გუხელ დაკრეფილი,მაგალითად მუსტაფამ დახმარებისათვის მიმართა ვალახეთს, ბრძოლა ძმებს შორის საკმაოდ ფართო მასშტაბებზე გადიოდა, იმიტომ რომ ისინი იბრძოდნენ არამხოლოდ პირადი რესურსებით არამედ, დახმარებას იღებდნენ ისეთი მხარეებიდან, რომლებსაც ჰქონდათ პირადი ინტერესები, სუყლეიმანის მხარდამჭერები ერთი პერიოდი იყვნენ ევროპის ვასალური სამფლობელოების ბეგები, თუმც სულეიმანის ბევრმა ცდებმმა მისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ტახტისთვის ბრძოლაში დამარცხდა. სულეიმანს ასევე ჰქონდა დიდი უთანხმოება მის ძმასთან ისასთან, რომელმაც თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა, სადაც მან შეძლო პირადი ლაშქრის შეგროვება, სულეიმანთან საბრძოლველად, თუმც კიდევ დამარცხდა . მან მესამედაც ცადა მისი ძმის დამარცხება ,თუმცა აქაც ფიასკო განიცადა. 1405 წელს კი სულეიმანმა იგი სიკვდილით დასაჯა. სულეიმანის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა ასევე მუსამ, სულეიმანმა აქაც შესძლო ძმის დამარცხება, საბოლოო ჯამში სულეიმანმა უყურადღებლობით ,ლოთობითა და დროს ტარების სიყვარულით დაკარგა გავლენა არმიაში, რითაც მისმა ძმამ მუსამ ისარგებლა, 1409 წელს კი შეტაკების დროს სულეიმანი დაამარცხა და მოკლა. მუსა შევიდა ადრიანოპოლში და დაიკავა ტახტი. თემურ ლენგის მიერ ბაიაზიდის დამარცხება ოსმალეთის საფრთხე ევროპისათვის მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ მუდამ II-ის დაპყრობებმა ბალკანეთში კვლავ გააღვივა საფრთხე. ამისათვის საჭირო გახდა ევროპული ერთობა, თუმც ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში დიდი არეულობა სუფევდა. 1439 წელს კვლავ დაანონსდა რომის პაპის მიერ ჯვაროსნული ლაშქრობები ოსმალეთის

[7] მაკარაძე ე.-თურქეთის ისტორია 1918-2018 თბილისი 2019 გვ. 30-40

წინააღმდეგ, თუმცა სისრულეში მოყვანა უფროდაუფრო იწელებოდა. 1440 წელს მურადი შეიჭრა სერბიაში, თუმც მან მისი გეგმა რაც ეხებოდა ბელგრადის აღებას სისრულეში ვერ მოიყვანა. რომის პაპმა ევროპელებს კვლავ მოუწოდა ჯვაროსნული ლაშქრობებისკენ. 1443 წელს უნგრეთის არმია , რომელშიც შედიოდნენ ევროპის ქვეყნები და ასევე ჯვაროსნები დასავლეთ ევროპისაკნ დაიძრნენ . ჯვაროსნებმა დაამარცხეს სამი საფაშოს ლაშქარი და აიღეს სოფია.

1451 წელს მურად II გარდაიცვალა , ხოლო ამავე წელს ტახტი დაიკავა მეჰმედ II -მ ,მას ტახტზე ასვლა მიულოცეს ევროპის ელჩებმა, ამ ფაქტით განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერატორი დარჩა , როდესაც მეჰმედმა ყურანდე დაიფიცა, რომ არ დაემუქრებოდა ბიზანტიის ტერიტორიის მთლიანობას.[8] ამავე წელს მეჰმედი შეუდგა კონსტანტინოპოლის აღების საკითხს. მან დაიწყო მობილიზება შავი მუშების, ხელოსნების რათა აეშენებინათ ციხე-სიმაგრე, რათქმაუნდა სულთნის ამ ნაბიჯმა კონსტანტინოპოლის აღშფოთება გამოიწვია.ამავე წელს დამთავრდა ციხე-სიმაგრის მშენებლობა , რომელსაც სახელად ეწონდა რუმელი-ჰისარი. 1453 წლისთვის სულთანმა გადაწყვიტა დაეწყო კონსტანტინოპოლის აღება სადაც იგი უდიდეს როლს ანიჭებდა ფლოტს. მეჰმედს კარგად ესმოდა, რომ კონსტანტინოპოლის კედლები წინაღობა ზარბაზნების გარეშე ვერ დაიძლეოდა. ამაში სულთანს დახმარება გაუწია უნგრელმა ინჟინერმა , რომელსაც დიდი ჯამაგირი დაუნიშნა , სწორედ მის მიერ ჩამოსხმული პირველი ზარბაზნით ჩაძირეს ვენეციის გემი. ამ ყველაფერმა მეჰმედი აღფრთოვანება გამოიწვია და სთხოვა უფრო დიდი ზარბაზანი ჩამოესხა. ამავე წელს მეჰმედ II კონსტანტინოპოლის მახლობლად დაბინავდა და ამიის სრული მობილიზაცია გამოაცხადა. ბიზანტიის იმპერატორმა გადაწყვიტა დახმარება ეთხოვა რომის პაპისათვის, თუმც ამ დროს სახარბიელო ურთიერთობა ნამდვილად არ იყო ბიზანტიის ეკლესიასა და რომის პაპს შორის. 1453 წლის 5 აპრილს კონსტანტინოპოლის კედლებთან განლაგდა ოსმალეთის არმია, მეჰმედ II-ის

[8] მაკარაძე ე.-თურქეთის ისტორია 1918-2018 თბილისი 2019 გვ. 60-97

მთავრასარდლობით , ალყა 53 დღე გაგრძელდა, მიუხედავად იმისა რომ ოსმალები ბევრად მეტნი იყვნენ ვიდრე ციხე სიმაგრის დაცვა ისინი მაინც გმირულად იბრძოდნენ.მათ მოიყვანეს ზარბაზნები სრულ მზადყოფნაში და დაიწყეს კედლების დაბომბვა , მათი მთავარი სამიზნე იყო ადრიანოპოლის კარი, კონსტანტინოპოლმა დიდი ზიანი მიიღო . მეჰმედმა გადაწყვიტა ზარბაზნების მთელი კოლონა ადრიანოპოლისკენ მიემართა . მეჰმედის ინიციატივით ქალაქის გარშემო დაინთო კოცონები , რამაც მოსახლეობაზე ცუდი ზეგავლენა მოახდინა, 29 მაისს ღამით ოსმალები გადავიდნენ შეტევაზე, რამაც საბოლოოდ მოიტანა შედეგი , სულთანი მრავალრიცხოვანი ამალით შევიდა კონსტანტინოპოლში, სადაც მას მიართვეს იმპერატოს კონსტანტინეს მოკვეთილი თავი.[9]

კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალების მთავარი მიზანი იყო შავი ზღვისპირეთის სავაჭრო ზოლის ხელში ჩაგდება, რაც მათ მისცემდა უდიდეს ეკონომიკურ სარგებელს, სიტუაცია ასევე დაძაბული იყო ბალკანეთში სადაც ოსმალებმა ხელთ იგდეს სებია და გახადეს იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია. მიხწეული წარმატებების შემდეგ 1775 წელს ოსმალეთის ფლოტი ყირიმს მიადგა და ხელთ იგდეს იქაური ზღვისპირა ქალაქები, ოსმალებმა ასევე ხელთ იგდეს აზოვის ზღვის სანაპირო.

მეჰმედ II -ს სიკვდილის შემდეგ უფლისწურებს შორის სასტიკი ომი გაიმართა, გადამწყვეტი ბრძოლა ბაიაზის II-სა და ჯემს შორის შედგა, ჯემი დამარცხდა და გაიქცა ეგვიპტეში, გამარჯვება და ტახტი კი ბაიაზიდ II-ს დარჩა.

ოსმალეთის დომინანტურმა როლმა რეგიონში მრავალრიცხოვანი გახადა იმ ქვეყანათა რიცხვი რომელთაც დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება სურდათ იმპერიასთან, განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ გენუისა და ვენეციის რესპუბლიკები გამომდინარე მათი სავაჭრო ინტერესებიდან. დრო მოვიდა დიპლომატიური კავშირის დამყარება რუსეთთან, პირველი კონტაქტი

[9] მაკარაძე ე.-თურქეთის ისტორია 1918-2018 თბილისი 2019 გვ. 100-145

მათ მართალია ადრე ჰქონდათ მაგრამ, XV საუკუნის ბოლომდე ეს ურთიერთობა არ წამოებდა, ოსმალეთმა გამოიჩინა ინიციატივა ,დიპლომატიური კავშირისა რუსეთთან , თუმც მათი კავშირი არც თუ ისე წარმატებული აღმოჩნდა .

XVI საუკუნის დამდეგს ირანში პოლიტიკური ცვლილებების ხანა დაიწყო , 1501 წელს შეიქმნა ირანის სეფიანთა სახელმწიფო, რეგიონში გაჩნდა ახალი ძალა , რომლებიც განაცხადებდნენ პრეტენზიას პირველობაზე,ბაიზიდ II -მ გაგზავნა ელჩობა შაჰ ისმაილთან , ოსმალებს სურდათ კარგი ურთიერთობის დამყარება, თუმც ეს საკმაოდ რთული საკითხი იყო, ამან ვერ შეუშალა ხელი ყიზილბაშების წინსვლას დასავლეთის მიმართულებით , ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეები ბაიაზდ II-ს ბრალს სდებდნენ დაბალი ხარისხის დიპლომატიაში, რამაც გამოიწვია სეფიანთა ირანის ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება , ბაიაზიდის წინააღმდეგ კიდევ უფრო მეტი ადამიანი გამოვიდა , რამაც გამოიწვია მისი ტახტიდან ჩამოგდება. ბუნებრივია გარდაუვალი იყო ომი ოსმალეთსა და ირანს შორის, განსაკუთრებით სელიმ I აძლიერებდა წნეხს ირანის მიმართულებით , საიდანაც იწყება ხანგრძლივი ბრძოლა მათ შორის.[10]1514 წლის გაზაფხულზე შეიკრიბა საგანგებო მდივანი, სადაც გაწყდა , რომ ყოველი მუსლიმის მოვალეობაა ყიზილბაშებთან ბრძოლა , სელიმი საკმაოდ საშიშ საქმედ მიიჩნევდა ირანის პირდაპირ გამოწვევას, ეს იქნებოდა უდიდესი მსხვერპლის და ზარალის გამომწვევი იქნებოდა, თუმც სულთანმა მაინც გადაწყვიტა ირანის დაპყრობა და ამავე წლის 20 აპრილს დატოვა სტამბოლი და შეუდგა ბრძალისათვის მზადებას, ოსმალების ლაშქარი გაცილებით არემატებოდა ყიზილბასებს. ომი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდა დაიწყო შიდა არეულობა ოსმალების რიგებში, ლაშქარმა ურჩია კიდევაც სელიმს , რომ სურსათ სანივაგის სიმცირის გამო შეეწყვიტა ლაშქრობა, განრიცხებულმა სელიმმა ამ იდეის ავტორები სიკვლით დასაჯა და ლაშქარს უბრძანა ბრძოლა გაეგრძელებინათ. საბოლოო ჯამში სელიმის იდეისადმი თავგანწირვამ შედეგი გამოიღო დამარცხდა

[10] 8Hale W,- Turkish Foreign Policy 1774-2000, p. 23-45

ირანი და ოსმალებს საშუალება მიეცათ ეგვიპტის წინააღმდეგ გაელაშქრებინათ.

1516 წლიდან დაიწყო მზადება ეგვიპტის წინააღმდეგ საბრძოლველად, სელიმის წისქვილზე წყალს ასხავდა ისიც, რომ მამლუქთა დიპლომატია არ იყო მაღალ დონეზე. ეგვიპტის სულთანი ყველანაირად ცდილობდა გაეწელა დრო ,მას ბოლო წუთამდე სჯეროდა, რომ მოლაპარაკების გზით სელიმთან შეიძლებოდა ურთიერთობების დალაგება, თავის მხრივ სელიმსაც აფიქრებდა ის სირთულეები რაც მამლუქთა ლაშქართან ბრძოლას მოჰყვებოდა , ასევე მას ჰქონდა შიში ზურში ირანის თავდასხმის. ოსმალებმა პირველ რიგში გადაწყვიტეს დაეკავებინათ სირია და პალესტინა, მათ თითქმის უბრძოლველად დაიპყრეს ქალაქები ამის შემდგომ კი მოხდა ეგვიპტის ოკუპაცია,1520 წელს გარდაიცვალა სელიმ I.[11] ტახტზე კი მისი შვილი სულეიმან I ავიდა, რომლის მთავარ სარდლობის პერიოდში ოსმალეთმა მისი ძლიერების ზენიტს მიაღწია , სულეიმანს ევროპელებმა ბრწყინვალე უწოდეს, მისმა შორს მჭვრეტელმა და გამჭრიახმა გონებამ იმპერიის საფუძვლები განამტკიცა, სულეიმანის ნომერ პირველ ინტერესში ჯდებოდა ევროპის დაპყრობა და იმპერიის რაც შეიძლება გაფართოვება, სულეიმანმა დაამარცხა უნგრეთი , დაიპყრო როდოსი. ოსმალების აგრესია ევროპული ქვეყნებისადმი უფროდაუფრო ძლიერდებოდა რასაც მოჰყვა ომი ავსტრიასთან ,მათ აიღეს ვენა , ოსმალთა ლაშქრობები გაგრძელდა აფრიკაში, სულეიმანის იდეა იყო გაეყვანა სუეცის არხი და დაკავშირებოდა ინდოეთს, 1555 წელს ოსმალები შეიჭრნენ სუდანში ასევე დაეხსნენ თავს ეთიოპიას, ასევე ტუნის.სულეიმან I ჰეგომონებისთვის ბრძოლას აწარმოებდა საღვთო რომის იმპერიასთან, ამავე პერიოდში იმპერატორი კარლოს V ებრძოდა საფრანგეთს, რამაც გამოიწვია, საფრანგეთისა და ოსმალეთის დამეგობრება, საიდანაც საფრანგეთმა საკმაოდ დიდი ეკონომიკური მოგება ნახა.

[11] Bozdaglioglu Y,- Turkish freign polic and Turkish identity, 2004 p. 43-67

1.3 იმპერიის რღვევის პროცესში არაბების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

სულეიმანის სიკვდილის შემდეგ ტახტს მისი შვილი სელიმი იკავებს რომელიც ნამდვილად არ გამოირჩეოდა სამშობლოსადმი სიყვარულით, იგი მთელ თავის დროს დროს ტარებასა და ლოთობაში ატარებდა, სულეიმანის სიკვდილის შემდეგ იწყება ოსმალეთის იმპერიაში ბზარების გაჩენა, ერთ-ერთ უდიდეს მოვლენად ჩაითვალა ზავის დადება ავსტრიასთან, რის შემდეგაც ოსმალეთმა გააძლიერა წნეხი აღმოსავლეთის მიმართულებით, იყო სურვილი ასტრახანის დაპყრობისა რომელიც ასევე სურვილად დარჩა.ირანსა და ოსმალებს შორის დაძაბულმა ურთიერთობებმა კვლავ იჩინა თავი ,რომელსადც არ უჩანდა ბოლო,ოსმალეთის წარმატებები თანდათანობით უფროდაუფრო მცირდებოდა, ისინი ვეღარ ახერხებდნენ დაპყრობილი ქვეყნების გაკონტროლებას, 1580 წელს ირანის ელჩი სტამბოლს ეწვია , მან სულთანი ინახულა და ზავი შესთავაზა ,მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა ირანის ელჩმა კი იმპერიის დედაქალაქი დატოვა. XVII საუკუნის დასაწისისათვის ირანი ცდილობდა საქართველოს საკითხი საბოლოოდ გადაეჭრა მის სასარგებლოდ, 1613 წელს შაჰ-აბასი მრავალრიცხოვანი ლაშქრით საქართველოსკენ გამოემართა და გეგმის განხორციელებას შეუდგა, XVII საუკუნის შუა პერიოდში ოსმალეთი განიცდიდა დიდ პოლიტიკურ კრიზის, იბრაჰიმ I -ის აშვებულმა ცხოვრებამ იმპერიის განვითარებას ხელი შეუშალა, ასეთივე კრიზისი მძვინვარებდა XVIII საუკუნის დამდეგს , ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მუშათა კლასის წარმომადგენლები. ამ პერიოდში ოსმალეთი საერთოდ არ აწარმოებდა დამპყრობლურ ომებს მისი არასახარბიელო სამხედრო მდგომარეობის გამო, თუმც ეს იმას არ ნიშნავდა რომ იმპერია უარს ამბობდა, დომინანტის როლზე რეგიონსა და სამყაროში . საუკუნის მეორე ათწლეულიდან მათ კვლავ განაახლეს ომი ევროპაში. 1739 წელს საფრანგეთმა ოსმალეთ დიდი დახმარება გაუწია საპასუხოდ სულთანმა საფრანგეთს გენერალური „კაპიტულაცია''აჩუქა, რაც ნიშნავდა პრივილეგიებს ვაჭრობაში , დროის გასვლასთან ერთად ოსმალეთს ურთიერთობა უფუჭდებოდა რუსეთთან , ოსმალეთმა რუსებს შავზღვაზე გასვლა აუკრძალა, რამაც შეაფერხა

რუსეთის ეკონომიკური განვითარება , რუსეთი ყველანაირად ცდილობდა თავიდან აეცილებინა ღია სამხედრო შეტაკებები ,ოსმალეთში სასახლის კარზე საპირისპირო აზრის მქონე ბევრი ადამიანი მოიძებნებოდა , რომელთა აზრით ბრძოლა რუსეთთან დროის საკითხი იყო, 1768 წელს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს , 1769 წელს მოხდა პირველი ბრძოლა მათ შორის .ბრძოლა რუსების უპირატესობით მიმდინარეობდა , 1770 წელს ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ , 1774 წლის ივლისში ქუჩუკ კაინარჯში გაიმართა მოლაპარაკება და ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და რუსეთს შორის.[12]

XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე ოსმალეთში დიდი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი მძვინავრებდა, საჭირო იყო რეფორმები რომელიც შემოიტანდა ბალანს იმპერიაში , 1789 წელს ტახტი დაიკავა სელიმ III-მ რომელიც ისტორიაში შევიდა რეფორმატორის სახელით, იგი იყო უაღრესად განათლებული და გამოცდილი პიროვნება,მის სახელს უკავშირდება არაერთი დიდი ცვლილება , რომელმაც ოსმალეთს თვით რწმენა დაუბრუნა, ამავე პერიოდში საფრანგეთში არაეულობა იყო , მიმდინარეობდა ბურჟუაზიული რევოლუცია .ფრანგები ინტერესდებოდნენ ოსლმალეთის იმპერიის მიწებით, მათ განსაკუთრებულ ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ეგვიპტე, ნაპოლეონ ბონაპარტმა გადაწყვიტა ლაშქრობა ეგვიპტეში, რის შემდეგაც მისი ავტორიტეტი ერთიორად გაიზრდებოდა, ნაპოლეონმა დაიკავა კაირო ,ოსმალეთმა ამ დროს ხსნის გზა რუსეთში ნახა და დახმარება პავლე I-ს სთხოვა. რუსეთისაგან დახმარების მიღების მოლოდინმა ოსმალებს გადააწყვეტინა ომი გამოეცხადებინა საფრანგეთისთვის, რუსეთ-ოსმალეთის კავშირმა ფრანგები განდევნა იონიის და კორფუს კუნძულებიდან , საფრანგეთს მოეწია ეგვიპტის დატოვება. მიმდინარე პროცესებმა ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის ზავის დადების აუცილებლობა გააჩინა . 1802 წელს ამიენში დაიდო ზავი საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის, რამაც მდგომარეობა მეტნაკლებლად დაასტაბილურა, 1853 წელს

[12] Davutoglu A,- Strategic Depth, 2001 p. 37-76

რუსეთმა ოსმალეთთან ომის წამოწყება გადაწყვიტა ამ პერიოდში რუსეთი საკმაოდ საშიშად გამოიყურებოდა, მათი იმდროინდელი ევროპული რევოლუციების შეჩერება მოახერხეს ,მათ გადაწყვიტეს ამ ყველაფრით ესარგებლათ და დაიწყეს დიპლომატიური მოლაპარაკებები ინგლისთან , რუსებს სურდათ დარწმუნებულიყვნენ ინგლისის მხარდაჭერასი, ოსმალეთის წინააღმდეგ, თუმცა ინგლისელებისთვის ეს წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა , ნიკოლოზ I გზაგასაყარზე იდგა ერთი გზით მას უწევდა თავის გეგმებზე უარის თქმა ,ხოლო მეორე გზით მას უნდა დაეტანა თავისი. რათქმაუნდა მან მეორე გზა არჩია , გამომდინარე იქიდან , რომ იგი დარწმუნებული იყო რუსეთის სიძლიერეში . თუმც ამ დროს ვერ გათვალა ის თუ რა პოზიციას იკავებდნენ ევროპული ქვეყნები,მათ არ სურდათ ევროპაში ხელახალი არეულობა და გამომდინარე აქედან მათ არჩიეს მაყურებლის როლი, ამ დროს რუსეთის იმპერატორმა სტამბოლში გაგზავნა ელჩები სადაც უბძანა , რომ კატეგორიულად უნდა დაეყენებინა საკითხი ,მიეღო უფლება ფარველობა გაეწია ოსმალეთში მცხოვრები მართმადიდებელი ქვეშევრდომებისთვის. ასევე რუსული დელეგაცია გაფრთხილებული იყო , რომ არ დაეხია უკან ომზეც კი. რუსეთის წარმომადგენლებს სტამბოლში საკმაოდ გულთბილი დახვედრა მოუწყეს. რუსული დელეგაციის წარმომადგენლები საკმაოდ ხისტი საუბრით გამოირჩეოდნენ ოსმალებთან , სულთანი წავიდა დათმობაზე რაზეც რუსებმა ახალი მოთხოვნა წაუყენეს, წმინდა ადგილებთან დაკავშირებით . სულთანმა უარყო ეს წინადადება და რუსები დაუბრუნდნენ სამშობლოში. 1876 წელს ოსმალეთმა მიიღო კონსტიტუცია , ოსმალეთის ისტორიაში ეს ფაქტი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, მათ იხელმძღვანელეს პრუსიისა და ბელგიის კონსტიტუციებით.ამავე კონსტიტუციით ოსმალეთში დამტკიცდა მონარქია და პარლამენტარული წყობა, რომელიც შედგებოდა ორი პალატისგან.[13]

[13] Koseblaban.H Turkish - Foreign Policy: Islam, Nationalism,and Globalization 2002 p. 57-97

თავიII

თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური პრიორიტეტები ახლო აღმოსავლეთში

მსოფლიოში მიმდინარე ანარქიულმა პროცესებმა გარდაუვალი გახადა მაშტაბური დაპირისპირება , მონაპოლისტურ სახელმწიფოებს შორის. სამყარო ორად გაიყო ანტანტა და სამთა კავშირი ,მათ საერთო მხოლოდ ის ჰქონდათ რომ სურდათ ოსმალეთი თავიანთ მხარეზე მიემხროთ , ოსმალეთის ეკონომიკური რესურსები და სტრატეგიული მდებარეობა მადის აღმრძვრელად გამოიყურებოდა ევროპული სახელმწიფოებისათვის , მაშინ როდესაც პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდი იდგა ოსმალეთმა და გერმანიამ ფარული მოლაპარაკებები გამართეს , 1914 წელს გერმანიასა და ოსმალეთს შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება , ამავე წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა რუსეთს , თუმცა ოსმალეთი ჯერ ვერ ჩაება ომში, გამომდინარე იქიდან , რომ მათ არ ჰქონდათ დამთავრებული ჯარის მობილიზაცია.[14] ევროპული ქვეყნებისათვის საკმაოდ თვალის მომჭრელად გამოიყურებოდა, ის ეკონომიკური კაპიტალი, რასაც ისინი ოსმალეთის სამფლობელოებიდან მიიღებდნენ, უნდა აღინიშნოს რომ რუსები დაინტერესებულები იყვნენ , იმით რომ ოსმალეთს დაეკავა ნეიტრალური პოზიცია, გერმანელებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ოსმალებთან მეგობრული დამოკიდებულება, რითაც ისინი დათესავდნენ შიშს ევროპულ ქვეყნებსა და რუსეთში, გამომდინარე იქიდან რომ გერმანია იბრძოდა პირველობისათვის მსოფლიოში, მას სჭირდებოდა მოზომილი დიპლომატიური პოლიტიკის გატარება, ეს იქნებოდა საფუძველი იმისა , რომ პირველი მსოფლიო ომი, რომლის დაწყებაც აბსულიტურად გარდაუვალი იყო დასრულებულიყო მათთვის მისაღები შედეგით. თურქებმა თავის მხრივ გერმანია აირჩიეს, ისინი გერმანელებში ხედავდნენ დამხმარე ძალას , რომლითაც ისინი

[14] Lenore G. Martin, Dimitris Keridis – The Future of Turkish Foreign Policy, 2002 p. 78-98

აღადგენდნენ მათ იმპერიას და კვლავ იბატონებდნენ აზიაზე, ასევე მათი მიზანი იყო აფრიკის დაბრუნება, მსოფლიოში სრული ანარქია სუფევდა , ქვეყნები ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოყალიბებული იმაზე თუ ვის დაუჭერდნენ მხარს, ამ დროს თურქული პოლიტიკის სცენაზე კაშკაშს იწყებდა ქემალ ათათურქის ვარსკლავი, უნდა ითქვას რომ იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო გერმანიასთან დაახლოების, ის თვლიდან რომ წაგებისა თუ მოგების შემთხვევაში თურქეთი აუცილებლად დაზარალდებოდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ოსმალეთის არმიაში გერმანელებმა მყარად გაიდგეს ფესვები, რაც გამოიხატა იმაში , რომ ყველა დიდი თანამდებობა გერმანელებს ეკავათ, ასევე გერმანელები მეთაურობდნენ სამხედრო შენაერთებს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ოსმალეთის არმია შეადგენდა 400000 მეომარს და 38 დივიზიას, ოსმალეთის მოვალეობა გულისხმობდა ბრძოლას სამ ფრონტზე, გერმანელებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ეგვიპტის დაპყრობა, მათი გათვლებით სუეცის არხის დაპატრონება შეიტანდა გარდამტეხ როლს ბრძოლის მიმდინარეობაში , თავისმხრივ თურქებსაც ჰქონდათ პრიოტიტეტული მიზნები , რაც კავკასიის დაკავებას გულისხმობდა მათ ოსმალებმა კავკასიაში 190000 არმია გადაისროლეს , რომლითაც ისინი ფიქრობდნენ რომ გადაწყვეტდნენ ოსმალეთის ძირითად ამოცანას, დაიპყრობდნენ კავკასიას და გავიდოდნენ შორეულ აღმოსავლეში, მათი აზრით რუსების დამარცხება ადვილი საქმე იყო , 1914 წელს ოსმალებმა დაიწყეს შეტევა არზრუმის და ერევნის მიმართულებით, მათ რუსების ჯარი უკან დახიეს, ამის შემდეგ გადაწყვიტეს ყარსის აღება და მოაბილიზეს 90000 არმია ,ამავე წლის დეკემბერს ოსმალებმა იერიში მიიტანეს სირაყამზე ამას მოჰყვა ყარსი და ბათუმი, ოსმალეთის არმიამ საკმაოდ დიდი საფრთხე შეუქმნა ყარს, თუმცა გამარჯვება მაინც ვერ შეძლეს და რუსეთის არმიასთან სასტიკი მარცხი იგემეს. ოსმალებს დაეღუპათ დაახლოებით 70000 კაცი, მათ შორის დიდი პროცენთი გაიყინა, ხელსაყრელი პოზიციებით ისარგებლეს რუსებმა და მიჯრით დაიკავეს ხოფა და არტანუჯი, ოსმალებისათვის დამღუპველად გამოიყურებოდა პოზიციების

დაკარგვა კავკასიაში და გადაწყვიტეს ბოსფორის სრუტეზე განლაგებული ჯარის გადატყორცნა . 1915 წელს რუსებმა დაიკავეს ვანი ,ოსმალებმა დაპასუხოდ ამისა დაიწყეს სომხების ჟლეტვა, გადასახლება,ამ პროცესში მათ მილიონზე მეტი სომეხი დახოცეს, ასევე მათ აგრესიას ვერ გადაურჩნენ ვერც ასირიელები,სირიელები და არაბები. ოსმალეთმა მიუხედავად დიდი ჯარის გაგზავნისა კავკასიაში ფეხი მაინც ვერ მოიკიდეს რეგიონში, ამ დროს რუსებმა აიღეს არზრუმი და ტრაპიზონი, ინგლისი-საფრანგეთის დუეტმა მიზნად დაისახა ოსმალეთის გამოთიშვა ომიდან, ისინი შევიდნენ გალიპოლის ნახევარკუნძულზე, თუმცა მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგან ოსმალები საკმაოდ რთულად გადასაყლაპი ლუკმა აღმოჩნდნენ მათთვის, ოსმალების გამარჯვება განაპირობა მუსტაფა ფაშას შორსმჭვრეტელობამ, ოსმალეთ-გერმანიას საერთო მიზანი აღმოაჩნდა მათი ინტერესის სფეროს სუეცის არხის ოკუპაცია წარმოადგენდა, სადაც მათ 100000 არმია გაგზავნეს.[15] 1915 წელს არხთან მოხდა პირველი ბრძოლა ოსმალებსა და ინგლისელებს შორის, ოსმალები შევიდნენ ისმაილის რაიონში თუმცა სუეცის არხის დაპყრობისაგან დროებით თავი შეიკავეს, ამდროს საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმული ამერიკა ომს უცხადებს გერმანიას, რასაც მოჰყვა დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა ოსმალეთთან,სასწორი ანტანტის მხარეს გადაიხარა მსოფლიოსათვის გარდაუვალი ხდებოდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხება, პარალელურად ინგლისის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებულ დამპყრობლურ ომებს პალესტინაში, იორდანიასა და ერაყში. მათ დაიკავეს მაკედონია და გეზი აიღეს სტამბოლისაკენ ,თურქებმა მათ ზავი შესთავაზეს თუმც უარი მიიღეს .1918 წელს თურქებმა ხელი მოაწერეს კაპიტულაციას და დანებდნენ ანტანტას. გერმანელებისადმი იზრდებოდა თურქების პრეტენზიები,თურქები საბოლოოდ დარწმუნდნენ რომ გერმანელები მათ სრულ ფიასკომდე მიიყვანდნენ , გერმანელები ცდილობდნენ , თურქების მოლბობას თუმცა ამას დადებითი შედეგი არ მოუტანია, თურქულ-გერმანული კავშირი დასრულდა, მუდროსის ხელშეკრულება ოსმალეთი სრულ კრახამდე მიიყვანა, ისინი ანტანტის

[15] Ormeci O,Isiksal H,- Turkish Foreign Policy in the New Millennium, 2015 p. 123-167

სახელმწიფოების აბსოლიტური გავლენის ქვეშ მოექცნენ. 1920 წელს თურქებმა გადაწყვიტეს მეჯლისის მოწვევაამ წამოწყებას საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა,ამავე წლის 23 აპრილს შედგა პირველი მეჯლისი მათ აირჩიეს პრეზიდიუმი,რომლის თვჯდომარე გახდა მუსტაფა ქემალ ფაშა, ასევე აირჩიეს მინისტრთა საბჭო, საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრები, მათ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და თურქეთის ტერიტორიული მთლიანობა, თურქეთში დამყარდა ორ ხელისუფლებიანობა , ქემალისტურ ანკარას ლოგიკურია ბევრი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა . ამავე წელს ქემალისტების წარმატებამ საფრთხე შეუქმნა ფრანგებისა და ინგლისელების პოზიცია თურქეთში, ამ დროს ანკარასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების სურვილი გამოთქვეს რუსებმა, 1920 წელს ათათურქმა წერილი მისწერა ლენინს , სადაც ის სთხოვდა რუსებს სამხედრო დახმარებას,რუსებმა ყოველი ეს დადებითად აღიქვეს დაიწყო მოლაპარაკებები, შემუშავდა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მეგობრული ხელშეკრულება რასაც მოჰყვა თურქეში რუსეთის საელჩოს გახსნა, თურქეთის ისტორიაში განუსაზღვრელია მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რომელიც კითხულობდა ანტანტის ქვეყნების ზრახვებს, იგი იყო კატეგორიული წინააღმდეგი ევროპელებთან დაახლოების, მას მიზნად ჰქონდა სრულიად ახალი თურქული სახელმწიფოს შექმნა , რომელიც მიზნად ისახავდა სულთნის ინსტიტუტის გაუქმებას. იგი ყველანაირად ცდილობდა სულთნის სახელის შელახვას, რაც იქნებოდა საფუძველი მისი შემდგომი განადგურების ამას მოჰყვა ქემალისტების გამარჯვება ბერძნებზე, 1921-22 წლებში ქემალისტებმა დიდ გამარჯვევებს მიაღწიეს, მათ განდევნეს ბერძნები.[16]

[16] Ozcan M,- Harmonizin foreign policy, 2008 p. 157-190

2.1 ქემალისტური თურქეთის რეგიონული პოლიტიკა.

თურქეთში სულთნის ხელისუფლების გაუქმებას ქემალისტების რეფორმები მოჰყვა, თურქეთი გამოცხადდა რესპუბლიკად, მათ დაიწყეს თურქული ეკონომიკის აღზევება , ასევე ძალიან პრიორიტეტული იყო ხალხის კულტურული განვითარება, მაგრამ ამ საქმეში ათათურქს საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ყავდა, როგორს ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ. ანტიქემალისტური ძალები ცდილობდნენ სულთნის ხელისუფლების აღდგენას, 1924 წლის პირველი კონტიტუცია ხაზგასმა იყო იმისა, რომ ოსმალეთის იმპერია ტრანსფორმირდა თურქეთის რესპუბლიკად, წინა პლანზ წამოვიდა ბურჟუაზია, ახალი წეს-წყობილების თანახმად ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთ მიიჩნეოდა პარლამენტი, მეთაური კი იყო პრეზიდენტი. ამავე კონტიტუციის თანახმად სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ისლამი, ათათურქს სურდა განეცალკევებინა რელიგია და სახელმწიფო, რაც მან დიდი წვალების შედეგად მოახერხა, თურქებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო გადაქცეულიყო დიდ მოთამაშედ რეგიონში , ისინი ხომ ამას საუკუნეების განმავლობაში იყვნენ მიჩვეულნი. ყველაფერი ეს დასაწყისში იყო სურვილი მაგრამ რეალობა იყო ის , რომ თურქეთი იყო საკმაოდ ჩამორჩენილი ქვეყანა, ისინი იყვნენ დამოკიდებულნი უმეტეს წილად უცხოურ ინვესტიციებს.ათათურქმა მიზნად დაისახა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება, რაშიც ის ხედავდა გამოსავალს ამ მძიმე სიტუაციიდან, აუცილებელი გახდა მშრომელი გლეხების მოძიება , რომელბიც მიწებს უქმად არ გააცდენდნენ და დაამუშავებდნენ,ათათურქის აზრით გლეხებს უნდა აეშენებინათ ეს ქვეყანა. 20-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა ახალი კანონი , უპატრონოდ დარჩენილი მიწების შესახებ ,მანამდე ეს მიწები ბერძნებსა და სომხებს ეკოთნოდათ , რომელებმაც მიატოვეს , ეს მიწები ხელში ჩაიგდეს მემამულეებმა და გლეხებს არაფერი არ შეხვდათ, გლეხები კი მემამულეებისაგან იღებდნენ იჯარით მიწებს, 1924 წელს მიიღეს ახალი კანონი რომლის მიხედვიტაც სოფელზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი , რომელსაც

აკონტროლებდა მამანსახლისი, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1925 წლის 13 თებერვალს აშარის გადასახადის გაუქმება , მის ნაცვლად შემოიღეს მიწის გადასახადი . თურქეთის რესპუბლიკაში სამოქალაქო საზოგადოების გარდაქმნავ რადიკალური საშუალებით გამოიწვია რეაქციული ძალების წინააღმდეგობის გაძლიერება ქემალისტური მთავრობის მიმართ,1924 წლის 8 ნოემბერს რეფორმების გატარაებას ხელმძღვანელობდა მთავრობის ახალი კაბინეტი , რომელსაც მეთაურობდა პრემიერ-მინისტრი ისმეთ ფაშა, ისინი თავიანთ პოზიციებს არ თმობდნენ უბრძოლველად, მათი გავლენა საკმარისი იყო , 1924 წლის კონსტიტუციაში მათი მოთხოვნით შეიტანეს დებულება: „ისლამი-თურქეთის სახელმწიფო რელიგია“.[17]1924 წლის ნოემბერში ქემალისტების პოზიციურად განწყობილმა გენერლებმა და დიდმოხელებმა , რომელსაც მეთაურობდა გენერალ ქიაზიმ ყარაბექირი, მათ დაარსეს ოპოზიციური პოლიტიკური პარტია - პროგრესულ-რესპუბლიკური პარტიის სახელწოდებით,მასში შევიდნენ ჰუსინ ბეი, ალი ფუად ფაშა და ასე შემდეგ. პრეგრესულ-რესპუბლიკური პარტიის წევრები მოითხოვდნენ ,რომ მოეზიდათ უცხოეთის კაპიტალი. პროგრესულ-რესპუბლიკური პარტია თავისი სოციალური შემადგენლობით და პოლიტიკური პროგრამით რეაქციული იყო, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში პროგრესისტები რელიგიას იყენებდნენ, აღვივებდნენ მოსახლეობაში რელიგიას და აქეზებდნენ ხალხს კანონსაწინააღმდეგოთ ემოქმედათ, 1924 წლის 20 ნოემბერს პროგრესულ-რესპუბლიკურმა პარტიამ საშუალებით შეძლო ისმეთ ფაშას მთავრობის გადაყენება, მათ ყავდათ ახალი პრემიერი ალი ფეჰთი , იგი გამოირჩეოდა ზომიერობით ,რეაქციულ ძალებს მისცა მოქმედების თავისუფლება , მათ გააჩაღეს ანტიქემალისტური აგიტაცია,განსაკუთრებით სტამბოლში და ჩამორჩენილ აღმოსავლურ პროვინციებში. 1925 წლის თებერვალში აღმოსავლეთის ვილაიათებში დაიწყო ქურთი ტომების აჯანყება , აჯანყებულებმა მოითხოვეს შარიათის აღდგენა და ქემალისტების სიახლეებზე უარის თქმა,ასევე სურდათ სასულთანო და

[17] Papuccular H,- A Transational Accounc of Turkish Foreign Policy, 2020 p. 147-189

სახალიფოს აღდგენა. ამ რეგიონში მოქმედებდა ინგლისის აგენტურა , იგი ცდილობდა აემხედრებინა ქურთები ქემალისტების წინააღმდეგ , ზუსტად ამ დროს გამწვავდა ინგლის-თურქეთის კონფლიქტი მოსულის გამო. ინგლისის მტავრობა აცხადებდა რომ ქურტები უკმაყოფილნო იყვნენ ანკარის მთავრობით , ამიტომ არშეიძლება მოსულის რაიონი გადაეცეს ანკარის მტავრობას, რადგან ამ ტერიტორიის დიდ ნაწილს ქურთები შეადგენდნენ,ინგლისელებმა საიდუმლო კავშირი დაამყარეს ქურთთა აჯანყების მეთაურთან საიდთან და ეხმარებოდნენ მას იარაღისა და ფულით.1925 წლის 3 მარტს მთავრობის თავჯდომარე ისევ ისმეთ ფაშა გახდა, 1925 წელს თურქეთის ეროვნულმა კრებამ საგანგებო ტრიბუნა არადგინა. რეაციონების წინააღმდეგ ქალაქებში ჩატარდა სასამართლო პროცესები , გაგზავნილ იქნა ჯარის ნაწილები აჯანყებულ ქურთების წინააღმდეგ.[18] 1925 წლის აპრილში ჩახშობილ იქნა ქურთების აჯანყება, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს შეიხ საიდი და მისი უახლოესი თანამებრძოლები. აჯანყების შემდეგ ქურთი ხალხი გამოსვლებს აგრძელებდნენ 1926,1927,1930 და 1932 წლებში თურქეთის მტავრობა სასტიკად უსწორდებოდა აჯანყებულებს , მაგრამ ქურთები კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ისლამის დაცვის ლოზუნგით პროგრესული პარტიის წევრები რეაქციულ ძალებტან ერთად აწყობდნენ მიტინგებს და დემონსტრაციებს. შეიხ საიდის სასამართლო პროცესზე გამოაშკარავდა, რომ „პროგრესისებს“ აჯანყებულ ქურთებთან კავშირი ჰქონდა, მთავრობამ მიიღო დადგენილება 1925 წლის ივნისსში პროგრესულ-რესპუბლიკური პარტიის საქმიანობის აკრძალვის შესახებ და პარტია დაშლილად გამოაცხადა,სტამბოლის გაზეთები, რომლებიც მხარს უჭერდნენ პრიგრესისტებს დაიხურა.1926 წლის ზაფხულში ქემალის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, შეთქმულებას ხელმძღვანელობდნენ „ერთობისა და პროგრესის „ და „ პროგრესულ-რესპუბლიკური“ პარტიის ყოოფილი წევრები, შეთქმულება გამომჟღავნდა,

[18] ვინ არიან ქურთები და რატომ არ აქვთ მათ საკუთარი სახელმწიფო? https://imedinews.ge/ge/theme/509/vin-arian-qurtebi-da-ratom-ar-aqvt-mat-sakutari-sakhelmtsipo (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021) p. 2

სასამართლომ რამდენიმე მონაწილეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა , ხოლო დანარჩენებს სხვადასხვა წლის პატიმრობა მიესაჯათ, გასამართლებულთა შორის იყვნენ ქიაზიმ ყარაბექირი, ფუად ფაშა და ასე შემდეგ. პირველი კომინისტური ჯგუფები თურქეთში იქმნება მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ,მაგრამ მათი გავლენა სუსტი იყო მუშებსა და გლეხებზე.[19]თურქეთის კომინისტური პარტიის პირველი ყრილობა ბაქოში ჩატარდა 1920 წლის სექტემბერში, პარტიის დამაარსებელი იყო მუსტაფა სუფჰი, 1921 წლის იანვარში ვერაგულად იქნენ მოკლულნი ტრაპიზონში მუსტაფა სუფჰი და მისი 15 თანამებრძოლი, კომინისტური პარტიის საქმიანობა 1925 წლიდან აიკრძალა, 1925 წლამდე თურქეთში სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ერთპიროვნული მმართველობა დამყარდა 1946 წლამდე, მრავალპარტიული სისტემის შემოღებამდე.თურქეთი სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ქვეყნის ჩამორჩენილობა მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ყოფაცხოვრობის სფეროში. 1924 წლის 3 მარტს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი შარიათისა და ვაკუფების სამინისტროს გაუქმების შესახებ ,ხოლო მის მაგივრად დაარსდა კულტურის სამინისტრო,მის დაქვემდებარებაში იყო მეჩთებისა და თექეების ხელმძღვანელობა, მას სურდა და ასევე უფლება ჰქონდა დაენიშნა და გადაეყენებინა იმამები, შეიხები და სხვა სასულიერო პირები. 1925 წლის 25 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი ფესკების აკრძალვისა და აუცილებლად ევროპული ქუდების ტარების შესახებ. აიკრძალა ოსმალებისთვის დამახასიათებელი ქუდების ,ფაფახებისა და ფესკების ტარება და მათ ნაცვლად აუცილებლად უნდა ყოფილიყო ევროპული ქუდი, ასევე სახელმწიფო მოხელეები ვალდებული იყვნენ საზოგადოებრივ ადგილებში ჩაცმულნი ყოფილიყვნენ ევროპულად, ერთმანეთს ეროპულად მისალმებოდნენ, კანონი ასევე უკრძალავდა სასულიერო ტანსაცმლის ტარებას იმ პირებს , რომლებიც აღარ იყვნენ ოპიციალურად კულტის მსახურნი. მთელ ქვეყანაში დაიწყეს ევროპული ტანსაცმლის და ქუდების ტარება,საჯაროდ

[19] ვინ არიან ქურთები და რატომ არ აქვთ მათ საკუთარი სახელმწიფო? p. 3 https://imedinews.ge/ge/theme/509/vin-arian-qurtebi-da-ratom-ar-aqvt-mat-sakutari-sakhelmtsipo (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)

წვავდნენ ფესკებსა და აღმოსავლურ თავსაბურავებს.ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო 1926 წელს ევროპულ ყაიდზე შედგენილი ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელსაც საფუძვლად დაედო იტალიური კოდექსი დაგაუქმდა ძველი ნორმები, აიკრძალა მრავალცოლიანობა, საეკლესიო ქორწინების ნახვლად დაწესდა სამოქალაქო ქორწინება და ასე შემდეგ. 1928 წელს თურქეთის იმა ეროვნულმა კრებამ კონსტიტუციიდან ამოიღო „თურქეთის სახელმწიფო რელიგია ისლამი“,დღემდე თურქეთი ერთადერთი მუსლიმური სახელმწიფოა სადაც რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. ეს იმას არნიშნავს რომ ქემალისტებმა დაიწყეს ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ , 1934 წელს მტავრობამ აუკრძალა რელიგიური კულტის მსახურებს, საეკლესიოტანსაცმლის ტარება. ქემალისტებმა დიდი ყურადღება დაუთმეს განათლებას , პირველი ნაბიჯები გადაიდგა როდესაც სასკოლო განათლების სისტემის უნიფიკაცია მოხდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შარიათისა და ვაკუფების სამინისტროს გაუქმებას, ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანბანის რეფორმას, არაბული ანბანი აფერხებდა მოსახლეობაში წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელებას, თურქეთი სანამ გამოცხადდებოდა რესპუბლიკად მაშინ მცოდნეთა რიცხვი მხოლოდ 4 პროცენტი იყო, სასულიერო პირები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ლათინური ანბანის შემოღებას, 1928 წელის 1 ნოემბერს თურქეთში ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ანბანის შესახებ და ეს დიდად მნიშვნელოვანი სიახლე იყო, არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით, 1928 წელს სრული სისწრაფი გაიხსნა პირველი ეროვნული სკოლა და თანდათან უფრო მეტი სკოლა ემატებოდა, 2 წლის განმავლობაში წერა-კითხვა 500 ათასზე მეტმა ადამიანმა შეისწავლა,ოთხი წლის განმავლობაში იხსნებოდა აობით ახალი სკოლა , მოსწავლეტა რიცხვი კი თანდათან უფრო იმატებდა, 20-იან წლებში მთავრობამ მოახდინა უცხოეთის სასწავლებლის რეორგანიზაცია, ნაწილი დაქვემდებარებული იყო სახელმწიფოს მიერ ნაწილი კი დაიხურა.[20] ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში,

[20] ქურთები. გვ.1.
https://imedinews.ge/ge/theme/509/vin-arian-qurtebi-da-ratom-ar-aqvt-mat-sakutari-sakhelmtsipo
(საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)

თურქეთშიც ქალი ყოველგვარ უფლებებს მოკლებული იყო. ხოლო თურქეთში ქალტა ემანსიპაციას სათავე მუსტაფა ქემალმა დაუდო, როდესაც 1922 წელს ბერძნებისაგან იზმირი განთავისუფლდა , მუსტაფა ქემალმა ცოლად მოიყვანა მდიდარი ვაჭრის ქალიშვილი ლატიფე ხანუმი, იგი საკმაოდ განათლებული იყო, ასევე მან იცოდა რამდენიმე უცხოური ენა , ქემალმა ქორწილი ძველი ადათ-წესების გარეშე გადაიხადა , მის მეუღლე უჩადროდ იყო, მეორე დრეს მუსტაფა და მისი მეღლე იყვნენ იზმირის თეატრში ,ლატაფე აქაც უჩადროდ იყო , ამან ხალხში აღშფოთება გამოიწვია , მუსტაფა დიდად აფასებდა იმ წვლილს, რომელიც ქალებმა შეიტანეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და იგი ხელს უწყობს მათი უფლებების გათანასწორებას მამაკაცებთან. 1926 წელს თურქეთის ისტორიაში პირველად ქალებმა მამაკცებთან ერთად მიიღეს პოლიტიკური უფლებები, აიკრძალა მრავალცოლიანობა , ცადრის ტარება, 18 წლამდე გოგონების გათხოვება. სტამბოლში და ასევე ანკარაში გაიხსნა ქალთა უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტები, სასწავლებლები და ლიცეუმები, 1935 წლის არჩევნებში 18 დეპუტატი ქალი აირჩიეს, 1934 წელს თურქეთის პარლამენტმა მიიღო გვარის კანონმდებლობა, ისინი ატარებდნენ მხოლოდ სახელსა და გვარს, გაუქმდა ძველი ფორმები: აშა, ბეი ,ეფენდი და სხვა, მუსტაფა ქემალმა გვარად მიიღო ათათურქი , ისმეთ ფაშამ გვარად კი ინონოუ, მას ასევე ჰქონდა ნაკლიც ქართველებს არ ჰქონდათ უფლება თავიანთი ქართული გვარი დაეტოვებინათ და უნდა მიეღოთ თურქული გვარი. ქვეყნის კულტურის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს მუზეუმებმა, რომელიც გაიხსა სახელმწიფოს დახმარებით, 30-იან წლების დასაწყისში უკვე 15 მუზეუმი გაიხსნა.ასევე გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა საბიბლიოთეკო საქმის განვითარების მიზნით, მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების გაუმჯომესებისკენ,ანკარაში სტამბოლსა და იზმირში გაიხსნა სახელმწიფო თეატრალური, მხატრული და მუსიკალური სკოლები.მთავრობა ცდილობდა სპორტის ცენტრალიზაციას, დაარსდა სპორტული საზოგადოებები, კლუბები, ხოლო თურქეთმა 1924 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში.მოისპო ძველი შარიათის ნორმები,

არაბული ანბანი,რელიგიური სკოლები, ძველი განათლების სისტემა,ქემალისტებმა მოახდინეს გადატრიალება თურქეთის საზოგადროებრივ ცხოვრებაში,ეს რადიკალური გარდაქმნები შეიძლება შეფასდეს , როგორც კულტურული რევოლუცია, 1927 წლის 15-20 ოქტომბერს ჩატარდა სახალხო პარტიის II ყრილობა, სადაც მუსტაფა ქემალი გამოვიდა სიტყვით , რომელმაც 37 საათი ისაუბრა და შეაჯამა 1919-1927 წლებში ქვეყანაში მომხდარი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები და ასევე დასახა ქვეყნის შემდგომი განვითარების გზები. ყრილობაზე მიღებულ იქნა პარტიის ოთხი პრინციპი: რესპუბლიკანიზმი,ნაციონალიზმი,ხალხურობა და ლაიციზმი.[21]

2.2 თურქეთის აქტივობა რეგიონულ სამხედრო-პოლიტიკურ და რელიგიურ ორგანიზაციებში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის შემდგომ პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანა იყო იმ საკითხების მოგვარება, რომლებიც არ იყო გადაწყვეტილი ლოზანის კონფერენციაზე,აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოსულის საკითხი, მთავრობა აცხადებდა რომ მოსულის რაიონი დაიკავეს ინგლისელებმა 191 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის დაზავების შემდეგ, რაც უკანონოა და მოითხოვდა მის დაბრუნებას ,მაგრამ ლოზანის კონფერენციაზე ეს საკითხი არ გადაწყდა , თუმცა მოლაპარაკება გაგრძელდა, 1924 წელს სტამბოლში ამ საკითხზე მიმდინარეობდა ინგლის-თურქეთის მოლაპარაკება, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. მოსულის საკითხი შემდეგ განიხილა ერთა ლიგამ , მან დადგენილება მიიღო მოსულის რაიონი ერაყს შეერთებოდა, ხოლო ერაყი,ერთა ლიგი გადაწყვეტილებით ,ინგლისის სამანდატო ტერიტორია იყო. თურქეთმა უარი თქვა ამ დადგენილებაზე,მაშინ ერთა ლიგამ ეს სადავო საკითხი გადასცა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს განსახილველად,კონფლიქტი დამთავრდა 1926 წლის 5

[21] .Stein A,- Turkey's New Foreign Policy: Davutoglu,the AKP and the Pursuit of Regional order, 2014 p. 37-79

იბნისს, ინგლის-თურქეთის ხელშეკრულებით,სადაც მოსულის რაიონი რჩებოდა ერაყის შემადგენლობაში,ხოლო თურქეთს უფლება ჰქონდა მიიღო 20 წლის განმავლობაში მოსულის ნავთობის 10% , ან დათანხმებულიყო ერთდროულად მიეღო კონპენსაცია 500 ათასი გირვანქა სტერლინგი,ამ საკითხის მოგვარების შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი თურქეთის უღტიერთობისა სხვა სახელმწიფოებთან, 1924-1927 წლებში თურქეთმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა პოლონეთთან,ალბანეთთან,ენგრეთთან,შვედეთთან,ნიდერლანდებთთან,ესპანეთთან ,ჩეხოსლოვაკიასთან,ბულგარეთთან,შვეიცარიასთან,ავსტრალიასთან,ჩილესთან,არგე ნტინასთან,მექსიკასთან,ბრაზილიასთან, თურქეთმა 1927 წელს გერმანიასთან დადო ხელშეკრულება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ,ასევე ასეთი ხელშეკრულება დაიდო ფინეთთან, უნგრეთთან,ჩეხოსლოვაკიასთან,იტალისთან,საფრანგეთთან,ბულგარეთთან,თურქეთ ის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობის გაფართოებას, 1926 წლის 31 მარტს ხელი მოაწერეს გენერალურ ოქმს, ორ სახელმწიფოს შორის საზღვრების დადგენის შესახებ. პარიზში საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება 1925 წლის 17 დეკემბერს, რომლის მიხედვითაც ორივე მხარეს თავი უნდა შეეკავებინა ერთმანეთზე თავდასმებისაგან და ყველა სადავო საკითხი მოეგვარებინა ურტიერთმოლაპარაკების გზით ან ერთა ლიგის შუამგომლობით.[22]1923 წლიდან დამყარდა რეგულარული სავაჭრო ურთიერთობა , თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, ხოლო 1927 წლის 11 მარტს დაიდო თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ. მსოფლიოში არსებულმა კრიზისმა თურქეთს დიდი ზიანი მიაყენა, აგრარულ თურქეთში ეს პირველი რიგში შეეტყო სოფლის მეურნეობას,განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეთამბაქოება,თამბაქო თურქეთის ექსპორტის მნიშვნელოვანი დარგი იყო,კრიზისის მიზეზი იყო სუსტად განვითარებული ეროვნული მრეწველობა, სახელოსნოების

[22] Terzi O,- The Influencer of the European Union on Turkish Foreign Policy, 2010 p. 57-79

დიდი ნაწილი გაკოტრდა, წვრილი და საშუალო საწარმოების დიდი ნაწილი დაიხურა,რამაც გამოიწვია მასობრივი უმუშევრობა. ასევე ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია თურქეთის ლირას კურსის დაცემა,რასაც მოჰყვა ფინანსური კრიზისი.ასეთ ვითარებაში მტავრობამ ვერ შეძლო გადაეხადა საგარეო ვალები და იძულებული გახდა მორატორიუმი გამოეცხადებინა,მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო ვალი , რომელმაც 443 მილ ლირა შეადგინა, მტავრობამ გაატარა ღონისძიებები, რომელმაც შეანელა კრიზისი გავლენა და დაიწყო მეურნეობის გამოცოცხლება, კრიზისის დროს ხშირად იყო მუშათა და გლეხთა გაფიცვები ,მთავრობამ შეძლო საპროტესტო გამოსვლების ლიკვიდაცია. 1931 წლის აპრილში კვლავ ჩატარდა მეჯლისის IV მოწვევის არჩევნები, სადაც პრეზიდენტად მესამეჯერ აირჩიეს მუსტაფა ქემალი, პრემიერ მინისტრად კი დაინიშნა ისმეთ ფაშა. ამავე წლის 10 მაისს მოიწვიეს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის III ყრილობა ,ყრილობამ პირველად პარტიის ისტორიაში განიხილა და მიიღო პარტიის პრგრამა და წესდება , პარტიის პროგრამაში შეტანილი იყო დებულება, რომლის მიხედვითად არ არსებობდა კლასები და კლასთა ბრძოლა, ამ წესდების მიხედვით , პარტიის თავჯდომარე ხდებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო მისი მოადგილი პრემიერ-მინისტრი. პარტიამ მიიღო ემბლემა , რომელსაც ჰქონდა ექვსი ისარი, რომელიც გამოხატავს პროგრამის ძირითად პრინციპებს: რესპუბლიკანიზმი არის თურქეთის სახელმწიფოს მმართველობის ერთადერთი ფორმა და ეფუძნება 1924 წლის კონსტიტუციას, მეორე ნაციონალიზმი აღიარებს ეროვნულ დამოუკიდებლობას და თურქი ერის ერთიანობის დაცვას,მესამე ხალხოსნობა გამოხატავს სახალხო სუვერინიტეტსა და ასევე უარყოფს თურქეთში კლასებსა და კლასობრივ ბრძოლას, მეოთხე- ეტატიზმი ეროვნული ეკონომიკის შექმნა სახელმწიფოს ხელისშეწყობით. მეხუთე - ლაიციზმი რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. მეექვსე -რევოლუციონიზმი რაც გულისხმობს ქემალისტური რევოლუციის იდეებისადმი ერთგულებას, თურქეთმა როდესაც მოიპოვა დამოუკიდებლობა იყო ჩამორჩენილი ქვეყანა და მისი ეკონომიკა დამოკიდებული იყო უცხოეთის კაპიტალზე ან ეთნიკურად არათურქი

ბურჟუაზიაზე. პირველი მსოფლიო ომის წინ სამრეწველო ტურქეთის კაპიტალის 50% ბერძნებს , 20% სომხებს, 5% ებრაელებს, 10% ევროპელებს ეკოთნოდათ. 1932 წელს თურქეთში სულ 47 ეროვნული ბანკი ფუნქციონირებდა , 83 მილ ლირის კაპიტალით,1932 წელს მოსკოვში ჩამოვიდა თურქეთის დელეგაცია პრემიერ-მისისტრის მეთაურობით, რომელსაც მეთაურობდა ისმეთ ინონუსი. აქ შეთანხმება მიღწეულ იქნა , თურქეთისათვის 8 მილ. დოლარის კრედიტის მიცემის შესახებ ,20 წლის ვადით , ეს კრედიტი უპროცენტო და შერავათიანი იყო,ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ მთავრობა შეუდგა ხუთწლიანი გეგმის შედგენს და მისი განხორციელება 1934 წლის იანვრიდან დაიწყო. 1932 წლის ბოლოს ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას, ეკონომიკის მინისტრმა ჯელალ ბეიმ ჩაატარა კრება ანკარის,სტამბოლის, იზმირის და ქალაქების საქმიან წარმომადგენლებთან, 1935-1938 წლებში კრედიტის აღების შემდეგ კაისერიასა და ნიზლიში აგებულ იქნა საფეიქრო კომბინანტები, ასევე აშენდა ქარხნები. კრიზისის შემდეგ თურქეთის მრეწველობამ უფრო სწრაფი ტემპით დაიწყო გავითარება , ეტატიზმის პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. მოსულის კრიზისის მოგვარების შემდეგ თურქეთი დაინტერესდა გამოესწორებინა ურთიერთობა ინგლისთან, ამავე წელს ხელი მოაწერეს ინგლის-თურქეთის სავაჭრო ხელშეკრულებას, 1929 წლის ივნისში ნაწილობრივ მიღწეულ იყო შეთანხმებას საფრანგეთთან თურქეთ-სირიის საზღვართან დაკავშირებით,ასევევ ამავე წელს აგვისტოში დადო ხელშეკრულება თურქეთმა საფრანგეტთან.[23] 1929 წელს გამწვავდა ურთიერთობა თურქეთსა და საბერძნეთს შორის ,ისინი ვერ შეთანხმდნენ მოსახლეობის გაცვლის საკითხზე, გაჩნდა სამხედრო კონფლიკტის საფრთხე , ინგლის-საფრანგეთის ჩარევის შედეგად კონფლიკტი მოგვარდა, მოგვარდა ბერძნული და თურქული მოსახლეობის გაცვლის საკითხი, რაზეც მანავდე ვერ თანხმდებოდნენ ლოზანის კონფერენციაზე, 1930 წლის ოქტომბერში თურქეთმა საბერძნეთთან ხელი მოაწერა მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულებას,ასევე კონვენციას ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ. თურქეთ-

[23] .Uzer U,- Identity and Turkish Foreign Policy: The Kemalist Influence in Cyprus 2009 , p. 147-179

საბერძნეთის უთანხმოების მოგვარების შემდეგ ასევე გზა გაიხსნა ბალკანეთის კავშირის შესაქმნელად, რომლის ორგანიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა თურქეთმა,თურქეთი მიიღეს ერთა ლიგის წევრად 1932 წელს, ხოლო 1933 წელს კრიზისის მიუხედავად თურქეთმა კვლავ დაიწყო სულთნის ვალების გადახდა. 20-იან წლებში თურქმა ვაჭრებმა მონაწილეობა მიიღეს ყოველწლიურ ბაზრობაზე,რამაც ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის გაფართოებას.

1926 წელს თეირანში თურქეთსა და ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობისა და უსაფრთხოების შესახებ, ავღანეთის მეფე ემანულა ხანი სტამბოლში წავიდა 1928 წლის 19 მაისს, ხოლო 20 მაისს ანკარაში. მას შეხვდა თურქეთის პრეზიდენტი ათათუქრი და დიდი პატივით მიიღეს, იგი დიდად აფასებდა თურქეთის პრეზიდენტს ათათურქს, მის პოლიტიკურ მოღვაწეობას,ასევე მის რეფორმებს. 25 მაისს ხელი მოაწერეს თურქეთ-ავღანეთის ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, ხოლო ემანულა ხანი 1928 წელს რეაქციულმა ძალებმა ტახტიდან ჩამოაგდეს, ათათურქმა კი დაკარგა ერთგული მოკავშირე. თურქეთში ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეები,ამავე პერიოდში კიდევ უფროდაუფრო უმჯობესდებოდა ურთიერთობა თურქეთსა და ირანს შორის, თურქეთმა და ირანმა დადეს სასაზღვრო ხელშეკრულება 1932 წლის 23 იანვარს, ხოლო 1932 წის 5 ნოემბერს ახალი ხელშეკრულება მეგობრობის სესახებ.[24] საბოლოოდ დაგვირგვინდა 1934 წლის ივნისში თურქეთიში ირანის შაჰის ვიზიტით, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ათათურქი , რრეზა შაჰი და ამანულა ხანი, , მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებების განსხვავებისა, ერთმანეთის მიმართ მეგობრულად იყვნენ განწყობილნი, ასევე მათი საერთო მიზანი იყო თავიანთ ქვეყანაში ჩაეტარებინათ რეფორმები და თავი დაეღწიათ ჩამორჩენისაგან . რაც შეეხება თურქეთის საშინაო პოლიტიკას, თურქეთის მთავრობა კვლავ განაგრძობდა ზომების

[24] .Uzer U,- Identity and Turkish Foreign Policy: The Kemalist Influence in Cyprus 2009 p. 179-198

მიღებას რათა უფრო გაუმჯობესებულიყო ვითარება დასავლეთის ქვეყნებთან, ისინი ცდილობდნენ კიდევ უფრო მეტად გაეძლიერებინა პარტიის გავლენა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობასა და ხალხის მასებზე, ანკარაში 1935 წლის მაისში ჩატარდა IV ტრილობა სადაც პარტიამ მიიღო ახალი პროგრამა , რომელიც მიზნად ისახავდა ნაციონალური ბურჟუაზიის დიქტატურის გაძლიერებას, ყრილობამ დაადგინა პარტიული აპარატი შერწყმულიყო სახელმწიფო აპარატთან , პარტიის გენერალური მდივანი უნდა ყოფილიყო შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო ვილაიეთის პარტიული ორგანიზაციების თავჯდომარეები ვილაიეთის გუბერნატორები. ქემალიზმის იდეების პროპაგანდას აქტიურად ავრცელებდნენ „სახალხო სახლები“ , რომელსაც ხელმძღვანელობნენ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის აქტიური წევრები. ასევე ქემალიზმის პროპაგანდასთან ერთად ფართოდ წარმოებდა ნაციონალური იდეების პროპაგანდა, ისინი აცხადებდნენ რომ გამოხატავენ ყველა ფენის ინტერესებს , რომ თურქეთში არ არის კლასობრივი საზოგადოება,არ არის კლასები, ასევე არ არსებობს კლასობრივი ბრძოლა. თუმცა თურქეთში ადგილი მაინც ჰქონდა მუშატა და გლეხთა გამოსვლებს და მთავრობა იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო მიიღეს „შრომის კანონი“ რომელიც ითვალისწინებდა 48 საათიანი სამუშაო კვირას , ანუ 8 საათიანი სამუშაო დღეს , კვირაში დასვენების დღით და შვებულების ანაზღაურებით.კანონინში არაფერი იყო ნაგულისხმევი თავისუფალი პროფკავშირების შექმნაზე, კანონი კრძალავდა გაფიცვებსა და გაფიცხვებში მონაწილიობას რაც ითვალისწინებდა ჯარიმასა და პატიმრობას.

2.3 ნატოს წევრი თურქეთის აქტიური პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში (კვიპროსის საკითხი)

თურქეთი, როგორც სტრატეგიული მოკავშირე ნატოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო,რადგან ეს ქვეყანა წარმოადგენს ევროპა-აზიის მაკავშირებელს, იმ დროისათვის

იგი ესაზღვრებოდა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს , ნატოს დიდ საფრთხეს უქადდა თურქეთის მოქცევა საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ,თურქეთი არის ერთადერთი ქვეყანა ნატოში აზიური საწყისებით, დასავლურ ევროპული კულტურისაგან განსხვავებული ტრადიციებითა და კანონმდებლობით ნატოში მისი მიღება ამართლებდა იმ რისკს,რაც გასწია ნატომ ცივი ომის ეპოქაში.ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, თურქეთს ყველაზე დიდი შეიარაღებული ძალები ჰყავს ნატოში, ეს ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს ალიანსის მისიებში .1960 წელს კვიპროსმა დამოუკიდბლობა მიიღო დიდი ბრიტანეთისაგან რომელიც ქვეყანას ფლობდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან .1963 წელს ორივე მხარის განხორციელებულმა ეთნიკურმა წმენდამ სიტუაცია დაძაბა.[25] ხოლო 1964 წელს ვითარების დარეგულირების მოტივით კუნძულზე განათავსეს გაეროს სამშვიდობო ძალები, სადაც ისინი 10 წელი დარჩნენ.1974 წლის 15 ივლის კვიპროსში განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის შედეგადაც ტერორისტულმა ორგანიზაციამ EOKA-მ დაამხო პრეზიდენტ მაკარიონის III-ის ხელისუფლება ,თურქეთის ხელისუფლება თავისი ინტერესების დასაცავად შეიჭრა კუნძულზე და დაიკავა ქვეყბის 35% , ხოლო კვიპროსი გაიყო ჩრდილოეთ თურქულ და სამხრეთ ბერძნულ ნაწილებად , კონპლიკტური მხარეები გაიყო ე.წ. „მწვანე ხაზით“ ,გაეროს ბუფერული ზონით გამყოფი ხაზით გადაადგილება თითქმის შეუძლებელი გახდა და მათ შორის შეიქმნა ფიზიკური და სოციალური ბარიერები. 1983 წელს ჩრდილოეთმა ნაწილმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და შეიქმნა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა , რომელსაც დრემდე თურქეთის გარდა არავინ არ აღიარებს. 1994 წელს, კორფუს სამიტზე, ევროკავშირად გარდაქმნილმა ეეთ-მა ოფიციალურად ჩართო კვიპროსი კავშირის გაფართოების გეგმაში და დაადგინა მიღებულიყო ზომები კვიპროსის ევროკავშირში გაწევრიანების დასაჩქარებლად. 5 ივლისს ჩრდილოეთ კვიპროსს ევროკავშირმა დაუწესა საექსპორტო ემბარგო, ხოლო დეკემბერში

[25] Terzi O,- The Influencer of the European Union on Turkish Foreign Policy, 2010 P.30-40

საბერძნეთმა დაბლოკა ერთიანი საბაჟო კავშირის პროექტი მასში თურქების როლის გამო. 1995-1996 წლებში კვიპროსზე სიტუაცია ძალიან დაიძაბა. მოლაპარაკებები შეჩერდა, ხოლო ბერძნებმა კუნძულზე საპროტესტო აქციები დაიწყეს, სადაც მსხვერპლი მოჰყვა - 11 აგვისტოს, „მწვანე ზონაში“ მიმდინარე საპროტესტო აქციებისას კვიპროსელმა თურქებმა ცემით მოკლეს ბერძენი მომიტინგე ტასოს ისააკი, ხოლო 14 აგვისტოს სოლომოს სოლომუ თურქი ჯარისკაცების ტყვიას ემსხვერპლა მაშინ, როცა თურქული საგუშაგო პოსტიდან დროშის ჩამოსხნას ცდილობდა, ტასოს ისააკის სიკვდილში, თურქული ექსტრემისტული ორგანიზაცია რუხი მგლები დაადანაშაულეს. სამხრეთ კვიპროსის პასუხი შეიარაღების ოდენობის გაზრდა იყო, რის კულმინაციადაც 1997 წლის კვიპროსის სარაკეტო კრიზისი იქცა. სამხრეთ კვიპროსის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რუსეთისაგან შეეძინა 300-ს სისტემის ანტისაავიაცო თავდაცვის სისტემები, რამაც თურქეთის უარყოფითი რეაქცია და მუქარები მოჰყვა. თურქეთმა ჩრდილოეთ კვიპროსში სამხედრო წვრთვნები დაიწყო. საბოლოო ჯამში კრიზისი 300-ების კრეტაზე ტრანსფერით და კვიპროსისათვის ალტერნატიული თავდაცვის სისტემების გადაცემით დასრულდა.

1960 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, თურქეთის საგარეო პოლიტიკის კურსი არ შეიცვალა,თურქეთი განაგრძობდა დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას და სამხედრო ბლოკებში მონაწილეობას,1963 წელს თურქეთის ტერიტორიაზე ააგეს 60-მდე აეროდრომი და სარაკეტო მოედანი, ასევე მონაწილეობა მიიღეს ნატოს მიერ მოწყობილ სამხედრო მანევრებისა და წვრთნაში,განსაკუთრებიტ დაიძაბა ვიტარება კვიპროსის საკიტხთთან დაკავშირებით .კვიპროსმა დამოუკიდებლობა და რესპუბლიკად გამოცხადდა 1963 წლის 16 აგვისტოს,მაგრამ კუნძულზე მცხოვრებმა ბერძნებმა აჯანყება მოაწყეს მტავრობის წინააღმდეგ და პრეზიდენტი მაკარიოსი გადააყენეს 1974 წლის 15 ივნისს, თურქეთში ამან დიდი რეაქცია გამოიწვია და დაიწყო სამხედრო სამზადისი , პრემიერ-მინისტრმა ინონუმ

განაცხადა „ თურქეთი მოვალედ თვლის უზრუნველყოს კვიპროსზე თურქული მოსახლეობის უსაფრთოება“ ,1964 წლის მარტში თურქეთის მტავრობამ გააუქმა 1930წელს საბერძნეთთან დადებული ხელშეკრულება მოსახლეობის დასახლების , ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ , ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ, თურქეთში მცხოვრები 300 ბერძენი მოქალაქე იძულებული იყო 15 დღის განმავლობაში დაეტოვებინა თურქეთი, ამის შემდეგ ძალიან დაიძაბა თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობა, თურქებმა მოახდინეს კვიპროსის ტერიტორიის დაახლოებით 40 % ოკუპაცია, ხოლო ამის შემდეგ დაიწყო ოკუპირებული ტერიტოოდან ბერძნების გადასახლება, ამავე დროს საბერძნეთში დაიწყო ომის საწინააღმდეგო გამოსვლები, საბერძნეთის მთავრობა გადადგა და შეიქმნა ახალი მთავრობა ,ასევე გადადგა კვიპროსის მარიონეტული პრეზიდენტი სამსონი, 1975 წლის 13 თებერვალს კვიპროსის თურქეთის თემის ხელმძღვანელობამ, თურქეთის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, შექმნა განცალკევებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი“ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა“ რომლის პრეზიდენტი გახდა რაულ ბენქთაში, თურქეთის გარდა ამ მთავრობას არავინ არ ცნობს, გაფართოება საბჭოტა კავშირის ურთიერთობა თრქეთთან 60-იანი წლებიდან იწყება, ასევე გაუმჯობესდა საჰაერო და სარკინიგზო კავშირი ორ ქვეყანას შორის, ხოლო 1963 წელს მოსკოვში მოაწერეს შეთანხმებას ტვირთბრუნვის გაზრდის შესახებ, გაფართოვდა კულტურული, სპორტული და სამეცნიერო კონტაქტი, ვითარდებოდა ეკონომიკური და კულტურული კავშირები, რაც შეესაბამებოდა ორივე ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთისათვის სამრეწველო ობიექტების მშენებლობით, მან დახმარება აღმოუჩინა თურქეთს ,საბჭოთა კავშირ-თურქეთი გაიზარდა ორი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა ურთიერთშორის ოფიციალური ვიზიტები. 1975 წელს, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ეკონომიკური კავშირის გაფართოების მიძნით , ხელი მოაწერეს სამთავრობო შეთანხმებას 10-12 წლის განმავლობაში ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების მიზნით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის მმართველმა წევრებმმა დაიწყეს რელიგიის პრინციპების პოლიტიკის გატარება, ლაიციზმის პრინციპების შერბილება,ამით სურდათ შეესუსტებინათ კომინისტური იდეების გავლენა, ამას ისლამისტების გავლენის აღდგენას საგარეო ფაქტორმაც შეუწყო ხელი,აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს სათავეები კომუნისტების ხელში გადავიდა ამის შემდეგ დაიწყო ამ ქვეყნებში სოციალისტური წყობილების დამყარება,[26] ამ ვითარებაში თურქეთის მმართველმა წევრებმმა გადაწყვიტეს კომუნისტური საფრთხისათვის დაეპირისპირებინათ ისლამი, 1946 წელს მეჯლისში დაისვა საკითხი რელიგიური განათლების შესახებ , ერთმა დეპუტატმა თქვა , რომ ასეთი ღონისძიება წინ აღუდგება კომუნისტურ საფრთხეს, მეჯლისმა მიიღო კანონი ბოლო მოეღო „უკიდურესი ლაიციზმის“ პოლიტიკას და ხელი შეეწყო რელიგიის განათლების განვითარებას, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთი სიტყვით თურქეთში თანდათანობით იწყება რეისლამიზაცია,სკოლებში შემოიღეს რელიგიის გაკვეთილები, ხოლო ანკარის უნივერსიტეტში გაიხსნა ღვთისმეტყველების ფაკულტეტი, ნელ-ნელა იხსნებოდა სხვადასხვა ქალაქებში იმამ ჰათიბის რელიგიური სკოლები, ასევე მიიღეს გადაწყვეტილება რომ გაეხსნათ უმაღლესი ისლამური ინსტიტუტები. დემოკრატიული პარტიის მმართველობის დროს ოთხჯერ მეტი მეჩეთი აშენდა ვიდრე სკოლა,თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში უკვე იზრდება რელიგიური როლი და მაღლდება, რელიგიის მსახურთა განათლების დონე, მნიშვნელოვნად ვითარდებოდა რელიგიურ-კულტურული საზოგადოებების საქმიანობა, ქვეყანამ ხელი შეუწყო ისლამის ფაქტორების გაძლიერებას, თურქეთის მმართველი წევრები მიიჩქაროდნენ დაემყარებინათ მეგობრული ურთიერთობა ნავთობით მდიდარ მუსლიმურ სახელმწიფოებთან, როდესაც ისლამმა ომი დაიწყო ეგვიპტის, სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ თურქეთის მთავრობამ პირველად თქვა უარი მხარი დაეჭირა ისრაელისათვის და ნეიტრალიტეტი გამოაცხადა , ასევე

[26] Uzer U,- Identity and Turkish Foreign Policy: The Kemalist Influence in Cyprus, P.40-45

იგი შეუერთდა იმ სახელწიფოთა რიცხვს, რომლებიც მოითხოვდნენ ისრაელის ჯარებისგაყვანას ოკუპირებული ტერიტორიიდან,თრქეთი მონაწილეობდა ყოველი ისლამური ორგანიზაციის საქმიანობაში და ყოველივე ამან ხელი შეუწყო თურქეთში პროისლამური პარტიების დაარსებას,1970 წლის 26 იანვარს, პირველად თურქეთის ისტორიაში ლეგალურად დაარსდა პროისლამისტური ეროვნული წესრიგის პარტია, ხოლო მისი დამაარსებელი იყო ნეჯმეთინ ერბაქანი, პარტიის პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი , რომ პარტია სეკულარიზმს უარყოფდა, თუმცა ერთი თავი სეკულარიზმის კრიტიკას შეიცავდა,პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი თურქეთის დასავლეთ ევროპასთან დამოუკიდებულებაზე და საერთო ბაზარში შესვლის შესახებ .ეროვნული წესრიგის პარტიამ გამოხატა წერილი ბურჯუაზიის, ვაჭრების საშუალო ფენების ინტერესებს, ეროვნული წესრიგის პარტიამ დაიწყო ლაიციზმის პრინციპების წინააღმდეგ კამპანია, რაც გახდა მიზეზი ამ პარტიის დახურვისა, 1971 წელს ეროვნული წესრიგის პარტია აიკრძალა ხოლო ერბაქანი დააპატიმრეს, ამის მიუხედავად ისლამისტებს ფარხმალი არ დაუყრიათ , მათ დაარსეს „ეროვნული ხსნის პარტია“ რომელიც „ეროვნული წესრიგის პარტიის“ მემკვიდრე გახდა.

თავიIII

3.1 ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური კრიზისები და თურქეთის წინაშე არსებული გამოწვევები.

სანამ მეორე მსოფლიო ომი დაიწყებოდა, ირანი ეკონომიკური თვასაზრისით , დიდად იყო დამოკიდებული გერმანიაზე, მიუხედავად იმისა, რომ ომის დასაწყისში ირანმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა , ირანი უფრო გერმანიის მხარეს იხრებოდა, ომის საწყის ეტაპზე , ირანის მეზობელი ავღანეთი ანალოგიურ პოლიტიკას

მისდევდა, ავღანეთის მთავრობას ჰყავდა გერმანელ მრჩეველთა მთელი რაზმი, მან ნეიტრალიტეტი გამოაცხადა დდა შიშობდა, რომ გერმანია დათაანხმდებოდა საბჭოთა ექსპანსიონიზმზე ირანსა და ავღანეთში, ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს სურდათ სამხედრო აღჭურვილობის მიწოდება საბჭოთა კავშირისათვის და ამისთვის სავარაუდო მცირე გზებიდან ერთ-ერთი ირანის გზა იყო,ხოლო ამ გზის გამოყენება ქვეყნის ნეიტრალიტეტის დარღვევის ტოლფასი იყო. 1941 წლის ივლისში , ურთიერთდახმარების შესახებ ბრიტანულ-საბჭოთა შეთანხმების ხელოწერის შემდეგ,ორივე მთავრობამ ზეწოლა განახორციელა ირანზე, რადგან ქვეყნის მტავრობა აეძულებინა უამრავი გერმანელი განედევნა ქვეყნიდან, რეზა შაჰი ძალიან აღაშფოთა ამ მოთხოვნამ და ამისთვის არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს,1941 წლის 25 აგვისტოს ბრიტანელი და საბჭოთა ჯარები შევიდნენ ირანში, არაერთი ულტიმატუმის წაყენების შემდეგ, ბრიტანელებმა და საბჭოელებმა, პირველი მსოფლიო ომის მსგავსად, ქვეყანა ჩრდილოეთ და სამხრეთ ზონებად გაიყვეს.ირანში 40-იან წლებამდე არ არსებობდა მასობრივი პოლიტიკური პარტიები, იყო მხოლოდ პოლიტიკური კლუბები თუ კონსტიტუციური რევოლუციის პერიოდის ანჯომალები,1937 წელს კომუნისტების ბრალდებით დაპატიმრებული 35 პირი გაათავისუფლეს რეზა შაჰის ტახტიდან გადადგომის შემდეგ, მათ თანამოაზრეებბთან ერთად შექმნეს თუდეს პარტია, იგი დასაწყისში წარმოადგენდა მემარცხენეთა გაერთიანებას, რომელიც ღია იყო ყველა ტენდენციისათვის, ირანში პოლიტიკურ პარტიათა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა 1943 წელს ,ბრიტანელებმა დაბრუნების უფლება მისცეს ქვეყნიდან განდევნილ ყოფილ პრემიერს სეიედ ზია ად-დინ თაბათბაის და მან შექმნა ეროვნული ნების პარტია.იგი მემარჯვენე მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია მალე თუდეს მთავარ ოპონენტად იქცა,1942 წლიდან არაერთი პროფკავშირული ორგანიზაცია გაჩნდა, რომელთაც თუდე ხელმძღვანელობდა,[27] ხოლო 1945 წლის დასაწყისისათვის თუდე წარმოადგენდა პირველ მასობრივ ორგანიზაციას ირანის ისტორიაში.ომის

[27] სვანიძე მ. - თურქეთის ისტორია, გამომცემლობა არტანუჯი, 2007წ, გვ 350-360

მიწურულს მიუხედავად იმისა სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებებისა დიოლომატებს უმრავლესობას შთაბეჭდილება ექნებოდა, რომ ქვეყნის მთლიანობას ორმაგი ოკუპაცია ემუქრებოდა და აზერბაიჯანში იღვიძებდა „ ავტონომიზმის ძველი დემონი“ ,ინგლისელები შეეგუებოდნენ აზერბაიჯანისა და ქურთისტანის გამოყოფის ორმაგ ფატალურობას, მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე ირანისათვის მოსალოდნელი საბჭოთა აგრესია იყო. ირანულ წყაროებში ცნობილი აზერბაიჯანული აჯანყება, ცივი ომის ერთ-ერთი პირველი კრიზისი,ის დაიწყო მაშინ , როდესაც იოსებ სტალინმა უარი განაცხადა ირანის ჩრდილოეთ ტერიტორიების დატოვებაზე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთად უნდა დასრულებულიყო მოკავშირეების მიერ ირანის ოკუპაცია, ამის სანაცვლოდ პრო-სსრკ ირანელებმა სსრკ-ის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამოაცხადეს აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკა და ქურთული სეპარატისტული მეჰაბადის რესპუბლიკა,1941 წლის აგვისტოდან სექტემბრამდე სსრკ-ის ირანის ჩრდილოეთუ ხოლო დიდმა ბრიტანეთმა სამხრეთი და ცენტრი დაიკავა,ოკუპაციის შემდეგ ირანი სსრკ-ის გარდა ყველა უცხოელმა ძალამ დატოვა,საბჭოელებმა ჩრდილოეთ ირანში 2 სეპარატისტული რესპუბლიკა ჩამოაყალიბეს, ამან გამოიწვია კრიზისი და შეტაკებები ირანის, აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკის და მეჰაბადის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს შორის. 1941 წლის ივნისს, როდესაც ნაცისტურმა გერმანიამ დაარღვია მოტოვ-რიბენტროპის პაქტის და თავს დაესხა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირს , სსრკ-მ და დიდმა ბრიტანეთმა ერთდროულად მოახდინეს ირანის ოკუპაცია, შეჭრის მიზეზი ბრიტანეთის ინდოეთის და სსრკ-ს დაკავშირება იყო.ოკუპაციის შემდეგ რეზა-შაჰ ფეჰლევი გადადგა შაჰის თანამდებობიდან, მავრიტანიაში წავიდა და ტახტი მის შვილს მოჰამედ რეზა ფეჰლევს დაუთმო. 1942 წლის იანვარში, ხელი მოიწერა სამკუთხა ხელშეკრულებაზე სადაც ითქვაა რომ: სსრკ-ს და დიდი ბრიტანეთი ჯარებით ირანში შესვლა არ იყო ოკუპაცია, ირანი იყო მოკავშირე სახელმწიფო და მოხდა შეთანხმება რომ სსრკ და დიდი ბრიტანეთი ირანს ომის დასრულებიდან 6 თვეში დატოვებდნენ .ირანის 1946 წლის კრიზისს სულ 2 000

ადამიანი შეიწირა.მეჰაბადის რესპუბლიკა გამოცხადდა 1945 წლის დეკემბერში. მას მეჰაბადის კულტურული და რელიგიური ლიდერი ყაზი მუჰამადი მეთაურობდა.საბჭოთა წინააღმდეგობის მიუხედავად მუსტაფა ბარზანიმ შექმნა პეშმერგა. მუსტაფა ბარზანი და სხვა ქურთული ტომების 60 ლიდერმა შექმნეს ქურთისტანის დემოკრატიული პარტია და ყაზი მუჰამადი მეჰაბადის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს.ქურთულ ძალებს ორგანიზირებას უწევდა საბჭოთა კაპიტანი, სალაჰუდინ კაზიმოვი, საერთო ჯამში მეჰამბადის რესპუბლიკის არმია მოიცავდა 110მაღალი რანგის ოფიცერს და 1200 დაბალი რანკის სამხედროს,1946 წლის 3 მაისს ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას ქურთულ და ირანულ შეიარაღებულ ძალებს შორის ,ხოლო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაირღვა 1946 წლის 15 ივნისს,მაშინ როდესაც მამშაჰთან ახლოს 2 ირანული ბატალეონი თავს დაესხა ქურთულ შეიარაღებულ ძალებს ,ქურთები დამარცხდნენ და უკან დახევა მოუწიათ . მეჰაბადის რესპუბლიკის მარცხი 1946 წლის 3 მაისს კრიზისში გარდამტეხი აღმოჩნდა. ირანის კრიზისი იყო კონფლიქტი ცივი ომის პირველი კრიზისი ევროპის გარეთ და იყო უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ამერიკის შეერთებული შტატების და სსრკ-ის შორის ისეთი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, რომელმაც ცივი ომის დასასრულებამდე და საბჭოთა კავშირის დაშლამდე გასტანა .პირველი კრიზისი ეგვიპტეში 1831 წლის შემოდგომაზე დაიწყო, როდესაც მუჰამედ ალიმ ომი წამოიწყო ოსმალეთის სულტან მაჰმუდ II-ის წინააღმდეგ,ეგვიპტის ჯარებმა იბრაჰიმ-ფაშას მეთაურობით დაიკავეს პალესტინა, სირია,კილიკია,კონიასთან დაამარცხეს ოსმალთა არმია და მიუახლოვდნენ სტამბოლს,დასავლეთ ქვეყნებისგან ვერ მიიღო დახმარება მაჰმედ II-მ და რუსეთს მიმართ .1833 წლის გაზაფხულზე რუსული დესანტის მოსვლამ ბოსფორში გააძლიერა სულთნის პოზიციები და შეაჩერა ეგვიპტელების იერიში,დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჩარევამ აიძულა სულთანი დაედო მუჰამად ალისთან ქუთაჰიის შეთანხმება,1833 წელს ხხელმოწერის შემდეგ რუსული ჯარები ოსმალეთიდან გაიყვანეს,მეორე კიზისი გამოწვეული იყო ქუთაჰიის

შეტანხმები გამო ორივე მხარის უკმაყოფილობით და დაიწყო ოსმალეთის ჯარის შეტევით ეგვიპტის წინააღმდეგ,პირველ ბრძოლაშივე ისინი დამარცხდნენ ,ოსმალეთის ფლოტი ეგვიპტის მხარეზე გადავიდა,კონფლიქტში ჩაერივნენ ევროპული სახელმწიფოები ისინი მხარს უჭერდნენ სულთანს,მუჰამედ ალის მდგომარეობა გაართულა ეგვიპტის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებებმა სირიაში,ლიბიასა და პალესტინაში, 1840 წელს სექტემბერში დიდ ბრიტანეთის ,ავსტრიისა და ოსმალეთის ფლოტებმა და სადესანატო ნაწილებმა განადგურეს ეგვიპტის ჯარები და ისინი სირიიდან განდევნეს,ევროპული ქვეყნების ჯარების ეგვიპტეში შეჭრის შიშით მუჰამად ალიმ კაპიტულაცია გამოაცხადა,1841 წლის 13 თებერვალსა და 1 ივნისის ბრძანებით მუჰამად ალი აღიარებული იყო ეგვიპტისა და აღმოსავლეთ სუდანის მემკვიდრე-გამგებლად,მაგრამ მას ჩამოერთვა ყველა სხვა სამფლობელო, ეგვიპტის არმია 18 ათას კაცამდე შემცირდა.[28]ერაყმა 1921 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. 1958 წლამდე ქვეყანას მართავდა ჰაშიმიტების დინასტია. მონარქიის დამხობის შემდეგ ერაყში რესპუბლიკური მმართველობა დამყარდა. წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა პარტია ბაასი, რომელმაც „ანტიიმპერიალისტური კურსი“ აიღო და დაიწყო რეფორმების გატარება.1974 წელს ქვეყნის ჩრდილოეთში გამოცხადდა ქურთისტანის ავტონომია,1980-1988 წლებში ერაყი მონაწილეობდა გართომასშტაბიან ომში ირანთან,ხოლო 1990 წელს იგი შეიჭრა მეზობელი ქუვეითის ტერიტორიაზე და მოახდინა მისი ანექსია,მხოლოდ საერთაშორისო კოალიციური ძალების აქტიური მონაწილეობით მოხერხდა აგრესიის შედეგების ლიკვიდაცია.ირანთან ომში ერაყმა ქიმიური იარაღი გამოიყენა, ხოლო 1988 წელს ქვეყნის შიგნითა, ქურთების წინააღმდეგ,ამ ომების გამო ,1991 წელს გაერომ ერაყის მიმართ საერთაშორისო სანქციები დააწესა, რამაც გამანადგურებელი ეფექტი მოახდინა ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობაზე, ერაყი ჩრდილოეთსა და სამხრეთში შეიქმნა დახურული ზონები , სადაც პატრულირებდა აშშ-სა და ბრიტანეთის ავიაცია. ჩრდილოეთის დახურულ ზონაში ქურთებმა ავტონომიური

[28] Hale W,- Turkish Foreign Policy 1774-2000, 2000 P, 45-70

რეგიონი შექმნეს . უკანასკნელ წლებში გაერო ცდილობდა დაეყოლიებინა ერაყის მმართველი რეჟიმი მასობრივი განდგურების იარაღის განადგურებაზე,მაგრამ უშედეგოდ . II მსოფლიო ომს ერაყი მძიმე ეკონომიკური პრობლემებით და დაძაბული პოლიტიკური სიტუაციით შეხვდა,შექმნილ ვიტარებაში 1939 წელს ბრიტანეთმა ერაყს შეიარაღების შესაძებად და სარკინიგზო მაგისტრალების მოსაწესრიგებლად ასესხა დაახლოებით 4 მლნ გირვანქა სტერლინგი,ერაყის სანავთობო კომპანიამ კი დაუმატა 3 მლნ მთავრობის ყოველდღიური ხარჯებისათვის,დასაწყისშივე პრემიერმა ნური საიდმა გაწყვიტა ურთიერთობები გერმანიასთან,მიუხედავად მთავრობის განცხადებისა, რომ ერაყი დაიცავდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ბრიტანეთის წინაშე,მრავალი ერაყელი ლიდერი კმაყოფილი იყო ინგლისისა და საფრანგეთის ომისდროინდელი სირთულეებით.ერაყის დღევანდელი კრიზისის უმტავრესი საფუძველი შიიტებსა და სუნიტებს შორის ისტორიული დაპირისპირებაა, უმტავრესად სახელდება აშშ-ის 2003 წელს დაწყებული სახმელეთო ოპერაცია, რომლის შედეგადაც სადამ ჰუსეინი ჩამოაშორეს ხელისუფლებას და საბოლოოდ სიკვდილით დასაჯეს, მნიშვნელოვანია რომ ამერიკელებმა ვერ მოახერხეს ერაყის კამპანიის წამოწყების მიზეზის გამყარება,მასობრივი განადგურების იარაღი არ აღმოაჩნდა სადამის ტავრობას, ასევე ცხადი გახდა რომ ბუშის ადმინისტრაციას არ ჰქონდა მოქმედების გრძელვადიანი სტატეგია,რომლის შესაბამისადაც მოხდებოდა სადამის მთავრობის ჩანაცვლება ერაყელთათვის მისაღები იმ პოლიტიკური ძალით,რომელიც არ მოახდენდა ძალაუფლების მიერ და რის საფუძველზეც მოხერხდებოდა ეფექტიანი და შესაბამისად ავტორიტეტული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება,ამერიკელთა ერაყიდან გამოსვლაც ასევე შეცდომად ითვლება, იმ ფაქტორის გათვალისწინებით ,რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა დაეკისრა ერაყის არაეფექტიან არმიას ,რომელიც ამერიკული შეიარაღების გარდა არმიის სხვა ნიშანს არ ატარებს.სადამის დამხობამ რეგიონში შიიტების პოზიციები გაამყარა, რათქმაუნდა პირველ რიგში,ირანისა რაც ბუნებრივია იწვევს საუდის

არაბეთის გაღიზიანებას ,ერაყში შექმნილი მდგომარეობის გამომწვევ მთავარ მიზეზებად აღვიქვამ იმას, რომ მოსახლეობა ვერ ჩამოყალიბდა თუ რას ნიშნავს იყო ერაყელი, ამ საკითხზე არ არსებობს ეროვნული კონსენსუსი. ამის აუცილებლობა განსაკუთრებით შეინიშნება 2003-წლის შემდგომ პერიოდში. ერაყელებს ჯერ არ ჩამოუყალიბებიათ თუ როგორ მოახდინონ საკუთარი სახელმწიფოს ორგანიზება.წარსულში, ერთი ადამიანი და პარტია წყვეტდა იდენტობის საკითხს, იქნებოდა ეს არაბული რესპუბლიკა, რევოლუციური რესპუბლიკა თუ მონარქია.მნიშვნელოვან ფაქტორს წამოადგენს ერაყის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა,,ენერგორესურსებით სიმდიდრის მიუხედავად ,კორუფციის დონე და რესურსებზე წვდომა ექსკლუზიურობა განაპირობებს,რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.კონფლიქტი 1948 წლიდან დაიწყო, როცა ისრაელი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. არაბული სახელმწიფოები გაერთიანდნენ პალესტინის დასახმარებლად და ისრაელს დაუპირისპირდნენ. ომი ისრაელის გამარჯვებით დასრულდა და ძველი პალესტინის თითქმის მთელი ტერიტორია საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში გააერთიანა, 1967 წელს ექვსდღიანი ომის შედეგად ისრაელმა საკუთარი კონტროლირებადი ტერიტორია კიდევ გაზარდა. დაიპყრო ღაზას ზონა და ადრე გაყოფილი ქალაქი იერუსალიმი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა, ხოლო 1980 წელს ისრაელმა იერუსალიმი თავის სამუდამო დედაქალაქად გამოაცხადა. მხარეებს შორის იდებოდა სამშვიდობო შეთანხმებები. აშშ, რომელიც ისრაელის მთავარი პარტნიორია, მხარეებს პერიოდულად სამშვიდობო გეგმას სთავაზობს. თუმცა, მცდელობებს ამ დრომდე შედეგი არ მოაქვს, რადგან არცერთ მხარეს საკუთარი პოზიციის დათმობა არ სურს,პალესტინური ტერორისტული დაჯგუფებები – ჰამასი, ისლამური ჯიჰადი, რომელთა მთავარ მიზანს ისრაელზე თავდასხმები წარმოადგენს, მუდმივად შლიან სამშვიდობო შეთანხმებებს. ისრაელებსა და პალესტინელებს შორის არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობა, რაც ყველაზე აშკარად ღაზაში ჩანს, მათ შორის კონფლიქტს კიდევ უფრო ამძაფრებს,ისრაელს ღაზას სექტორისთვის

შეზღუდვები აქვს დაწესებული. რეგიონიდა მრავალი ძირითადი შიდა წარმოების პროდუქტის იმპორტი შეზღუდულია. ღაზა ზღვასთანაა, თუმცა, მათთვის თევზაობა აკრძალულია. მეზობელი და საერთაშორისო ბაზრებისგან გამიჯვნა ამ რეგიონს ეკონომიკურად აზარალებს. ღაზას სექტორში სიღარიბის მაჩვენებელი 40%-ზე მაღალია, უმუშევრობის დონე კი 70%-ს აღწევს. ღაზაში წყალი უმეტესად სასმელად უვარგისია. სასმელი წყალი დიდი პრობლემაა, რადგან ისრაელის მთავრობა ხშირად ზღუდავს პალესტინელების წყალმომარაგებას. ლიბანის,სირიისა და ერაყისაგან განსხვავებით ბრიტანეთის სამანდატო პალესტინა პრაქტიკულად არ ყოფილა დაპირისპირებულ მხარეებს შორის, საბრძოლო მოქმედებების ასპარეზი,მაგრამ II მსოფლიო ომმა აქ მაინც უმძიმესი შედეგები მოიტანა პალესტინელი არაბებისა და სიონისტე ებრაელების დაპირისპირების გამო,ომის წინ მიღებული 1939 წლის თეთრი წიგნი პალესტინის მომავალს არ წყვეტდა, ხოლო ებრაელთა ემიგრაცია მომავალი ხუთი წლის მანძილე 75 ათასით შეზღუდა, სიონისტები მოუწოდებდნენ ებრაელებს ჩაწერილიყვნენ ბრიტანულ არმიაში და იმის დროს ათასობით პალესტინელი ებრაელი მოხალისედ იბრძოდა ბრიტანულ ჯარებში . მიუხედავად იმდროინდელი პოლიტიკური წინააღმდეგობისა, პალესტინაში არაბთა და ებრაელთა ნაწილმა ეკონომიკური სარგებელიც კი ნახეს ომიდან 1941 წლის შემდეგ,ჯარის დიდი რაოდენობით განთავისუფლების გამო, გაიზარდა მოთხოვნა სურსათზე,მშენებლობაზე და სამხედრო მომარაგებაზე ,რამაც მათ დიდი მოგება მოუტანა,ჩერჩილის ხელისუფლების მოსვლამ 1940 წელს ბრიტანეთის პოლიტიკის მოდიფიცირება მოახდინა პალესტინაში,ჩერჩილი ემხრობოდა სიონისტებს და 1939 წლის თეთრი წიგნის წინააღმდეგი იყო ,ომის დასაწყისში ფილბიმ ბრიტანელმა ავანტურისტმა , რომელიც 20-იან წლებში ამირა აბდალაჰთან მსახურობდა წამოაყენა პალესტინის პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი გეგმა,ამ გეგმით დიდ ბრიტანეთს ხელი უნდა შეეწყო ახლო აღმოსავლეთის კოფედერანციის შექმნისთვის,რომლის სათავეშიც იბნ საუდი იქნებოდა და რომელიც ინტეგრირებული იყო ბრიტანულ თანამეგობრობაში,1941 წლის 29 მაისს სიტყვით გამოსვლისას იდენმა მხარი დაუჭირა

გარკვეული ფორმით არაბთა ერთობის შექმნას.ხოლო ჩერჩილი იძულებული გახდა აღარ გაეზიარებინა ფილბის გეგმა, ის შეიცავდა პროექტით რუზველტის დაინტერესებას,ამ უკანასკნელმა კონტაქტები დაამყარა იბნ საუდთან 1943 წლის აგვისტოში და კატეგორიული უარი მიიღო ამ პროექტზე.1974 წელს არაბულმა ლიგამ პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია (PLO) აღიარა, როგორც პალესტინელი ხალხის ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენელი და უარი თქვა დასავლეთ სანაპიროს წარმომადგენლის როლზე,PLO-მ დამკვირვებლის სტატუსი მოიპოვა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე იმავე წელს.[29]1988 წელს PLO-ს პალესტინის ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა პალესტინის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ალჟირში და ტუნისში. დეკლარაცია აცხადებს „პალესტინის სახელმწიფოს ჩვენს პალესტინის ტერიტორიაზე თავისი დედაქალაქი იერუსალიმით“ , თუმცა ის არ განსაზღვრავს ზუსტ საზღვრებს და ამტკიცებს , რომ გაეროს 181 რეზოლუცია მხარს უჭერს პალესტინელების და პალესტინის უფლებებს, დეკლარაციას თან ახლდა PLO-ს მოწოდება მრავალმხრივ მოლაპარაკებებზე გაეროს რეზოლუციის 242-ის საფუძველზე.კონფლიქტი ისრაელის სასამართლოს მიერ რამდენიმე პალესტინური ოჯახის იერუსალიმის შეიხ-ჯარას რაიონიდან გასახლების გადაწყვეტილებამ გამოიწვია.ამ ტერიტორიაზე ახალი სახლების აშენება და ებრაელი ახალმოსახლეებისთვის გადაცემა იგეგმება. ამავე დროს, ებრაულმა მხარემ პალესტინელები ტაძრის მთაზე იერუსალიმის დღის აღსანიშნად არ დაუშვა. ამას პალესტინელების საპროტესტო გამოსვლები და პოლიციასთან შეტაკებები მოჰყვა.დაპირისპირებისას დაშავდა ასობით პალესტინელი. ებრაელმა სამართალდამცველებმა შეუტიეს ალ–აქსას მეჩეთსაც, რომელიც მუსლიმებისთვის იერუსალიმის მთავარ სიწმინდეს წარმოადგენს. ამან გააღვივა კონფლიქტი, რომელიც უკვე 70 წელზე მეტია გრძელდება.პალესტინურმა შეიარაღებულმა დაჯგუფება ჰამასმა მის მიერ კონტროლირებადი ღაზას სექტორიდან სარაკეტო

[29] Lenore G. Martin, Dimitris Keridis – The Future of Turkish Foreign Policy, 2002, P, 50-65

ცეცხლი გახსნა თელ-ავივისა და სხვა ქალაქების მიმართულებით. ისრაელმა საპასუხო შეტევა მიიტანა ჰამასის პოზიციებზე ღაზაში.

თურქი მკვლევარი მუსტაფა აიდინი თავის ნაშრომებში წერს, რომ ცივი ომის შემდეგ თურქეთს ძალიან გაუჭირდა ახალ რეალობაში ადაპტირებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო სამხრეთკავკასიური პოლიტიკის ფორმირება და „დიდ თამაშში“ ჩართვა რუსეთთან, ირანთან და აშშ-სთან ერთად, თურქეთმა თავდაპირველად სწორება კავკასიაში მცხოვრებ მუსლიმ თემზე აიღო, მაგრამ მალე კავკასიის დანარჩენი მოსახლეობაც მისი ინტერესების არეალში მოიქცა, ასევე გააცნობიერა თურქეთმა , რომ მის პან-თურქულ იდეებს განვითარების არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნდა , დაიწყო ურთიერთობის ნორმალიზებაზე ორიენტიებული პოლიტიკის გატარება და ურთიერთობის განვითარება აზერბაიჯანთან, ეს რთული არ იყო ამ ქვეყანასთან, ასევე საქართველოსთან და სომხეთთან, რომელთანაც მთიანი ყარაბაღის პრობლემის მიუხედავად , თურქეთს დიდი სურვილი ჰქონდა ორმხრივი კავშირების გაღრმავების,აქედან მოყოლებული თურქეთი მუდმივად ცდილობს განავითაროს პოლიტიკური კავშირები ანკარასა და რეგიონის ქვეყნების დედაქალაქებს შორის.

3.2 ქურთული პრობლემის გააქტიურება და გამოწვევები თურქეთის წინაშე

2019 წლის ოქტომბრიდან ქურთები მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ეს ყველაფერი კი თურქეთის სირიაში შეჭრით დაიწყო. ერდოღანის ამ გადაწყვეტილებით ყველაზე მეტად დაზარალდნენ სირიელი ქურთები, რომელთათვისაც თურქეთის ეს ნაბიჯი კატეგორიულად მიუღებელია. სწორედ ამიტომ ისინი ან იბრძვიან, ან გარბიან. ვინ არიან ქურთები? როგორია მათი არსებობის ისტორია? რა განსხვავებაა ქურთებსა და იეზიდებს შორის?ვინ არიან ქურთები?ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი

და მეორე ათასწლეულების მიჯნაზე მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი სამეფოს საზღვარი გადიოდა. ერთი მხრივ, იყო ხეთების სამეფო, მერე მხრივ კი - მითანი, რომლის მოსახლეობაც ხურიტებისა და სემიტებისგან შედგებოდა. როდესაც ხეთების სამეფო დაიშალა, მისი მოსახლეობის შემადგენელმა განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენლებმა არსებობა დამოუკიდებლად დაიწყეს. ეს იყო სირიის სამთავრო, პროტოსომხები (ურარტუელები ან ხაიელები) და პროტოქართველები (ქალდები ან ქართები). თითოეული მათგანი თავისი გზით წავიდა. სადღაც ამ სირიულ სამთავროში დაიკარგა ეთნოსის დასაწყისი, რომელმაც ათასწლეულის შემდეგ არაბებისგან მიიღო სახელწოდება „ქურთები“. ამ დროიდან მოყოლებული, მესოპოტამიასა და მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ქურთების ქვეყანა - სპარსულად „ქურთისტანი“ ეწოდა.

სად ცხოვრობენ დღეს ქურთები? დღეს ქურთები მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი. თუმცა მათი ძირითადი საცხოვრებელი მაინც ქურთისტანია, რომელიც თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთს, სირიის ჩრდილოეთს, ერაყის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და ირანის ჩრდილო-დასავლეთს მოიცავს. ქურთები კავკასიაშიც ცხოვრობენ. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთში. ისინი არიან რუსეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთშიც. ეს გეოგრაფიული გაფანტულობა ქურთების რთულ ისტორიას ასახავს, რაც მიგრაციას, დეპორტაციასა და გადასახლებას გულისხმობს. ქურთული ჯგუფები ცხოვრობენ ისრაელსა და ეგვიპტეშიც. ენა, რომელზეც ქურთები ლაპარაკობენ, ირანულ ჯგუფს მიეკუთვნება. ის სპარსულის, ოსურისა და ტაჯიკურის მონათესავეა. ქურთულში ორი ძირითადი დიალექტი არსებობს: ქურმანჯი (ჩრდილოეთი) და სორანი (სამხრეთი). რამდენადაც ქურთები დღეს უკვე არაბულ, თურქულ და სპარსულ ენაზე მოსაუბრე ადამიანებთან თანაცხოვრობენ, მათი ენა მეზობლების მეტყველების გავლენას განიცდის. ქურთების უმრავლესობა მუსლიმი სუნიტები არიან. ისინი ისლამის მიმდევართა მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვან ფრთას მიეკუთვნებიან. ქურთებს შორის არიან ქრისტიანები და ათეისტები. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ეთნოსის წარმომადგენლებს რელიგიური

ფანატიზმი არ ახასიათებთ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ პერიფერიებში მცხოვრებ მოსახლეობას საკუთარი ადათ-წესები ჰქონდა და ისინი არაბული წარმომავლობის შარიათის კანონებს ყოველთვის არ ემორჩილებოდნენ.იეზიდი და ქურთი ერთი იგივე ეთნოსია?იეზიდები განსაკუთრებული სინკრეტიკული რელიგიის მიმდევრები არიან. მათ რწმენას ძლიერი გნოსტიციზმი ახასიათებს. იეზიდებს სწამთ თავიანთი ღმერთის - ხოდესა და მისი ემანაციის, ასევე - მთავარანეგელოზ მალაკ თავუსის, რომელსაც ალეგორიულად ფარშევანგის ფორმით გამოსახავენ. იეზიდები პატივს მიაგებენ მათი ღმერთის მოციქულს, შეიხ შარიფ ადი იბნ მუსაფირს, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა.

ზოგი იეზიდებს ქურთულ ეთნოსს მიაკუთვნებს, სხვები კი - პირიქით, მათ ქურთების მონათესავე ცალკე ერად მიჩნევენ.[30] მეოცე საუკუნეში განვითარებული დრამატული მოვლენების ფონზე, როცა ოსმანთა ხელისუფლებამ სომხებისა და ასირიელების მასობრივი გენოციდი მოაწყო, ქურთები და იეზიდები სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. მუსლიმი ქურთები თურქებთან ერთად გენოციდის შემსრულებლებად იქცნენ, იეზიდები კი - ქრისტიანებთან ერთად მსხვერპლის ამპლუაში აღმოჩნდნენ.ქურთები მართლაც ყველაზე მრავალრიცხოვანია ერია, რომელსაც სახელმწიფო არ აქვს. ქურთების რაოდენობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით 30 მილიონს აღწევს, თუმცა მათ საკუთარი სახელმწიფოს შექმნა ვერასდროს მოახერხეს. დიდი ხნის მანძილზე ქურთებს აღიარებული ავტონომიაც კი არ ჰქონდათ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ქურთები მუდმივად ორი სამყაროს გასაყარზე ცხოვრობდნენ და თითოეული მათგანი ამ ეთნიკური ჯგუფის საცხოვრებელი სივრცის დამორჩილებას ცდილობდა.თავიდან იყვნენ ხეთები და ხურიტები, შემდეგ - რომაელები და სპარსელები, მოგვიანებით - არაბები, ირანელები და ხაზარები. მომდევნო პერიოდში გამოჩნდნენ ოსმანები (თურქები) და სპარსელები. შუა საუკუნეების არაბი ისტორიკოსები ქურთებს ერად არ მიიჩნევდნენ, მათ კაზაკების მსგავს სოციალურ ჯგუფად თვლიდნენ და ყაჩაღებს ან საზღვრის

[30] Ormeci O,Isiksal H,- Turkish Foreign Policy in the New Millennium, 2015, P, 70-80

დამცველებს უწოდებდნენ. შუა საუკუნეებში, ქვეყნებს შორის საზღვრები არ იყო მკვეთრად გავლებული, ისლამის კონტექსტში კი ავტონომია წარმოუდგენლად მიაჩნდათ. ამიტომაც ქურთების საზღვარი არაბებთან, სპარსელებთან ან ოსმანებთან უფრო ცივილიზაციური იყო.ქურთებს საკუთარი სახელწიფოს შექმნა არასდროს უცდიათ? ქურთები ამ მიზანთან თავიანთი არსებობის განმავლობაში ყველაზე ახლოს ოთხჯერ იყვნენ. პირველად მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ოსმანთა იმპერია დაიშალა. სევრის ხელშეკრულება ქურთების სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებდა კიდეც, მაგრამ ეს იდეა „დიდი თამაშის“ რთულ პერიპეტიებს ემსხვერპლა.მეორე შესაძლებლობა 1920-იან წლებში გაჩნდა. თურქეთიდან გაქცეული ქურთები კავკასიაში (მთიან ყარაბაღში) დასახლდნენ. ყოფილი საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ბელადმა ვლადიმერ ლენინმა გადაწყვიტა „საბჭოთა ქურთისტანი“ შეექმნა. გაჩნდა ქურთული თვითმმართველობა, გამოიცა ქურთულენოვანი გაზეთები და წიგნები. თუმცა სტალინმა ეს ავტონომია გააუქმა. 1936–1944 წლებში კი მან ძალით გადაასახლა თითქმის ყველა საბჭოთა ქურთი ყაზახეთსა და ციმბირში, სადაც უმრავლესობა დაიღუპა.მესამედ ქურთებმა ირანში საკუთარი ავტონომიის (მისი ცენტრი იყო ქალაქი მაჰაბადი) შეექმნა შეძლეს - 1941–1946 წლებში. ანალოგიური მცდელობა ჰქონდათ 1960-იანი წლების ერაყში. მაჰაბადის ავტონომია ირანელებმა გააუქმეს, ხოლო როცა ერაყის ხელისუფლებაში სადამ ჰუსეინი მოვიდა, მან თავის ტერიტორიაზე არსებული ქურთული ავტონომია დაუნდობლად გაანადგურა. ჰუსეინმა ამისთვის ქიმიური იარაღიც კი გამოიყენა. საბოლოოდ ბაასისტური ერაყის დაშლისა და სირიის ტერიტორიაზე შექმნილი ქაოსის ფონზე ქურთებმა 2012–2016 წლებში სირიის ქურთისტანში თავიანთი სახელმწიფო - როჟავა (ქურთ. დასავლეთი) შექმნეს. როჟავის შეიარაღებული ძალები, აშშ-ის მხარდაჭერით, სირიის დემოკრატიულ ძალებთან ალიანსში შევიდნენ და ისლამისტებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. დღეს კი ეს პროტოსახელმწიფო, ფაქტობრივად, ლიკვიდაციის პროცესშია სირიისა და თურქეთის ხელისუფლების მონაწილეობით, რასაც აშშ-ისა და რუსეთის მდუმარე თანხმობა ახლავს.აქვთ თუ არა

სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქურთებს საერთო იდეოლოგია?1970-იანი წლებიდან თურქთში მცხოვრებ ქურთებში მარქსიმზ-ტროცკიზმის იდეამ (ნაწილობრივ მაოიზმისაც) პოპულარობა მოიპოვა. თუმცა აქ ამ იდეოლოგიას რადიკალური ელფერი შეიძინა. სწორედ ამიტომ ქურთების ნაწილმა თურქეთის ხელისუფლებასთან ბრძოლის გზად პირდაპირი ტერორი და შეიარაღებული დაპირისპირება აირჩია. ქურთისტანის მუშათა პარტია კი პარტიზანულ ბრძოლებს ჩაუდგა სათავეში. ერაყის, ირანისა და სირიის ქურთები კი ფიზიკურად დაიყვნენ. ერთი მხრივ, გაჩნდნენ ლეგალისტები და მეორე მხრივ - სეპარატისტები. თუ მასუდ ბარზანის მომხრეებს თავიანთ იდეალად დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მიაჩნდათ, ლეგალისტები პირიქით - ირანისა და სირიის ხელისუფლებასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. ამ უკანასკნელთა მიზანი რაიმე სარგებლის მიღება იყო. ასე რომ, 1979 წელს ირანში ქურთებმა ისლამურ რევოლუციას დაუჭირეს მხარი იმ იმედით, რომ პრივილეგიებს მიიღებდნენ, რაც მათ შაჰის რეჟიმის პირობებში არ ჰქონდათ. თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა.

დღეს უკვე სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქურთებს მხოლოდ დამოუკიდებლობაზე ოცნება აერთიანებთ. თუმცა ამ ნატვრასაც სხვადასხვა ჯგუფი განსხვავებულად აღიქვამს. თურქეთში მცხოვრები ქურთები ცალკე სახელმწიფოსთვის იბრძვიან. ირანელი ქურთები ავტონომიის მოპოვებას ცდილობენ. სირიელმა და ერაყელმა ქურთებმა კი როჟავა შექმნეს და ცალკე ცხოვრებისთვის იბრძვიან, თუმცა თავიანთი ეთნოსის სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობის შესაძლებლობასაც განიხილავენ.ქურთისტანი, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს ქურთების ქვეყანას, ხშირად ჩნდება მსოფლიო რუკებზე, რომლებსაც იყენებენ ქურთი ბოევიკები. მიუხედავად ამისა საერთაშორისოდ აღიარებული ასეთი სახელმწიფო არ არსებობს. ქურთებს შორის ყველაზე ახლოს დამოუკიდებლობასთან დგას ერაყის ქურთისტანი, რომელსაც მართავს ნახევრად ავტონომია.ქურთებს არასოდეს უცხოვრიათ ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი კონტროლის პირობებში და არსებობენ ათეულობით პოლიტიკური ფრაქციები, რომლებიც განაწილებული არიან თურქეთს,

ირანს, სირიასა და ერაყს შორის, სირიაში 17 ქურთული პარტიაა, მთავარი მათ შორის არის დემოკრატიულ პარტიათა კავშირი, რომელიც წარმოადგენს თურქეთის მუშათა პარტიის ფილიალს.ის 1978 წელს დააარსა აბდულა თჯალანმა. 1984 წელს მათ ხელში აიღეს ანკარას წინააღმდეგ და მოითხოვეს დამოუკიდებლობა მა მას შემდეგ მათ შორის დაძაბული ურთიერთობაა. ჯგუფი ხასიათდება მარქსისტული იდეოლოგიით, აშშ-ში და ევროკავშირში შედიოდნენ ტერორისტული ორგანიზაციების სიაში. ერაყის ქურთისტანში ერთმანეთს მეტოქეობას უწევს ქურთების ორი პარტია: ქურთისტანის დემოკრატიული პარტია ბარზანის ხელმძღვანელობით, რომელიც აკონტროლებს ერაყის ქურთისტანის ჩრდილოეთ ნაწილს და მის დედაქალაქ ერბილს და ქურთისტანის პატრიოტული კავშირი, დაფუძნებული ქალაქ სულეიმანიაში და წამყვანი სამხრეთ ნაწილში.ეს არის შეიარაღებული კონფლიქტი თურქეთის რესპუბლიკასა და ქურთულ სხვადასხვა ამბოხებულ ჯგუფებს შორის, რომლების მოითხოვდნენ თურქეთისაგან განცალკევებას დამოუკიდებელი ქურთისტანის შესაქმნელად ან მსგავსი მათ სურდათ მიენიჭებინათ პოლიტიკური და კულტურული უფლებები, მმართველებს თურქეთის რესპუბლიკაში ქურთებისთვის.ამ კონფლიკტში მთავარი აჯანყებული ჯგუფი არის ქურთისტანის მშრომელთა პარტია,ქურთისტანის პარტია, მიუხედავად იმისა ამბოხებულებმა განახორციელეს თავდასხმები თურქეთის ბევრ რეგიონში, კონფლიქტმა თურქეთის ეკონომიკა დააზარალა 300-დან 450 მილიარდ აშშ დოლარამდე ,ამან ასევე იმოქმედა თურქეთში ტურიზმის სფეროზე, ქურთული დაჯგუფება დაარსდა 1978 წელს სოფელ ფისში,ქურთი სტუდენტების მიერ,რომელსაც ხელმძღვანელობდა აბდულა ოჯალანი,ამის მიზეზი იყო ის რომ ქურთებს ჩაგვრავდნენ თურქეთში,ასევე ქურთული ენის ,ჩაცმულობის და სახელების გამოყენება აკრძალული იყო,თურქეთის მთავრობამ ქურთები კატეგორიებად დაასახელა 1991 წლამდე „მთის თურქები“ , სიტყვები „ქურთები“ „ქურთისტანი“ ან „ქურთი“ ოფიციალურად აკრძალეს თურქეთის მტავრობამ.1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ქურთული ენა ოფიციალურად აიკრძალა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. ბევრი ვინც

ლაპარაკობდა, აქვეყნებდა, ან მღეროდა ქურთულად, დააპატიმრეს.თურქეთის ხელისუფლებამ გაანადგურა ქურთებით დასახლებული მრავალი ქალაქების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის: დიბირკი, მარდინი, კრებრი, ნუსაიბინი და იკსსკევა. ძირითადად ფარული მოლაპარაკებების შემდეგ, წარმატებით შეწყდა ცეცხლის შეწყვეტა. ცეცხლის შეწყვეტა მოხდა 2015 წლის ზაფხულში, პოლიტიკური დაძაბულობის გამო.ქურთების ეთნიკური ტერიტორიების ყველაზე დიდი მასივი განსახლებულია თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის და აღმოსავლეთის რეგიონში, ცალკეული განსახლებები ასევე გვხვდება მტელ ანტოლიაში მსხვილი ქურთული დიასპორები ასევეა ქვეყნის დასავლეთის დიდ ქალაქებში,[31] ქურთების ძირითადი მოსახლეობაა ზაზას ხალხი , ზაზა - მომთაბარე ტომების შთამომავლობაა, რომელებიც თავდაპირველად ცხოვრობდნენ თანამედროვე ირანის ჩრდილოეთით კასპიის ზღვის სანაპიროზე, საიდანაც XVI საუკუნიდან მოყოლებული დაიწყეს მიგრაცია სომხეთის ტერიტორიაზე. ზაზამ მრავალი სომეხი გადაარჩინა გენოციდის დროს. ისინი ქურთების ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენენ, ამიტომ ზაზას გამოყოფა სხვა ქურთების რიგებიდან არასწორია,დიდი რაოდენობით გვხვდება თურქულად მოლაპარაკე ქურთების ტომები,რომლებიც გადავიდნენ თურქულ ენაზე, ასეთი კი დაახლოებით 6 მილიონამდე ადამიანია,თურქულ-ქურთულ ტომებში ტრადიციულად შეიმჩნევა გაუნათლებლობის ყველაზე მაღალი დონე,ქვეყნების მიხედვით, არ არსებობს ქურთების ეთნიკური აღწერა, მაგრამ ანგარიშები აჩვენებს, ისინი ქმნიან მოსახლეობას, 20-დან 40 მილიონამდე ადამიანით. თურქეთში 15 მილიონი ქურთი ცხოვრობს, ირანში 7-8 მილიონი, 1-2 მილიონი სირიაში. ქურთისტანის რეგიონალური მთავრობა ნახევრად ავტონომიური რეგიონია ერაყში. ირანი ამტკიცებს, რომ იქ 5.3 მილიონი ქურთი ცხოვრობს.დასავლეთ ევროპაში მცხოვრები ქურთების 80 პროვცენტი გადმოდის თურქეთიდან.კონფლიქტი თურქეთის ხელისუფლებას და ქურთისტანის მუშათა პარტიის ჯარისკაცებს შორის, რომლებიც იბრძვიან თურქეთის სახელმწიფოში ავტონომიის შექმნისთვის. მისი დასაწყისი

[31] Ozcan M,- Harmonizin foreign policy, 2008, P,80-90

1989 წლიდან იწყება და დღემდე გრძელდება.მე -20 საუკუნის დასაწყისში ეს ხალხი ითვლებოდა ყველაზე დიდ რაოდენობით, რომელსაც პირადი მდგომარეობა არ აქვს. 1920წელს ხელმოწერილი სერვის სამშვიდობო შეთანხმება ითვალისწინებსავტონომიური ქურთისტანის შექმნას თურქეთის ტერიტორიაზე,მაგრამ იგი ძალაში არასდროს შევიდა, ლოზანის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ იგი საერთოდ გაუქმდა. 1920-1930წლებში ქურთები ამბოხდნენ თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ბრძოლა წარუმატებლად დასრულდა.

3.3 დასავლეთის და ნატოს დამოკიდებულება თურქეთის რეგიონულ პოლიტიკისადმი

1949 წელს თურქეთის მიღებულ იქნა ევროსაბჭოს წევრად.ამავე წლის 4 აპრილსვე მოხდა მსოფლიოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ორმა ამერიკულმა და ათმა ევროპულმა სახელმწიფომ ჩამოაყალიბეს სამხედრო ალიანსი, „ჩრდილოატლანტიკური კავშირი“ - ნატო. ეს ორგანიზაცია უზრუნველყოფდა კოლექტიურ თავდაცვას და საფრთხის შემთხვევაში მისი წევრი სახელმწიფოების ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. იგი შეიქმნა, რათა ერთობლივად გაეწიათ წინააღმდეგობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ექსპანსიონისტური ზრახვებისთვის.თურქეთის ნატოში გაწევრიანების მთავარი მიზეზი მისი სუვერენულობის შენარჩუნება იყო, საბჭოთაკავშირიდან მომავალი საფრთხე მიესაკუთრებინა თურქეთის ტერიტორიები, ხელს უშლიდა თურქეთს განვითარებისთვის, ეკონომიკური და სამხედრო წინსვლისთვის.დღესდღეობით რადიკალურად განსხვავდება თურქეთი,თუკი თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანა არ იქნებოდა, არსებობდა საფრთხე ის სსრკ-ს გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, რაც თავის მხრივ საფრთხის შემცველი იყო ნატოსთვის მეორე მსოფლიო ომის შემდომი პერიოდთან შედარებით, თვითონ ცდილობს იყოს ძლიერი სახელმწიფო, დაიკავოს მისი ადგილი მსოფლიო პოლიტიკის არენაზე, წარმოადგენდეს ძლიერ

სახელმწიფოს,თურქეთი მეორე მსოფლიო ომში ნეიტრალურ მხარეს წარმოადგენდა. მრავალი მკვლევარის მოსაზრებით, თურქეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიას არაოფიციალური გზებით მხარს უჭერდა. ამან გამოიწვი ის, რომ 1945 წელს განსაახლებელი, 1925 წლის თურქულ-საბოჭოური ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირმა ცალმხრივად გააუქმა.თურქეთმა ნატოს წევრობისთვის პირველი განცხადება 1950 წლის მაისშიშეიტანა, ხოლო მეორე განცხადება აგვისტოში. აშშ-მ თურქეთის ამ თხოვნას დადებითად შეხვდა, თუმცა დასავლეთი ევროპის ქვეყნები მაინც მიიჩნევდნენ, რომ ეს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის გაღიზიანებას გამოიწვევდა, ამიტომ თურქეთი ისევ ნატოს კარს მიღმა დარჩა,საბჭოთა კავშირი, რომელმაც 70 წელი იარსება, XX საუკუნის მიწურულს ნგრევას იწყებს. გაერთიანება, რომელიც ევრაზიის კონტინენტზე ყველაზე მეტ ფართობს ფლობდა, სამხრეთ კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპის და მცირე აზიის ჩათვლით, დაინგრა. ლიბერალურმა დემოკრატიამ გაიმარჯვა კომუნიზმთან ბრძოლაში,67 წლის განმავლობაში ნატო თურქეთის უსაფრთხოების ცენტრალურ როლს ასრულებს.მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე საბჭოთა კავშირს,[32] ბუნებრივია არ ჰქონია ტერიტორიული თუ სხვა სახის პრეტენზიები თურქეთის მიმართ, საბჭოთა ხელმძღვანელობა იზიარებდა დიდ ბრიტანეთის მთავრობის აზრს,რომ აუცილებელი იყო თურქეთის კეთილგანწყობის შენარჩუნება,მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დროისათვის ამერიკელ პოლიტიკოსებს ეჭვი ეპრებოდათ საბჭოთა ლიდერებს განზრახული ჰქონდათ ძალის გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ თავიანთი მიზნების მისაღწევად,ის,რომ საბჭოთა კავშირს სურდა მონტრეს კონვენციის გადასინჯვა ,ბაზების შექმნა დარდანელის სრუტეში,ასევე ყარსისა და არდაჰანის ოლქების შემოერთება ,საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო საქმის ისეთი ექსპერტების , როგორც იყვნენ ჯორჯ ქენანი,ელბრიჯ დუბროუ და სხვა ,საბჭოთა ლიდერები გრძნობდნენ სისუსტეს და ამდენად ვერ განახორციელებდნენ სამხედრო აგრესიას,ვინაიდან ისინი დიდი ომის წინაშე

[32] Burak, Ozpek, Bill Park-Islamism , Populism and Turkish Foreign Policy, P,55-65

აღმოჩნდებოდნენ.თურქეთის პოლიტიკური სპექტრი მრავალფეროვანია,ათათურქი , რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა ბერძნებისა და ინგლისელების წინააღმდეგ წარმატებით განხორციელებულ განმათავისუფლებელი ომის შემდეგ,თავიდანვე ფლობდა უსაზღვრო ავტორიტეტს, როგორც პოლიტიკურ ლიდერს, მას მხარს უწერდნენ საზოგადოებრიობის ფართო ფენები,ათათურქის მოწინააღმდეგენი იყვნენ : სომხები,ბერძნები,ებრაელები,რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ევროპის კაპიტალთან და სტამბულს ინტელიგენციის ვიწრო ფენა,რომელიც თურქეთზე ამერიკული მანდატის მომხრე იყო, ალიანსმა თურქეთის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებული მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადოებაში და ასევე თურქეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ალიანსში,დღევანდელი უსაფრთხოების სისტემის გარემოში,[33] აუცილებელია ნატო-ს ორგანიზაციის წევრად ყოფნა, რადგან ნატო მიზნად ისახავს მოკავშირეების ტერიტორიების დაცვას,თურქეთი ჩართული იყო ნატო-ერაყის მისიაში 2004-2011 წლებში, ასევე ნატოს ოპერაციებში კოსოვოში, სადაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დღემდე ტოვებს სამხედროებს.ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი რის გამოც თურქეთი ნატოსა და აშშ-სთან ურთიერთობას ინარჩუნებდა 1990-იან წლებში იყო ეკონომიკური კავშირები, აგრეთვე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ქურთისტანის მუშათა პარტიასთან იყო დაკავშირებული. დიდი მნიშვნელობის მქონე იყო თურქეთი აშშ-სთვისაც. მართალია საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ ერაყთან ურთიერთობის დაძაბვის ფონზე გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე თურქეთს დიდი როლი დაეკისრა აშშ-სთვის სტრატეგიული თვალსაზრისით. ეს ყოველივე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ამერიკასა და ერაყს შორის მიმდინარე კონფლიქტში, სპარსეთის ყურის პირველი ომისას 1991 წელს,აღნიშნულ დაპირისპირებაში თურქეთის მონაწილეობის შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობდა 1983 წლიდან სახელმწიფოს სათავეში მყოფი თურგუთ ოზალი მიიჩნევდა, რომ თურქეთს ერაყთან ომში ამერიკული

[33] Sayari S, Makovsky A,- Turkey's New Words: Changing Dynamics in Turkish Foreign Policy. P. 147-198

მხარისთვის უნდა დაეჭირა მხარი. იგი თვლიდა, რომ ამით თურქეთი ახლო აღმოსავლეთში საკუთარი გავლენის ზრდას შეძლებდა,თურქეთი დღესაც აქტიურად მონაწილეობს ნატოს მისიებში,[34] იბრძვის ISIS–ის წინააღმდეგ და აზიაში ნატოს პლაცდარმია ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში. ასევე შეუცვლელია მისი როლი ხმელთაშუა ზღვის პატრულირებისას მიგრანტების ნაკადების კონტროლისა თუ მათი გადარჩენის საკითხთან მიმართებაში,2002 წელს თურქეთის სათავეში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო ახალი პოლიტიკური ხანა, რომლის პერიოდშიც ეტაპობრივად შეიცვალა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები . თურქეთის პოლიტიკური სისტემა უაღრესად ცენტრალიზებულია. თუმცა, როგორც ევროპისსაბჭო წევრი სახელმწიფო, თურქეთი ვალდებულია განახორციელოს „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. ტრადიციული დასავლური ორიენტაციის შესაბამისად, ევროპასთან ურთიერთობა მუდამ იყო თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცენტრალური ნაწილი,რამდენიმე ათწლეულის პოლიტიკური მოლაპარაკებების შემდეგ თურქეთმა თანამეგობრობის სრულ წევრობაზე შეიტანა განაცხადი 1987 წელს, დასავლეთ ევროპის კავშირის ასოცირებული წევრი გახდა 1992 წელს, ევროკავშირთან საბაჟო შეთანხმებას მიაღწია 1995 წელს, ხოლო ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკება ოფიციალურად დაიწყო 2005 წლის 3 ოქტომბერს.მიუხედავად 2000-იან წლებში და 2010 -იანი წლების დასაწყისში ორ ქვეყანას შორის არსებული კარგი ურთიერთობისა , იყო რამდენიმე კრიზისული მომენტიც, მაგ:2003 წელს ერაყის ქურთისტანის ქალაქ სულეიმანიაში მომხდარი შემთხვევა, როდესაც ამერიკელმა სამხედროებმა დემონსტრაციულად დააკავეს თურქი სპეცრაზმელები,ასევე თურქეთი მნიშვნელოვან პრობლემად თვლიდა იმას, რომ სადამ ჰუსეინის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ერაყის ქურთისტანი იურიდიულადაც ავტონომიური გახდა.მიუხედავად მჭიდრო ურთიერთობებისა, 2010-იან წლებში აშშ-თურქეთის

[34] Papuccular H,- A Transational Accounc of Turkish Foreign Policy, 2020, P,40-55

ურთიერთობები გაციებისკენ წავიდა, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, პირველი ფაქტორი გახლდათ თურქეთის დამოკიდებულება ირანთან მიმართებით,რომელსაც აშშ-მ მძიმე ეკონომიკური სანქციები დაუწესა, თურქეთის ხელისუფლება , ირანული წარმოშობის ბიზნესმენის რეზა ზარაბის საშუალებით ,თურქეთის სახელმწიფო ბანკებიდან სახალხო ბანკის გამოყენებით არღვევდა ირანის წინააღმდეგ მიმართებულ სანქციებს, ვაჭრობდა და ეხმარებოდა ირანის ხელისუფლებას ბუნებრივი რესურსების გაყიდვით მიღებული შემოსავლის ირანში გადატანაში, მეორე ფაქტორი კი 2016 წლის 15 ივლისის გადატრიალების მცდელობა , რომელიც დღემდე არ არის ბოლომდე გამოძიებული,[35] თუმცა თურქეთის ხელისუფლებამ მასში ერდოღანის ყოფილი მოკავშირე და მოგვიანებით მეტოქე, ამერიკაში მცხოვრები რელიგიურ ლიდერი ფეთჰულა გულენი და მისი მიმდევრები დაადანაშაულა და მოითხოვა ამერიკიდან ფეთჰულა გულენის ექსტრადაცია, რომელიც დღემდე არ განხორციელებულა,სწორედ გიულენის ექსტრადაციის მცდელობის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ „მღვდელ ბრანსონის საქმე“ რომელიც აშშ-სა და თურქეთს შორის მნიშვნელოვანი დაძაბულობის მიზეზი გახდა, სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა სტამბოლში, საუდის არაბეთის საკონსულოში მომხდარი მკვლელობის შემდეგ, როდესაც ჯამალ ხაშოგჯი თურქული წარმოშობის არაბი ჯურნალისტი და სავარაუდოდ საუდის არაბეთის დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი საუდის არაბეთის დაზვერვის თანამშრომლებმა მოკლეს, ხოლო მისი გვამი უკვალოდ გააქრეს, აშშ-ს ხელისუფლებამ სკანდალში საუდის არაბეთს დაუჭირა მხარი, რამაც თურქეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად თურქეთი ნატოს წევრად და ინარჩუნებს დე იურე ალიანსს აშშ-სთან, ორი ქვეყნის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია, პირველ რიგში ირანის სანქციებისა და ქურთულ საკითხთან დაკავშირებული განსხვავებული შეხედულებების გამო, თუმცა, გეოპოლიტიკური რეალობა, რუსეთის ფაქტორი და თურქეთის იმედი, რომ კიდევ არსებობს შანსი აშშ-სგან დახმარების მიღებისა იგივე

[35] Ercan P,- Turkish Foreign Policy: International Relations, Legality and Global, P,70- 85

სირიასთან მიმართებაში,საკმაოდ მყიფე ალიანსს სრულიად დამსხვრევისაგან იცავს.2012 წლის 31 ოქტომბერს ბერლინში თურქეთის ახალი საელჩოს გასახსნელად ჩასულმა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა რაიხკანცლერ ანგელა მერკელთან საუბარში განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს 2023 წლამდე თურქეთი ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდეს, ამასთან იმედი გამოთქვა, რომ 2023 წლამდე ლოდინი არ მოუწევს.თურქეთი უკვე 20 წელზე მეტია აქტიურად ცდილობს ევროკავშირში შესვლას, თუმცა ჯერჯერობით წარუმატებლად. რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირსა და თურქეთს შორის საკმაოდ დიდია, 2011 წლის მონაცემებით 120 176 მილიონი ევრო, ექსპორტი 72,7 მილიარდი, იმპორტი კი 47,6 მლრდ ევრო. ექსპორტის უდიდესი წილი მოდის მანქანებზე ,საფეიქრო,მსუბუქი და საკვებ მრეწველობაზე,იმპორტს რაც შეეხება ტრანსპორტსა და მანქნებზე, ქიმიკატებსა და მსუბუქ სამრეწველო ნაწარმზე, ევროკავშირი თურქეთისთვის N1 ექსპორტ და იმპორტ პარტნიორია,უცხოური ინვესტიციების 70% თურქეთში ევროკავშირიდან შედის,ხოლო თურქეთი ევროკავშირის იმპორტში მე-7, ექსპორტში მე-5 ადგილს იკავებს, თურქეთიასევე არის ევრო-ხმელთაშუაზღვიური პარტნიორობის წევრი ქვეყანა.თურქეთმა ევროკავშირი გაწევრიანების პროცესი 2005 წელს დაიწყო, თუმცა პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. ამ დროისთვის, მოლაპარაკების მხოლოდ მცირე საკითხებია ღია. ერთი საკითხი კი შესრულებული. საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის და სხვა ევროპული ქვეყნების გავლენიანი პოლიტიკოსები ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებას ეწინააღმდეგებიან. თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი სოლი ოზელი ვარაუდობს, 2013 წელს ევროკავშირის პრეზიდენტ ქვეყნად ირლანდიის გახდომის შემდეგ, თურქულ-ევროპული ურთიერთობა გააქტიურდება.ბოლო პერიოდში დინამიკურად ვითარდება სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში - აშშ-ირანის, ისრაელ-ირანის დაპირისპირება, სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომი და ა.შ., რაც დამატებით საფრთხეებსა და გამოწვევებს ქმნის რეგიონისთვის . ამ ვითარებაში საქართველოსთვის ყველაზე საყურადღებო საკითხი

მაინც ნატოს ორი ძლიერი წევრი სახელმწიფოს - აშშ-თურქეთის - დაძაბული ურთიერთობები და აქედან მოსალოდნელი საგარეო-პოლიტიკური რყევებია, რამაც შესაძლოა ამ ორი ქვეყნის გზების გაყრა და ანკარის მოსკოვთან დაახლოება გამოიწვიოს. მოვლენათა ამგვარი განვითარება კი,[36] სავარაუდოდ, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა გახდება.ვაშინგტონი და ანკარა ერთმანეთის მოკავშირეები 1952 წელს თურქეთის ნატოში გაწევრიანების შემდეგ გახდნენ. ამ დროიდან მოყოლებული, ორმხრივი ურთიერთობები თითქმის იდეალური იყო მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში,როდესაც ამ ორ ქვეყანას საერთო საბჭოთა საფრთხის შეკავების სურვილი აერთიანებდა. ვაშინგტონი და ანკარა ათწლეულების მანძილზე თითქმის პარალელურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს ახორციელებდნენ და თურქეთი ისრაელთან ერთად აშშ-ის მთავარი მოკავშირე გახდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.სიტუაციის შეცვლა საბჭოთა კავშირის დაშლისა და განსაკუთრებით, თურქეთის მმართველი „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო, რადგან თურქეთი ახლო აღმოსავლეთში დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას შეუდგა, რაც ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა აშშ-ის ინტერესებს. ორმხრივ ურთიერთობებში თანდათან დაგროვდა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ხელს უშლის ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას და პრობლემას უქმნის მათ მოკავშირეობას.ანკარა დიდი ხანია უშედეგოდ ითხოვს აშშ-ში მცხოვრები ისლამისტი სასულიერო ლიდერის ფეთულაჰ გულენის თურქეთში ექსტრადიციას, ადანაშაულებს რა მას და მის მიმდევრებს 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში. ანკარა ვაშინგტონისგან ასევე უშედეგოდ მოითხოვს. ჩრდილოეთ სირიაში მოქმედი YPG-ისთვის დახმარების შეწყვეტას. ამ ყველაფერს დაემატა თურქეთის მიერ რუსეთთან გაფორმებული

[3636] ნატოს წევრი თურქეთი და მისი მიდგომები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების გამოწვევების მიმართ
https://www.amerikiskhma.com/a/article----121212-151875025/1210041.html (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)P,2

ხელშეკრულება S-400-ის ტიპის საჰაერო თავდაცვითი სისტემების შეძენაზე. ამერიკული მხარე წლების განმავლობაში დაჟინებით მოითხოვდა ანკარისგან ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ რუსული სისტემები ტექნიკურად შეუთავსებელია დასავლურ შეიარაღებასთან და შეუძლებელია მათი ჩართვა ნატოს საერთო თავდაცვით სისტემაში. „აშშ თანმიმდევრულად და მკაფიოდ აცხადებს, რომ თურქეთი შეეჯახება ძალიან რეალურ და ნეგატიურ შედეგებს, თუ ის გააგრძელებს S-400-ების შეძენას. ეს მოიცავს F-35-ების წარმოების პროგრამიდან გარიცხვას და ამ თვითმფრინავების შეძენის კონტრაქტის გაუქმებას. თურქეთის მიმართ დაწესდება აგრეთვე სანქციები, რაც განკუთვნილია ამერიკის მოწინააღმდეგეებისთვის სანქციების შესახებ არსებული კანონის ჩარჩოებში.ცხადია, მოსალოდნელი სანქციების მიმართ ყველაზე მგრძნობიარე თურქული ეკონომიკაა, რომელსაც ისედაც არ აკლია სერიოზული პრობლემები: მაღალი ინფლაცია, ეროვნული ვალუტის დევალვაცია, უმუშევრობის გაზრდილი დონე, დიდი საგარეო ვალი, კომპანიების გაკოტრება. სისტემების თურქეთში ჩატანის პირველივე დღეს თურქული ლირა 1,45%-ით გაუფასურდა. თუ 12 ივლისის დილას 1 აშშ დოლარი 5,67 თურქული ლირა ღირდა, საღამოს მისი ფასი 5,755 ლირა გახდა,ვაშინგტონის მიერ ეკონომიკური სანქციების ამოქმედების შემთხვევაში, დიდი ალბათობით,[37]კიდევ უფრო გაუფასურდება თურქული ლირა და სერიოზული პრობლემები შეექმნება თურქული ეკონომიკის ბევრ სფეროს, როგორც ეს 2018 წლის აგვისტოში თურქეთის წინააღმდეგ შემოღებული ამერიკული სანქციების შემთხვევაში იყო. ამასთან, თუ 2018 წლის სანქციები უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, ახლა საქმე გაცილებით უფრო სერიოზულადაა. ჯერჯერობით უცნობია, რა სფეროებს მოიცავს ამერიკული სანქციები და რა ზომის იქნება იგი. თუმცა ერთი რამ ცხადია - მას მძიმე შედეგები მოჰყვება. აშშ-თურქეთის დაძაბულობას თავისი სამხედრო-პოლიტიკური ფასიც ექნება. საუბარია როგორც თურქეთში არსებული ინჯირლიქის ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზის ფუნქციონირებაზე, ისე ყველაზე რადიკალურ

[37] Larrabee F, – Turkish foreign policy in an age of uncertainty, 2002,P,25-35

შესაძლებლობაზე - თურქეთის ნატოში წევრობის საკითხზე, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა დააყენა ა.წ. 3 აპრილს, როდესაც S-400-ების თემასთან დაკავშირებით ანკარას მოუწოდა გაეკეთებინა არჩევანი ნატოსა და რუსეთს შორის. მნიშვნელოვანი მომენტის გამო ანკარის ვაშინგტონისგან დაშორება ავტომატურად არ ნიშნავს ყველა საერთაშორისო საკითხზე მოსკოვთან მის ჰარმონიულ შეთანხმებას -ანკარას და მოსკოვს აქვთ გრძელვადიანი განსხვავებული მიზნები, რაც ერთმანეთის ინტერესების საწინააღმდეგოა.[38] ამის გამო ისინი ამჟამად ერთმანეთისთვის არიან არა სტრატეგიული მოკავშირეები, არამედ ტაქტიკური მოკავშირეები. ამ განსხვავებული ინტერესების გამოა, რომ მხარეებს ხშირ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებული პოზიციები უკავიათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების მიმართ, იქნება ეს კოსოვო, ყირიმი, ყარაბაღი, სირია, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, დნესტრისპირეთი თუ სხვა. სეიოზული პრობლემები შეექმნება თურქეთის ნებისმიერ ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით, თუ იგი გაიზიარებს რუსეთის პოზიციას ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით და აზერბაიჯანის პოზიციის მიუხედავად დაიწყებს სომხეთთან დაახლოების პროცესს. ამის ნათელი მაგალითი იყო 2009 წელს თურქეთისა და სომხეთის დაახლოების პროცესი, რომელიც გაიყინა აზერბაიჯანის მკვეთრად უარყოფითი რეაქციის გამო. იგივე ითქმის წლების განმავლობაში მიმდინარე სირიის კონფლიქტზე, სადაც ანკარა და მოსკოვი, გამოდიან რა საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან, კონფლიქტში მონაწილე სხვადასხვა ძალას უჭერენ მხარს. რუსეთი ღიად ეხმარება ასადის რეჟიმს, ხოლო თურქეთი - სირიის ოპოზიციას. აშშ-თურქეთის ურთიერთობები სერიოზულ კრიზისში შედის და მისი დაძლევა ადვილად ვერ მოხერხდება, კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში, თურქეთი დაშორდება დასავლეთს, რაც შეამცირებს მათ თანამშრომლობას უსაფრთხოების, თავდაცვისა და ეკონომიკის სფეროებში,ამ შემთხვევაში ყველაზე მოგებული რუსეთი აღმოჩნდება, რომელიც დიდი ხანია ცდილობს ნატოს ერთიანობაში ბზარის

[38] Sayari S, Makovsky A,- Turkey's New Words: Changing Dynamics in Turkish Foreign Policy. P. 123-147

შეტანას,კრიზისის პერიოდში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული აშშ-ისა და თურქეთის ხელმძღვანელობის მიერ შემოღებულ სანქციებსა და მათზე რეაგირებაზე, ასევე კრიზისული სიტუაციების მართვის შესაძლებლობებზე,რაც შეეხება დაძაბულობას აშშ-თურქეთის ურთიერთობებში ავტომატურად არ ნიშნავს იდეალურ თურქულ-რუსულ ურთიერთობებს.[39] ანკარასა და მოსკოვს შორის ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემები და განსხვავებული ინტერესები რჩება.საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში მიმდინარე ევრო პარლამენტის გენერალური საბჭოს აქტუალური თემა გახდა თურქეთი და ევროკავშირის ურთიერთობები, გაწევრიანების განხილვები, ორ მხარეს შორის მომავლის ურთიერთობები.გახსნით ცერემონიაზე მოხსენებით გამოსულმა ევრო კომისიის გაფართოების განხილვებში პასუხისმგებელმა კომისარმა იოჰანეს ჰანმა აღნიშნა, რომ ორივე მხარე არ არის კმაყოფილი მოვლენებით, ამიტომაც, აუცილებელია აქამდე თურქეთის მხარესთან კონტაქტების გაფართოებისთვის წარმართული სამუშაოების პირიქით წარმართვა.იოჰანეს ჰანის განცხადებით, თურქეთი, სტრატეგიულ რეგიონში არის ევროკავშირის პარტნიორი და კლიტის მოვალეობის შემსრულებელი. ისინი, პარტნიორები არიან, ეს რთული პარტნიორობაა, მაგრამ დიდ საქმეს აკეთებენ მრავალ ძირითად საკითხში. აქვთ ნათელი, პატიოსანი და კრიტიკული, ზოგჯერ კონსტრუქციული, ხანდახან ძალიან რთული დიალოგი. თავისუფლების საერთაშორისო ჯგუფის საფრანგეთის წევრმა ედუარდ ფერრანდმა გააკრიტიკა ევროკავშირის ხელისუფლების დამოკიდებულება და თქვა,საუკუნის წინ, თურქეთს ევროპის ავადმყოფ ადამიანად იხსენიებდნენ, მაგრამ მისი აზრით, დღევანდელი რეალური ავადმყოფი თავად ევროკავშირია. ფერრანდმა ასე მიმართა ევროკავშირის ხელისუფლებას,თურქეთი დიდი ქვეყანაა. ეს დიდი ხალხი, თქვენს შეთავაზებულზე უფრო მეტს იმსახურებს.როდესაც ოფიციალური ანკარა თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში ვაშინგტონისა და ზოგადად დასავლეთის პარალელურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა, ყველაფერი ცხადი და ადვილად პროგნოზირებადი იყო მის ქმედებებში, საერთაშორისო არენაზე.

[39] . ნატოს გაფართოება
https://old.infocenter.gov.ge/nato-enlargement/ (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021) გვ,1

ანკარისა და დასავლეთის საერთო მიზანს საბჭოეთის შეკავება წარმოადგენდა და მათი ყველა ქმედება ამ სტრატეგიული ამოცანიდან მომდინარეობდა[40].სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც აღნიშნული საფრთხე მინელდა. შედეგად, თურქეთმა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამასთან, ბევრი მიმომხილველი აღნიშნავს, რომ XXI საუკუნის დასაწყისში ანკარის საგარეო პოლიტიკაში იმძლავრა ე.წ. „ნეოოსმალურმა“ პოლიტიკამ, რომელიც გულისხმობს ანკარის გავლენის აღდგენას იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ოდესღაც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.ამ პოლიტიკის გატარება ადვილი არაა, რადგან ის ხშირად არა მხოლოდ გამორიცხავს დიდი ძალების ინტერესებს, არამედ, უმეტეს შემთხვევებში, მათ უპირისპირდება კიდეც. ამიტომაც, ამა თუ იმ მომენტში შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე, ოფიციალური ანკარა ხან ვაშინგტონსა და ბრიუსელს, ხანაც მოსკოვსა და სხვა პოლიტიკურ პოლუსებს უახლოვდება, რაც ფართო სურათში ზიგზაგების შთაბეჭდილებას ტოვებს. დასავლეთისა და თურქეთის პოლიტიკურ ლიდერებსა და ელიტებს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ფილოსოფია აქვთ. ისინი განსხვავებულად აღიქვამენ როგორც სხვა ქვეყნებთან არსებულ კავშირებს, ისე თავიანთი ქვეყნების წონასა და ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში. შესაბამისად, წლების განმავლობაში თურქეთ-დასავლეთის ურთიერთობებში მრავალი პრობლემა დაგროვდა, რომელთა გადაჭრა დროში გაიწელა. სირიაში არსებულ სიტუაციაში, მხარეთა განსხვავებული ინტერესების გარდა, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, სადაც თურქეთსა და დასავლეთს უკვე წლებია ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიციები და მოსაზრებები აქვთ,2019 წლის 3-4 დეკემბერს ლონდონში გამართულ ნატოს სამიტზე კიდევ ერთხელ წარმოჩინდა, რამდენად დაშორებულია ერთმანეთისგან თურქეთისა და დასავლეთის საგარეო-პოლიტიკური და უსაფრთხოების პრიორიტეტები. სამიტის დაწყებამდე თურქეთმა მკაფიოდ მოითხოვა ნატოს წევრი ქვეყნებისგან YPG-ის ტერორისტულ

[40] Robins P,- Suits and Uniforms,2002 p. 34-79

ორგანიზაციათა სიაში შეყვანა და წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმუქრა ნატოს მიერ მომზადებული პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების თავდაცვითი გეგმისთვის ვეტოს დადებით. საბოლოო ჯამში ანკარას მოუწია დათმობაზე წასვლა და ვეტო არ გამოიყენა, მაგრამ ამით მხარეთა შორის არსებული მკაფიოდ განსხვავებული ხედვები არ შეცვლილა.თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში კიდევ ერთი პრობლემური საკითხი ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ თემაა. 2019 წლის 12 დეკემბერს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ 405 ხმით 11-ის წინააღმდეგ აღიარა ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ საკითხი. მართალია ,იგი ჯერჯერობით არ დაუმტკიცებია პრეზიდენტ ტრამპს, მაგრამ ამას უკვე მოჰყვა მკვეთრად უარყოფითი რეაქცია თურქეთის ხელისუფლების მხრიდან.თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთ მტკივნეულ თემად კვლავ რჩება ევროპასთან ურთიერთობა. ევროპული ქვეყნები და ევროპული ინსტიტუციები მკაცრად აკრიტიკებენ ანკარას ისეთ საკითხებში, როგორიცაა - ადამიანის უფლებები, დემოკრატია, მედიის თავისუფლება და უმცირესობების უფლებები.რეჯეფ თაიფ ერდოღანის საკმაოდ ხისტმა ნაბიჯებმა შეერთებული შტატების პოლიტიკურ ელიტაში შეიძლება ითქვას განგაშის სიგნალი გაგზავნა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტად გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ ამერიკაში ალტერნატიულ რეალობაზე დაეწყოთ ფიქრი. რა საკვირველია, თურქეთს მტრად შეერთებულ შტატებში არავინ აღიქვამს, თუმცა ცხადია, რომ მისდამი ნდობის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა. დასავლურ მედიაში სულ უფრო გახშირდა მოწოდებები თურქეთის დასავლური ალიანსიდან გარიცხვის შესახებ, რაც კვლავ მის თანამშრომლობას უკავშირდებოდა რუსეთის ფედერაციასთან თავდაცვის სფეროში.თურქეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობები დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ცხადია, რომ არც ერთ მხარეს არ სურს არსებული ვითარების გამწვავება და ორივე დაძაბულობის განმუხტვისაკენ ისწრაფვის. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ შედეგის მისაღებად უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო. რთული წარმოსადგენია, რომ მათ შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა დაირღვეს და მეგობრობა მტრობამ ჩაანაცვლოს, თუმცა ფაქტია

დაძაბულობა დღითი-დღე იზრდება. ორივე მხარე ფიქრობს ალტერნატივებზე და საკუთარ დღის წესრიგს დამოუკიდებლად აყალიბებს. მხარეთა ეროვნული ინტერესები და საგარეო პოლიტიკის თავისებურებები ერთმანეთისაგან რიგ საკითხებში განსხვავდება, თუმცა საერთაშორისო უსაფრთხოებისაკენ სწრაფვა ყოველი სახელმწიფოს მოწოდება უნდა იყოს. თავისთავად საინტერესოა მოვლენათა განვითარება აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პირობებშიც. თურქეთსაც და შეერთებულ შტატებსაც საკუთარი მყარი პოზიცია უკავიათ საერთაშორისო სისტემაში, შესაბამისად ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთისათვის მუდამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე იქნება. ბოლო დროს განსაკუთრებით იმატა ,,ტემპერტურამ" აშშ-სა და ირანს შორის. მნიშვნელოვან საკითხად იქცა ის, თუ ვისი გავლენის ქვეშ მოექცევა ანკარა.[41] თურქეთი კი სულაც არაა გულგრილი მეზობლების მიმართ, მათ თითქოს მარჯვნივ გაიხედეს სხვადასხვა მიზეზების გამო: ევორკავშირის ამდენი უარის შემდგომ, ამერიკასთან დაპირისპირების ერაყში შეჭრის, ისრაელთან უთანხმოების გამო; რასაც თან დაერთო თურქულ პოლიტიკაში მოძალებული ისლამური სეკულარიზმი. ეს მიმართებები, რასაკვირველია, ახდენს შესაბამის გავლენას თურქეთის ურთიერთობებზე აშშ-სთან და ირანთან. თითქოს ერთგვარი გამოწვევაა აშშ-სათვის, რომელსაც თურქეთთან სტრატეგიული და სამხედრო კავშირი აქვს.ევროკავშირი შეშფოთებას გამოთქვამდა თურქეთში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევის, ცენზურის, ეკონომიკური არასტაბილურობისა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის გამო. 2013 წლის გეზის პარკის მოვლენებისა და თურქეთში მზარდი ავტორიტარული ტენდეციების ფონზე ჩანდა , რომ უკვე თავად თურქეთიც იცვლიდა საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს,საბოლოოდ, 2016 წლის 15 ივლისის შემდეგ დაწყებული რეპრესიების და თურქეთის საპრეზიდენტო სისტემაზე გადასვლისას, ევროკავშირმა თურქეთს ფინანსური დახმარება შეუწყვიტა, ხოლო 2019 წლის მარტში ევროპარლამენტმა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან

[41] Bozdaglioglu Y,- Turkish freign polic and Turkish identity, 2004, P, 25-35

დაკავშირებული მოლაპარაკებების შეჩერებას დაუჭირა მხარი.მიუხედავად დაძაბული ურთიერთობებისა, ევროკავშირი და თურქეთი იძულებულნი არიან ითანამშრომლონ ფუნდამენტურ საკითხებზე. თურქეთისთვის მთავარი ფაქტორი, რომელიც მას აიძულებს ითანამშრომლოს ევროკავშირთან, ეკონომიკაა ევროკავშირი თურქეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. მართალია, შეთანხმება, ერთი შეხედვით, წარმატებული გამოდგა, მაგრამ იგი მალევე იქცა თურქეთის ხელისუფლების ხელში შანტაჟის იარაღად და თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ევროპისაგან ფინანსური ან სხვა სახის მხარდაჭერის სანაცვლოდ, დევნილების ფაქტორს ხშირად ევროპის ქვეყნების დასაშანტაჟებლად იყენებს.[42]

დასკვნა

ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევაში ჰიპოთეზა დასტურდება, რეგიონში დომინანტური როლის თამაშს დადებით მხარეებთან ერთად სხვა ბევრი უარყოფითი სახეებიც აქვს, ეს გულისხმობს იმ გამოწვევებთან გამკლავებას რაც ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს უქმნის საფრთხეს, თურქული რეგიონალური პოლიტიკა ოსმალეთის იმპერიიდან მოყოლებული დღემდე ახერხებს თავი გაართვას იმ გამოწვევებს რაც მის წინაშეა, ყველაფერი ეს კი ძალიან დიდ უნარებთანაა დაკავშირებული.

როდესაც ვსაუბრობთ დღევანდელ თურქეთზე , რომელიც არის ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე , გვერდს ვერ ავუვლით ოსმან პირველს , ადამიანს

[42] Davutoglu A,- Strategic Depth, 2001, P,40-45

რომელმაც შეძლო და ურთულეს პერიოდში მოახერხა თურქული ნაციის გაერთიანებაა , საერთო მიზნისათვის, მიზანს კი წარმოადგენდა იმპერიის შექმნა , რომელიც იბატონებდა სამყაროზე . სწორედ ოსმან პირველის ინიციატივით , მოხდა ჩამოყალიბება ოსმალეთის იმპერიისა.

ჩვენ დღეს მსოფლიოსა და რეგიონებში გვაქვს მოცემულობა: ,,ერთისთვის დანაკარგი, მეორესათვის მონაპოვარი''. ამ პირობებში კი არსებობა და მეტიც საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრა მეტად რთულია, თურქული რეგიონალური პოლიტიკა საუკუნეებია მოწოდების სიმაღლეზე იმყოფება, პირველი მსოფლიო ომის შემდგომმა პირობებმა, ისინი საკმაოდ რთულ სიტუაციაში ჩააყენა , ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ დადგა დრო, როდესაც ქვეყანა ახალ რელსებზე უნდა გადასულიყო , სწორედ ამ დროს, მათ სჭირდებოდათ პიროვნება , რომელიც აიღებდა თავზე ამ უდიდეს პასუხისმგებლობას , სწორედ ასეთ პიროვნებად თურქებს მოევლინათ მუსტაფა ქემალ ათათურქი , ადამიანი , რომელის სახელსაც უკავშირდება თურქეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჩამოყალიბება მისმა დიპლომატიურმა უნარებმა თავი გაართვა ისეთ დიდ გამოწვევებს რომელსაც იგი წააწყდა როგორც ქვეყნის გარეთ ასე შიგნით. უნდა ითქვას , რომ მისი მოწინააღმდეგეები , თურქეთში უფრო მრავლად იყვნენ, ვიდრე რეგიონის დანარჩენ ქვეყნებში . თუმცა მისი მიზანი რომელიც იყო საკმაოდ მკაფიო , განხორციელებადი აღმოჩნდა . მისმა პიროვნებამ დიდ სიყვარულთაან ერთად დიდი სიძულვილიც დაიმსახურა იმ ადამიანების მხრიდან , ვინც ეწინააღმდეგებოდნენ შაჰის ინსტიტუტის მოშლას, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ თურქეთზე, პირველი ვინც გვახსენდება არის ათათურქი , ადამიანი რომელმაც თავისი სახელი თავისივე საქმეებით უკვდავყო.

თანამედროვე მსოფლიოს ანარქიულმა სისტემამ გლობალიზაციის მიერ საზღვრების რღვევამ საფრთხე შეუქმნა , ისეთ დიდ ქვეყნებსაც კი როგორიც თურქეთია , რეგიონში გაჩნდნენ ახალი მოთამაშეები , რომლებსაც სურთ თავიანთი თამაშის

წესების შემოტანა , უნდა აღინიშნოს რომ რეჯიბ ტაიპ ერდოღანის როლი თანამედროივე თურქეთის ისტორიაში საკმაოდ დიდია , რიგ შემთხვევებში წინდახედული პოლიტიკით ქვეყანამ მოახერხა დომიმნანტის როლის შენარჩუნება რეგიონში , რაც საკმაოდ რთულად შესასრულებელი მისიაა იქიდან გამომდინარე , რომ რეგიონს ჰყავს ასევე პირველობისთვის მებრძოლი სახელმწიფო ირანის სახით . გამომდინარე მათი კავშირებისა რუსეთის ფედერაციასთან ისინი წარმოადგენენ უდიდეს საფრთხეს არა მარტო მეზობელი ქყევნებისათვის , არამედ სხვა დიდი სახელმწიფოებისთვისაც.

თავის მხრივ აღსანიშნავის , რომ თურქეთი წარმოადგენს ერთგვარ შუქურას სუნიტი მოსახლემობისთვის და ამ ყოველივეს თურქეთი აქტიურად იყენებს საკუთარი პოლიტიკისს გასატარებლად.

ბიბლიოგრაფია

1. **მაკარაძე ე.**-თურქეთის ისტორია 1918-2018 წწ, გამომცემლობა უნივერსალი, 2019წ

2. **სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ,-** ახლო აღმოსავლეთის ისტორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011 წ

3. **სვანიძე მ. -** თურქეთის ისტორია, გამომცემლობა არტანუჯი, 2007წ

4. **Bozdaglioglu Y,-** Turkish freign polic and Turkish identity, 2004

5. **Burak, Ozpek, Bill Park**-Islamism , Populism and Turkish Foreign Policy

6. **Davutoglu A,-** Strategic Depth, 2001

7. **Ercan P,-** Turkish Foreign Policy: International Relations, Legality and Global

8. **Hale W,-** Turkish Foreign Policy 1774-2000, 2000

9. **Koseblaban.H Turkish -** Foreign Policy: Islam, Nationalism,and Globalization, 2011

10. **Lenore G. Martin, Dimitris Keridis –** The Future of Turkish Foreign Policy, 2002

11. **Larrabee F, –** Turkish foreign policy in an age of uncertainty, 2002

12. **Ormeci O,Isiksal H,-** Turkish Foreign Policy in the New Millennium, 2015

13. **Ozcan M,-** Harmonizin foreign policy, 2008

14. **Papuccular H,-** A Transational Accounc of Turkish Foreign Policy, 2020

15. **Robins P,-** Suits and Uniforms,2002

16. **Sayari S, Makovsky A,-** Turkey's New Words: Changing Dynamics in Turkish Foreign Policy.

17. **Sayari S, Makovsky A,-** Turkey's New Words: Changing Dynamics in Turkish Foreign Policy.

18.Stein A,- Turkey's New Foreign Policy: Davutoglu,the AKP and the Pursuit of Regional order, 2014

19. Terzi O,- The Influencer of the European Union on Turkish Foreign Policy, 2010

20. Uzer U,- Identity and Turkish Foreign Policy: The Kemalist Influence in Cyprus and

ინტერნეტ რესურსები

21. თურქეთის როლის ცვლილება ერდოღანის პოლიტიკის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების რეაქცია

http://blog.fdclub.ge/2021/04/10/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/ (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)

22. თურქეთის საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში **https://www.gfsis.org/ge/publications/view/2747** (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)

23. ქურთები https://imedinews.ge/ge/theme/509/vin-arian-qurtebi-da-ratom-ar-aqvt-mat-sakutari-sakhelmtsipo

(საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)

24. ვინ არიან ქურთები და რატომ არ აქვთ მათ საკუთარი სახელმწიფო? **https://imedinews.ge/ge/theme/509/vin-arian-qurtebi-da-ratom-ar-aqvt-mat-sakutari-sakhelmtsipo** (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)

25. ნატოს წევრი თურქეთი და მისი მიდგომები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების გამოწვევების მიმართ

https://www.amerikiskhma.com/a/article----121212-151875025/1210041.html (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)

26. ნატოს გაფართოება https://old.infocenter.gov.ge/nato-enlargement/ (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)